პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ივნისი პარასკევი 2013

№132 (14 048) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცავი გარემო!
5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა!

## რატი ალექსიძე ბრუნდება?



3

## გიორგი ქანტურია: პარმა თუ რომა




2

## გადაწყდა ანჩელოტი რეალში!



9

## ზღაპრული შეთავაზება რონალდოს... მონაკოსგან




9

## 8 გოლი ერთ მატჩში და 18:0!



გუშინ ესტონეთის თასის პირველ ეტაპზე ტალინის „ფლორამ“ დაბალი ლიგის გუნდს, ტალინის „რეაალს“ 18:0 მოუგო. საფეხბურთო მატჩისთვის უცნაური ანგარიშის გარდა, კიდევ ბევრი რამ მოხდა საინტერესო ამ შეხვედრაში: „ფლორას“ 28 წლის გოლიათმა ფორვარდმა (199 სმ) **სანდერ პოსტმა** 8 ბურთი გაიტანა (პირველ ტაიმში 5 გოლი), ხოლო მასპინძელმა **ილვესმა** - 2 ავტოგოლი. აღსანიშნავია, რომ ერთი გოლი (მეხუთე) **ირაკლი ლოგუას** ანგარიშზეა. ბუნებრივია, „ფლორა“ შემდეგ ეტაპზე (1/32 ფინალი) გავიდა.

სანდერ პოსტმა ესტონეთის ნაკრებში 10 მატჩი ითამაშა და 1 გოლი გაიტანა, 2010 წელს ის ესტონეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## პოდგორიცა, პრაღა, ვენა, ლისაბონი



6-7

მუნდიალის შესარჩევის წინათქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო ტრანსფერი

## La Gazzetta dello Sport: ჭანტურია რომას და პარმას სამიზნეში


გიორგი ჭანტურია

**გიორგი ჭანტურია** კვლავ აქტუალური ფეხბურთელია. პოპულარული იტალიური გამოცემა "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ქართველი თავდამსხმელით იტალიური „პარმა" დაინტერესდა.

*"შესაძლოა, უახლოეს პერიოდში, "პარმამ" ახალი თავდამსხმელი შეიძინოს. კლუბის მთავარი მწვრთნელის, რობერტო დონადონის სატრანსფერო სიაში ჰოლანდიური "ვიტესის" თავდამსხმელი გიორგი ჭანტურია მოხვდა. "პარმას" გარდა, ჭანტურიას სერია A-ს კიდევ ორი კლუბი იწვევს – "ჯენოა" და "რომა". "პარმა" შეთანხმებას მიუახლოვდა და მზად არის, არნემელებს 4 მილიონი ევრო გადაუხადოს"* – წერს "გაძეტა დელო სპორტი".

გიორგის კონტრაქტი „ვიტესთან" აკავშირებს და 2013 წლის იანვრიდან იჯარით რუსეთის პრემიერლიგის ვლადიკავკაზის „ალანიაში" ითამაშა.

სერია A-ს დასრულებულ სეზონში „პარმამ" მე-10 ადგილი დაიკავა. იტალიის საფეხბურთო ელიტაში ქართველს **კახა კალაძის** წამოსვლის შემდეგ არ უთამაშია და ცხადია, ასეთ გუნდში ჩვენებურის მოხვედრა და "გაძეტა დელო სპორტის" ცნობის დადასტურება გაგვახარებს. თუმცა, ჯერაც უცნობია, "ვიტესის" მეპატრონე **მერაბ ჟორდანია** დაიტოვებს თუ გუნდიდან გაუშვებს გიორგი ჭანტურიას.

ვრცელდებოდა სხვა ინფორმაციაც, თითქოს, 20 წლის ქართველი თავდამსხმელის შეძენა რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბს, ყაზანის "რუბინს" სურს. დასახელებული კლუბების გარდა, ადრე ცნობები „ტორინოსა" და "კალიარის" ინტერესებზეც იყო. ჩვენი ინფორმაციით, გიორგის საკითხი ორ კვირაში გადაწყდება.

საერთოდ, გიორგისა და მის რთულ ხასიათზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მაგრამ სასაცილოა იმის მტკიცება, რომ 19 წლის ფორვარდმა რუსეთის ჩემპიონატში თავი მხოლოდ მოსკოვის "დინამოსთან" უხეშობით გამოიჩინა. ქართველს ვლადიკავკაზელთა პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი **ვალერი გაზაევი** ბოლო ტურებში ენდო და გიორგიმ იმედები გაუმართა: გასვლაზე სანკტ-პეტერბურგის "ზენიტთან", შინ "კრასნოდართან" და მოსკოვის "დინამოსთან" ძალიან შთამბეჭდავად ითამაშა. სხვა თუ არაფერი, ახსნა არ სჭირდება, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რას ნიშნავდა, ვლადიკავკაზში ოსები ქართველის გვარს ერთხმად რომ იძახდნენ – "ჭან-ტუ-რია! ჭან-ტუ-რია!". ეს იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ოსური გამოცემა "ალანიაში" ქართველების ჩაყვანას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.

რატომღაც, ამ ბიჭის ხსენება ბევრს აღიზიანებს, მაგრამ წმინდა სპორტული კუთხით, ჭანტურია მართლაც გამორჩეულია. რაც შეეხება ხასიათს – რთული ტიპების გამოყენება-გამოუყენებლობაში ვლინდება მწვრთნელის ნიჭი. სამწუხაროდ, ქართველებს დღეისათვის დიდი სანაკრებო რესურსი არ გაგვაჩნია და ყველა რთულ მოთამაშეს ასე უნდა გადავუსვათ ხაზი?

მხოლოდ ხასიათებით რომ ემსჯელათ, ირლანდიელები **როი კინს** დაიწუნებდნენ, ინგლისელები - **პოლ გასკოინსა** და **ტონი ადამსს**, გერმანელები - **შტეფან ეფენბერგს**. რაღა შორს წავიდეთ, არც **ვასილ მაისურაძესა და გია ცეცაძეს** ჰყოლიათ თითით საჩვენებელი ბიჭები, მაგრამ ყველა ე.წ. რთული მოთამაშე გამოიყენეს და შედეგსაც მიაღწიეს.

საკუთარ თავზე თამაშის აღება ასეთებს უფრო ეხერხებათ – ფეხბურთი კი სულაც არ არის "პიონერების" თამაში. არ ვამტკიცებთ, რომ გიორგის მიწვევით ნაკრები რადიკალურად შეიცვლება და "იფრენს", მაგრამ იტალიური კლუბების დაინტერესებისა და პრემიერლიგაში გამოსვლის მიუხედავად, ჭანტურიასთვის სანაკრებო კარი რომ დაკეტილია, ამის გაგება ძნელია.

**მერაბ მამულაშვილი**

U 19

## ვინ იქნება მეტოქე?

19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის 7 ჯგუფიდან გამარჯვებული ჯერ მხოლოდ ორში გაირკვა. ევროფინალის პირველი მონაწილე ისედაც ცნობილი იყო – მასპინძელი ლიტვა, რომელიც თავის ისტორიაში პირველად უმასპინძლებს კონტინენტურ პირველობას, ფინალური ეტაპის მატჩები კი 20 ივლისიდან 1-ელ აგვისტომდე გაიმართება.

მეორე მონაწილე თურქეთი იყო. ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა წარმატებას კრასნოდარში გამართულ უმძიმეს მატჩებში მიაღწიეს – თურქებმა მასპინძელ რუსეთს, იტალიასა და უკრაინას აჯობეს და სიკვდილის ჯგუფში მოულოდნელი შედეგი დააფიქსირეს.

ამის შემდეგ საქართველოს ჯერი დადგა, უფრო დიდი სენსაცია გამოაცხო და ინგლისს, მასპინძელ ბელგიასა და შოტლანდიას აჯობა.

ამგვარად, დღეისათვის ფინალური ეტაპის მხოლოდ სამი მონაწილეა ცნობილი: მასპინძელი ლიტვა, თურქეთი და საქართველო.

4, 5 და 6 ივნისს კიდევ 5 ჯგუფში დაიწყო ელიტრაუნდის მატჩები.

**გადავხედოთ დანარჩენ 5 ჯგუფს:**

**I. ავსტრია, საფრანგეთი, ბოსნია, შვედეთი**

**II. სერბეთი, ირლანდია, სლოვაკეთი, შვეიცარია**

**III. დანია, პორტუგალია, ჩეხეთი, ბულგარეთი.**

**IV. ესპანეთი, ხორვატია, პოლონეთი, საბერძნეთი.**

**V. ჰოლანდია, გერმანია, ნორვეგია, კვიპროსი.**

პირველი ტურის შემდეგ გამოიკვეთა ფავორიტები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე **გია ცეცაძის** გუნდის შესაძლო მეტოქეები იქნებიან. მაგრამ ჯერ მათ დასახელებას აზრი არ აქვს, რადგან მთავარი მატჩები ჯერ წინ არის და დღევანდელი ფავორიტები, შესაძლოა, ხვალ ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ.

სამწუხაროა, რომ ჩვენი გუნდი ელიტრაუნდის საწყის ორ ტურში მსაჯებმა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდეს. მართალია, უეფამ შესარჩევ და ელიტრაუნდის მატჩებზე მიღებული ერთი ყვითელი ბარათი ყველა ფეხბურთელს გაუუქმა, მაგრამ საქართველო ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში სრულ განაცხადს ვერ წარადგენს. ეს იმ შემთხვევაში, თუ **გურამ სამუშია** („ზესტაფონი") და **დავით უბილავა** („ვიტ ჯორჯია") საევროპო განაცხადში მოხვდებიან და თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ასეც იქნება – ორივემ ბელგიაში ღირსეულად ითამაშა. მაგრამ სამუშიას და უბილავას ორ-ორი ყვითელი ბარათი აქვთ და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველ მატჩს გამოტოვებენ.

მაგრამ საქართველო ბელგიაში ასეთებს უკვე შეაჩვიეს: მასპინძლებთან შეხვედრაში ხომ განაცხადში სულ 13 მოთამაშე გვყავდა. როგორც მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა, **ზაზა ბაკურაძემ** გვითხრა, სათადარიგოებში მოხვედრილ მეკარე **ბაჩო მიქავას** ორი ფორმა ჰქონდა – მეკარის და წინა ხაზის მოთამაშის და საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე ფეხბურთელი უნდა შეეცვალა. ასე ძვირად დაგვიჯდა ინგლისთან და განსაკუთრებით, შოტლანდიასთან მსაჯების ზღვარგადასული უსამართლობა.

ცეცაძის გუნდში ერთი სასიხარულო ამბავი მაინც არის: მოედანს **ლუკა ჰუფნაგელი** დაუბრუნდა, რომელმაც ელიტრაუნდი ტრავმის გამო გამოტოვა. საინტერესოა, რომ მამით გერმანელი და დედით ქართველი ნახევარმცველი გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კრისტიან ციგემ** მიიწვია, თუმცა ფეხბურთელმა დაუფიქრებლად უარი უთხრა, საქართველოს სასარგებლოდ არჩევანი უკვე გავაკეთეთო.

ეს ის პრეცედენტია, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ეს 19 წლის ნახევარმცველი საქართველოს ნაკრებს სჭირდება. აბა, რა მტკიცება უნდა, რომ ამ გადაწყვეტილებით ჰუფნაგელმა სასწორზე დადო კარიერა, რადგან გერმანიის ნაკრების წევრს ბევრად მეტი პერსპექტივა და დაფასება აქვს, ვიდრე საქართველოს ნაკრებისას, რომელიც მსოფლიოს რეიტინგში მხოლოდ 96-ე ადგილზეა. ლუკას არჩევანი ამიტომ უფრო გვახარებს.

ევროპის ჩემპიონატამდე ლუკა მომჯობინდება და ფორმას აღიდგენს. სხვათა შორის, „უნტერჰახინგის" მოთამაშემ თავის ყოფილ კლუბთან, მიუნხენის „ბაიერნის" 19-წლამდელებთან მოგებაში (3:2) დუბლის შესრულებით ლომის წილი დაიდო. ჩვენი 19-წლამდელების ნახევარმცველი ხომ 16 წლამდე მიუნხენელთა „ბაიერნის" აკადემიაში თამაშობდა.

ჰუფნაგელის ამბის მოსმენის შემდეგ ვერაფრით გაიგებ, რა სჭირთ იმ ქართველ ფეხბურთელებს, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში გამოძახებაზე უარს ამბობენ?

... ისევ 19-წლამდელებს დავუბრუნდეთ. ლიტვაში გასამართ ფინალურ ეტაპზე 8 გუნდი იასპარეზებს. თამაშები 20 ივლისიდან 1-ელ აგვისტომდე გაიმართება, ჯგუფების კენჭისყრა კი 14 ივნისს შედგება. მოულოდნელია, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ფინალურ ეტაპზე მხოლოდ საქართველო ითამაშებს - ყველა დანარჩენმა შანსი უკვე დაკარგა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები


გურამ კაშია (მარცხნივ)

## კაშია კიდევ უფრო დაფასდა

2013 წელი ქართული ფეხბურთისთვის ეროვნული ნაკრების დონეზე წარმატებული არ იყო. მეტიც, ბოლო დროს, განსაკუთრებით, ირლანდია-დანიასთან მატჩების მერე მეტად არასასიამოვნო სურათი გამოიკვეთა.

მაგრამ ზოგიერთმა ქართველმა ფეხბურთელმა კლუბში მაინც წარმატებით ითამაშა, რის შედეგადაც მათი პირობითი სატრანსფერო ღირებულება გაიზარდა. თუმცა, განსაკუთრებულ პატივში მხოლოდ **გურამ კაშია** იყო. არნემის "ვიტესის" კაპიტანმა გასული სეზონი ჩინებულად ჩაატარა. ქართველმა ლეგიონერმა ჰოლანდიელ გულშემატკივართა იმ გამოკითხვაში გაიმარჯვა, რომელსაც ერედივიზიეს სიმბოლური ნაკრების საუკეთესო მცველი უნდა გამოევლინა. 17 000-მდე ქომაგის უმრავლესობამ პირველ ადგილზე 25 წლის ქართველი ფეხბურთელი გაიყვანა. კაშიამ ხმების 39 პროცენტი მიიღო და ყველა კონკურენტი სოლიდური უპირატესობით ჩამოიტოვა: ამსტერდამის „აიაქსის" მცველები **ტობი ალდერვიერელდი** (23%) და **ნიკლას მოისანდერი** (4%), **სტეფან დე ვრიი** „ფეინოორდიდან" (17%), **ვირგილ ვან დიიკი** „გრონინგენიდან" (6%), **მაიკ ვანდ დერ ჰოორნი** „უტრეხტიდან" (5%) და **დუგლასი** „ტვენტედან" (2%).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვერსიით, 2012 წელს კაშია საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. 25 წლის ფეხბურთელი, რომელიც მესამე სეზონს ატარებს ჰოლანდიურ კლუბში, "ტრანსფერმარკტმა" სეზონის ბოლოს კიდევ ერთხელ დააფასა და მისი ტრანსფერის პირობითი ღირებულება 4,5 მილიონიდან 5 მილიონამდე გაზარდა.

კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ „ტრანსფერმარკტის" შეფასებები მოთამაშეების მიმართ ევროპელ ექსპერტთა დამოკიდებულებას ასახავს, მაგრამ პირობითია და სულაც არ ნიშნავს, რომ მოთამაშით დაინტერესებული კლუბი ზუსტად ამ ღირებულებას გადაიხდის.

ძვირად ღირებულ ქართველთა ათეული კი ასე გამოიყურება:

| | |
|---|---|
| 1. გურამ კაშია | 5 000 000 |
| 2-3. ალექსანდრე ამისულაშვილი | 2 500 000 |
| ჯანო ანანიძე | 2 500 000 |
| 4. ჯაბა კანკავა | 1 800 000 |
| 5. გიორგი ჭანტურია | 1 500 000 |
| 6-7. ზურაბ ხიზანიშვილი | 1 300 000 |
| სანდრო კობახიძე | 1 300 000 |
| 8. ლადო დვალიშვილი | 1 250 000 |
| 9-11. დავით თარგამაძე | 1 200 000 |
| გიორგი ლორია | 1 200 000 |
| გიორგი მერებაშვილი | 1 200 000 |

* თანხები დასახელებულია ევროში.

გურამ კაშია ჰოლანდიაში საუკეთესო ცენტრალურ მცველად კი აღიარეს, მაგრამ საქართველოს ნაკრებში ამ პოზიციაზე თამაში არა და არ ეღირსა – ის ხან საყრდენი ნახევარმცველია, ხან მარჯვენა მცველი. არადა, თავადაც ამბობს, რომ ამ პოზიციებზე თავს სათანადოდ ვერ ავლენს, მისი სტიქია დაცვის ცენტრია, მაგრამ რად გინდა. ამ "გამოგონებების" შედეგებს კი ნაკრების შედეგებიდან აშკარად ვხედავთ.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

## გოგუა დილადან თითქმის წასულია

გორის „დილადან" ოფიციალურად ჯერ არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა, თუმცა კულუარებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ გუნდს **გოგიტა გოგუა** დატოვებს.

29 წლის გოგუა კარიერას, სავარაუდოდ, უცხოეთში გააგრძელებს. ეროვნულ ნაკრებში მას 27 მატჩი აქვს ნათამაშევი, ბოლო დროს კი **თემურ ქეცბაიასთვის** ის საინტერესო ფეხბურთელი აღარ არის. „დინამო", „თბილისი", „ხიმკი", „სატურნი", „ნალჩიკი", „ტერეკი", "ვოლგა" - გოგუას „დილას" გარდა ამ გუნდებშიც უთამაშია, გამოცდილება არ დაეწუნება და ალბათ უპრობლემოდ მოძებნის ახალ კლუბს.


გოგიტა გოგუა

„დილასთან" განშორებას 32 **დავით კვირკველიაც** აპირებსო - ეს ინფორმაცია უფრო ადრე გავრცელდება. ამ მარცხენაფლანგელის გადაბირება „დინამო თბილისის" გარდა აზერბაიჯანულ გუნდებსაც სურთო და ვნახოთ, რამდენად გამართლდება მითქმა-მოთქმა.

„დილას" **გიორგი დევდარიანის** სახით ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, ხოლო თუ რომელი ფეხბურთელებით დაკომპლექტდება გუნდი დამდეგი სეზონისთვის, ამ ყველაფერზე კონკრეტული პასუხი „დილაში" ჯერ არ აქვთ.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ რატი ალექსიძესთან

# ნაკრების წარუმატებლობას ფეხბურთელებს ვერ დავაბრალებ

„დინამო“, „ჩელსი“, საქართველოს ეროვნული ნაკრები - ასეთი იყო რატი ალექსიძის პირველი ნაბიჯები ფეხბურთში...

ახლა ის 34 წლისაა და კიდევ აქვს იმის სურვილი, რომ ფეხბურთი ითამაშოს...

ალექსიძე 2009 წლიდან უნგრულ „დიორში“ თამაშობდა და 2012/13 წლების სეზონში უნგრეთის ჩემპიონიც გახდა. 31 მაისს კი კახა კალაძის საბენეფისო შეხვედრაშიც ითამაშა.

ალექსიძემ საკმაოდ რთული გზა გაიარა, ერთი პერიოდი თავი დანებებულიც კი ჰქონდა ფეხბურთელობისთვის, მაგრამ მოახერხა და ხელახლა გახდა ფეხბურთელი - ეს არ არის უბრალო გადაწყვეტილება და მისი შესრულება განსაკუთრებულ ნებისყოფას მოითხოვს.

ალექსიძეს არაერთ საკითხზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...



რატი ალექსიძე

## მინდა იქ დავამთავრო ფეხბურთის თამაში, სადაც დავიწყე

**- პირველ რიგში, ალბათ, ყველას აინტერესებს, რას აპირებ. ისევ უნგრეთში ნახვალ თუ სხვა არჩევანს გააკეთებ?**

- შეიძლება ითქვას, რომ „დიორიდან“ წამოვედი, უნგრეთში კი მაინც მომიწევს ჩასვლა, რაღაც-რაღაცები მაქვს მოსაგვარებელი.

**- გასულ სეზონში ბევრი არ გითამაშია, უნგრეთის ჩემპიონატის პირველი ტურების შემდეგ შემადგენლობაში აღარ ჩანდი - რა იყოს ამის მიზეზი?**

- უთანხმოება მქონდა მწვრთნელთან, იყო პირადული მომენტებიც. სეზონის ბოლოსკენ მწვრთნელს დაველაპარაკე, ბოლო შეხვედრაში ოცი წუთი ვითამაშე, მოედანზე გასულს გულშემატკივარი ტაშითა და შეძახილებით შემხვდა. ახლა ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, ისეთ ასაკში ვარ, საკუთარ თავს დასვენების უფლებას ვერ მივცემ, ახლა რომ პაუზა გავაკეთო, მერე ძალიან გამიჭირდება ფორმაში შესვლა. კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩის დასრულების შემდეგ, შუაღამეს უნგრეთში გადავფრინდი ოჯახის წამოსაყვანად, მანქანაც ჩავაბარე კლუბს და წამოვედი. შემეძლო, ისევ დავრჩენილიყავი უნგრეთში, მაგრამ ამის სურვილი აღარ მაქვს, ეტყობა ასაკის ბრალია, სამშობლოში მინდა ყოფნა, ჩემს ახლობლებსა და მეგობრებთან.

**- ფეხბურთის თამაშს ისევ აპირებ?**

- ყოველ შემთხვევაში, საკუთარ თავს ვატყობ, რომ თამაში ისევ შემიძლია. მინდა იქ დავამთავრო ფეხბურთის თამაში, სადაც დავიწყე -საქართველოში.

**- გაქვს კონკრეტული შემოთავაზებები ქართული კლუბებიდან?**

- შეიძლება ითქვას, რომ კი. მერწმუნეთ, ჩემთვის მართლა ძალიან ძნელია ფეხბურთელობისთვის თავის დანებება, ამ გადაწყვეტილების მიღება მიჭირს, ფეხბურთში იმდენი დრო დავკარგე, რომ აღარ მეთმობა ეს საქმე.

**- საქმის კურსში ხარ იმ ყველაფერზე, რაც ბოლო დროს ხდება ქართულ საკლუბო ფეხბურთში და საერთოდ ქართულ ფეხბურთში?**

- უნგრეთიდან სულ თვალყურს ვადევნებდი ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს, ანუ წარმოდგენა მაქვს იმაზე, თუ რა ხდება, რაღაცნაირად ვგრძნობ, რომ ფეხბურთი საქართველოში ჯერ ისევ მისახედია. ადამიანს ადამიანურად უნდა დაუფასო შრომა და სამსახური, ეს ყველა სფეროში აუცილებელია და ასე უნდა ხდებოდეს ქართულ ფეხბურთშიც. უნგრეთში ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიდის ფეხბურთი, თუმცა... საქართველოში ბურთი იციან, „პოდ სებიას“ აკეთებენ, „კედელს“ თამაშობენ, უნგრეთში კი ამ მხრივ მონოტონურობაა. საქართველოში ერთმანეთს ჭამენ, თუ ვინმეს კარგს შეამჩნევენ, მის მიმართ შურითა და ღვარძლით განეწყობიან იმის ნაცვლად, რომ იშრომო და სხვაზე უკეთესი გახდე.

## ურთიერთობაში წნეხი დაუშვებელია

**- ეროვნულ ნაკრებში აღარ თამაშობ, თუმცა ეს ისეთი თემაა, შენგან შორს რომ ვერ იქნება. არაერთისთვის დაგვისვამს კითხვა, თუ რატომ ვერ ახერხებს საქართველოს ნაკრები წინსვლას და ზუსტი პასუხის ჩამოყალიბება ყველას უჭირს...**

- ეგ ისეთი თემაა, ხორცს რომ შეგიჭამს. თავის დროზე მეც ვიყავი ნაკრების ფეხბურთელი, ბიჭები მართლა თავს ვიკლავდით, მაგრამ... არ ვიცი, ამ კითხვაზე რა გიპასუხოთ, ერთი კი შემიძლია გითხრათ - ნაკრებში წაგებული თამაშის შემდეგ კლუბში თავი არ გამომეყოფოდა, დამალვა მინდოდა.

**- ბოლო დროს რაღაც-რაღაცები შეიცვალა, სახელმწიფო ჩვენთან ეხმარება სანაკრებო ფეხბურთს, თუმცა შედეგი მაინც არ ჩანს...**

- ადრე მართლა სხვა ვითარება იყო. ახლაც არის მატჩები, ჩვენი ნაკრები კარგად რომ თამაშობს. ესპანეთთან კი დავმარცხდით, მაგრამ ურიგოდ ნამდვილად არ გვითამაშია, ოღონდაც ვერ გამიგია, რაღაც დონეზე რომ ავა ჩვენი ნაკრები, მერე ჩავარდნა რატომ აქვს, რატომ ჩნდება ამხელა სხვაობა ჩატარებულ მატჩებს შორის. როგორც არ უნდა იყოს, ამას ფეხბურთელებს ვერ დავაბრალებ.

**- არის ასეთი თვალსაზრისიც - საქართველოს ახლანდელი ნაკრების ფეხბურთელებს სერიოზული ამოცანების გადაწყვეტა არ შეუძლიათ. შენ როგორ ფიქრობ?**

- ჩემი აზრით, ამ ფეხბურთელებს შეუძლიათ სერიოზული ამოცანების გადაჭრა, უბრალოდ, ხელის შეწყობა სჭირდებათ. პირველ რიგში დისციპლინა უნდა იყოს გუნდში, კარგი ფეხბურთელი კი საქართველოს სულ ჰყავდა და სულ ეყოლება, ჩვენთან ყოველთვის მოიძებნება ისეთი ფეხბურთელები, წინააღმდეგობას რომ გაუწევენ ევროპულ გუნდებს.

**- საჭიროა თუ არა პრემია და სხვა ფინანსური მოტივაცია საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებისთვის - როგორ ფიქრობ, ეს სერიოზული განხილვის თემა არ უნდა იყოს?**

- ჩემს დროს ნაკრებში თვითმფრინავის ბილეთის ფულიც კი მნიშვნელოვანი იყო ზოგი ფეხბურთელისთვის, ზოგი კი ამ ფულს ხელს არ ჰკიდებდა. ყველა დეტალს სერიოზულად უნდა მივუდგეთ, თუ წინსვლა გვინდა. უცხოეთში ვუყურებდი - ფეხბურთელს ნაკრებში რომ გამოიძახებდნენ, უხაროდა, დამატებითი შემოსავალი მექნებაო. საქართველოს ნაკრებშიც უნდა იყოს ფინანსური ანაზღაურება ფეხბურთელებისთვის არ ვამბობ, რომ ამისთვის მილიონები უნდა გამოყონ, მაგრამ ფინანსური წახალისება აუცილებელია. გზები უნდა მოიძებნოს, რომ ნაკრებმა რაღაცას მიაღწიოს.

**- მწვრთნელის ფაქტორი - ამაზე რას იტყოდი?**

- მწვრთნელი ფეხბურთელებს, პირველ რიგში, უნდა მიეხმაროს. ფეხბურთელებს კი მწვრთნელის რიდი უნდა ჰქონდეთ. ნერვები ყველას აქვს და მწვრთნელისა და ფეხბურთელების ურთიერთობაში წნეხი დაუშვებელია.

## ქინქლაძეზე მაგარი ფეხბურთელი არ მინახავს

**- ვინ არის შენთვის ისეთი თავდამსხმელი, ვისიც თეთრი შურით გშურს?**

- სიამოვნებას ვიღებ მესის თამაშით, როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მესის ჭკვიანტით გაკეთებული პასით, მისი გრძნეული ფეხებით შესრულებული ილეთებით კარგ გუნებაზე ვდგები. ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში გერმანელებმა მართლაც მაგრად ითამაშეს, გერმანულმა მანქანამ ესპანელები გადათელა, მე კი გული ძალიან დამწყდა, „ბარსელონამ“ და „რეალმა“ რომ წააგეს. მესის მერე ყველაზე უფრო რობენის მშურს, პატარა ბავშვივით უხარია ფეხბურთის თამაში, არ თაკილობს და მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე იბრძვის. ისე კი, გიო ქინქლაძეზე მაგარი ფეხბურთელი არ მინახავს.

**- ფეხბურთის თამაშის გარდა, ყველაზე უფრო კიდევ რისი სურვილი გაქვს?**

- სტადიონზე ერთი კაცის, ერთი გულშემატკივრის ხმასაც კი მნიშვნელობა აქვს. კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩში „დინამოს“ სტადიონზე რომ ხალხი მოვიდა, ამდენი მაყურებლის თვალწინ ამ სტადიონზე მანამდე არასდროს მითამაშია, სიხარულისგან ისე დავიძაბე, რომ სუნთქვა მიჭირდა. ჰოდა, ძალიან მინდა, რომ საქართველოს სტადიონებზე ხშირად მოვიდეს ამდენი მაყურებელი, ეს აუცილებელია, ეს ათამაშებს ფეხბურთს ფეხბურთელს.

საქართველოს ჩემპიონატი

# ისევ ორომტრიალი
## ხელი საით უნდა გავიშვიროთ?



გუშინწინ კლუბები რომ შეიკრიბნენ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში, ამაზე გუშინდელ „ლელოში“ ვწერდით. იმავე დღეს „ლელოში“ სპორტის მინისტრის, **ლევან ყიფიანის** კომენტარიც გაგაცანით: „არ შეიძლება ვინმეს ჰქონდეს ილუზია, რომ კლუბებს ბიუჯეტიდან წელსვე დავაფინანსებთ. ასეთი რამ მე არც მითქვამს და ვერც ვიტყოდი, რადგან საამისო რესურსი არ არსებობს. ჯერჯერობით მაინც. ეს შეიძლება განხორციელდეს დროთა განმავლობაში, სპორტული ინტერესების დაცვით. რაც შეეხება გორის „დილას“ საკითხს, სპორტის სამინისტროსგან დაფინანსება არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. როგორც ადრე, კლუბს მუნიციპალიტეტი აფინანსებს. იქიდან გამომდინარე, რომ გუნდი ევროპის ლიგაზე გადის, სახელმწიფოსგან მისი დაფინანსება გამართლებულია. ქვეყნისთვის უფრო მეტი სირცხვილი იქნება ევროსარბიელზე უარის თქმა, ვიდრე მისი დაფინანსება. ამიტომ არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც აცხადებენ, რომ გორის „დილა“ თუ ფინანსდება, იგივე თანხა სხვა კლუბებსაც უნდა დაერიცხოთ“.

ყიფიანის ეს განცხადება სხვა კლუბებს გულზე ნამდვილად არ მოეფინებოდათ, რადგან ყველას ჰქონდა და ვინძლო ახლაც აქვს იმის იმედი, რომ სახელმწიფო „დილას“ გარდა სხვებსაც გადმოხედავს მოწყალების თვალით.

თუ კლუბები წელსვე არ დაფინასდებიან, მაშინ რატომ დაფინანსდა მხოლოდ „დილა“? მინისტრის ლოგიკით, ეს იმიტომ მოხდა, რომ „დილა“ ევროსარბიელზე თამაშობს. რა თქმა უნდა, ამაში მართლაც არის ლოგიკა, თუმცა „დილას“ გარდა წლეულს ევროსარბიელზე გამოსვლა კიდევ სამ ქართულ გუნდს უწევს - „დინამო თბილისს“, ქუთაისის „ტორპედოს“ და საჩხერის „ჩიხურას“.

სამივე კლუბი კერძოა - თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ სახელმწიფოს მხოლოდ მუნიციპალური კლუბების მდგომარეობა აინტერესებს, რაც უკვე არღვევს სამართლიანობის პრინციპს.

აქ ერთი ნიუანსიც იკვეთება. „დილას“ ფული ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან დაერიცხება, მუნიციპალიტეტი კი სპორტის სამინისტროს სტრუქტურაში არ შედის.

მოკლედ, იურიდიულად გორის მუნიციპალიტეტი და სპორტის სამინისტრო სხვადასხვა ორგანიზაციაა, თუმცა ორივე სახელმწიფო სტრუქტურაა და ორივე სახელმწიფოს ფულს ხარჯავს.

იურიდიულად ასევე სხვა ორგანიზაციები არიან ბოლნისის, ზუგდიდის, ბათუმისა და ფოთის მუნიციპალიტეტები, მაგრამ ისინიც სახელმწიფო სტრუქტურაში შედიან და გამოდის, რომ ამ ქალაქების საფეხბურთო კლუბებს ერთი პატრონი ჰყავთ, ერთ პატრონს კი არ უნდა ჰყავდეს რამდენიმე კლუბი უმაღლეს ლიგაში.

კაზუსების მოყვარულები მართლაც ბევრ საინტერესოს აღმოაჩენენ ქართული საკლუბო ფეხბურთის დავიდარაბაში.

„დილა“ პრივილეგირებული სახელმწიფო გუნდი იყო წინა ხელისუფლების პერიოდში და როგორც ჩანს, დღესაც იგივე გრძელდება. თუ ამის კონტრარგუმენტი არსებობს, სიამოვნებით მოვისმენთ. ილუზია, რომ სახელმწიფო ყველა კლუბს თანაბრად დააფინანსებდა, მართლაც არსებობდა. კლუბები ახლა სოლიდარობას ცდილობენ, თუმცა ეს არ იქნება იოლად მისაღწევი.

ყველაზე ღონიერი ქართული კლუბი დღეს „დინამო თბილისია“ და საინტერესოა, რამდენად ხისტი აღმოჩნდება მისი პოზიცია სახელმწიფოს მხრიდან გერი თუ ჯილა კლუბების არსებობის ფაქტზე. სოლიდარობას რამდენიმე კლუბის ერთიანი ფრონტი სჭირდება, თუმცა ყოჩი აქაც აუცილებელია.

არის ლაპარაკი ეროვნული ჩემპიონატის ბოიკოტზე, მაგრამ ვინც მხარს უჭერს ამ იდეას, ბოლომდე უერთგულებს კი მას? თუ ციხე შიგნიდან არ გატყდება, კლუბები აიძულებენ სახელმწიფოს, რომ მათი ინტერესები გაითვალისწინოს - ეს ყველაზე ახლოს არის ლოგიკასთან.

და რა შეუძლია ფეხბურთის ფედერაციას ამ სიტუაციაში? კითხვა აქტუალურია, მაგრამ ალბათ არც იმის ილუზია უნდა ჰქონდეთ კლუბებს, რომ მათ ფედერაცია გამოუყოფს ორ-ორ მილიონ ლარს, რადგან თვითონ ფედერაცია იღებს დოტაციას სახელმწიფოსგან ნაკრები გუნდებისთვის.

სპორტის სამინისტროს ამ ხელმძღვანელობას მართლაც ცუდი მემკვიდრეობა ერგო, მაგრამ თუ კლუბების პრობლემა ვერ გადაიჭრა, ხელი საით უნდა გავიშვიროთ?..

გვერდი მოამზადა
**დავით თავართქილაძემ**

● საქართველოს XXIV ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება. მერანი

# შესაძლებლობის მაქსიმუმი


მალხაზ ყვანია

"მერანი" უკვე ჩამოყალიბდა უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ კლუბად. მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობები მარტვილელებს მაღალი მიზნების დასახვის საშუალებას არ აძლევს და ამიტომაც, მათი ერთადერთი საზრუნავი უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებაა, რასაც "მერანმა" ამ სეზონშიც დამაჯერებლად გაართვა თავი.

არაერთი ყოფითი თუ ინფრასტრუქტურული პრობლემის მიუხედავად, "მერანმა" მაინც შეძლო ქულათა იმ რაოდენობის დაგროვება, რამაც უმაღლეს ლიგაში დარჩენის საშუალება მისცა. ზემოთ ნახსენები სტაბილურობა კი თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ მიზერული ბიუჯეტის მიუხედავად, "მერანის" არსებობას საფრთხე არ დამუქრებია, წლებია, კლუბის ბირთვი მეტ-ნაკლებად უცვლელია და რაც ქართული რეალობისთვის ყველაზე უცხოა, ურყევია ნდობა სამწვრთნელო შტაბის მიმართ – **მალხაზ ყვანიამ** და მისმა ასისტენტმა **არჩილ ჩხაბერიძემ** გუნდის წარმატებისთვის მართლაც დიდძალი სამუშაო გასწიეს და "მერანს" საკუთარი ხელწერაც შესძინეს.

გასული სეზონი "მერანისთვის" იოლი არ ყოფილა. მარტვილელები ზეექვსეულში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ერთი შეხედვით, გასავარდნად საქმე არ უნდა გახდომოდათ. ყვანიას გუნდმა ჩემპიონატის მეორე ეტაპზე მთლად დამაჯერებლად ვერ ითამაშა, მაგრამ გადამწყვეტი მატჩებისთვის მობილიზება შეძლო და მიზანს დამსახურებულად მიაღწია.

"მერანის" უფრო დიდ წარმატებად კი ის მიგვაჩნია, რომ მის შემადგენლობაში უკვე რეგულარულად მწიფდებიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც სამომავლოდ დიდი წარმატებების მიღწევა შეუძლიათ. ასე, მაგალითად, "მერანიდან" "ტორპედოში" გადასული **ელგუჯა გრიგალაშვილი** საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს, **ლევან გეგეჭკორი** კი საქართველოს იმ 19-წლამდელთა ნაკრების წევრია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა.

## საუკეთესო მატჩი

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე "მერანმა" მარტვილში "ტორპედოს" 3:0 მოუგო. ეს ყვანიას გუნდის მიერ გასულ სეზონში ჩატარებული ყველაზე შთამბეჭდავი შეხვედრა იყო.

## ყველაზე ცუდი მატჩი

მეორე ეტაპზე "მერანმა" ბათუმში ადგილობრივი "დინამოსგან" ექვსი უპასუხო გოლი გაუშვა. ასეთი მწარე მარცხი მარტვილელებს მანამდე არასდროს განეცადათ.

### მეკარე

22 წლის **ჯონი შეროზია** მყარად ინარჩუნებს ადგილს "მერანის" სასტარტო შემადგენლობაში. სანამ ასაკი ხელს უწყობდა, მას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც იძახებდნენ. შეროზიას ყველა მონაცემი აქვს იმისთვის, რომ მაღალი კლასის მეკარედ ჩამოყალიბდეს.

### დაცვა

18 წლის ლევან გეგეჭკორი ზემოთ ვახსენეთ. მის გარდა, "მერანის" დაცვის ხაზზე მთელი სეზონის განმავლობაში უმეტესად, 24 წლის **ვალერი იობაშვილს**, 26 წლის **გივი ქარქუზაშვილსა** და 21 წლის **კიჟი მელიავას** ვხედავდით.

### ნახევარდაცვა

37 წლის **გივი დიდავა** სოლიდური საფეხბურთო ასაკის მიუხედავად, კვლავ რჩება მარტვილელთა ნახევარდაცვის ერთ-ერთ ლიდერად. მისი მაგალითი ამტკიცებს, რომ ახალგაზრდების მხარდამხარ გამოცდილი ვეტერანის თამაში გუნდზე დადებით ზემოქმედებას ახდენს. მის გარდა, შუა ხაზში სხვებზე ხშირად თამაშობდნენ **პაპუნა ფონიავა** (19 წლის), **ცოტნე ბუკია** (23 წლის) და **ლაშა კუჭუხიძე** (24 წლის).

### თავდასხმა

**საბა ლომია** გასული სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენაა. 22 წლის თავდამსხმელზე, რომელიც "ზესტაფონის" კუთვნილებაა, "მერანში" განათხოვრებამ სასიკეთოდ იმოქმედა და 16 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში იგი მესამე ადგილზე გავიდა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ სეზონის მეორე ნახევარში ლომიამ პირად მონაგარს სამიოდე გოლი შესძინა. მარტვილელთა მეორე ძირითადი ფორვარდი 27 წლის **მამუკა ტორონჯაძეა**.

**ლევან ჯანეზაშვილი**


მერანმა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება მოახერხა


მერანის ლიდერი და სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა საბა ლომია

### მერანის ყველა მატჩი

**I ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ზესტაფონი-მერანი | 3:1 |
| II ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| III ტური | მეტალურგი-მერანი | 1:0 |
| IV ტური | მერანი-ჩიხურა | 1:0 |
| V ტური | ტორპედო-მერანი | 4:0 |
| VI ტური | მერანი-სიონი | 1:0 |
| VII ტური | დინამო (ბთ)-მერანი | 4:0 |
| VIII ტური | მერანი-ზუგდიდი | 1:2 |
| IX ტური | კოლხეთი-მერანი | 0:1 |
| X ტური | მერანი-დინამო (თბ) | 0:4 |
| XI ტური | დილა-მერანი | 2:1 |
| XII ტური | მერანი-ზესტაფონი | 0:3 |
| XIII ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 0:0 |
| XIV ტური | მერანი-მეტალურგი | 0:0 |
| XV ტური | ჩიხურა-მერანი | 1:0 |
| XVI ტური | მერანი-ტორპედო | 3:0 |
| XVII ტური | სიონი-მერანი | 2:1 |
| XVIII ტური | მერანი-დინამო (ბთ) | 3:1 |
| XIX ტური | ზუგდიდი-მერანი | 3:2 |
| XX ტური | მერანი-კოლხეთი | 4:0 |
| XXI ტური | დინამო (თბ)-მერანი | 3:1 |
| XXII ტური | მერანი-დილა | 2:3 |

*I ეტაპი: 22 მატჩი, 7 მოგება, 2 ფრე, 13 მატჩი, ბურთები: 23-36*

**II ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| XXIII ტური | მერანი-დინამო (ბთ) | 0:1 |
| XXIV ტური | მეტალურგი-მერანი | 1:1 |
| XXV ტური | მერანი-კოლხეთი | 0:1 |
| XXVI ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XXVII ტური | სიონი-მერანი | 3:1 |
| XXVIII ტური | დინამო (ბთ)-მერანი | 6:0 |
| XXIX ტური | მერანი-მეტალურგი | 1:0 |
| XXX ტური | კოლხეთი-მერანი | 1:2 |
| XXXI ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 0:0 |
| XXXII ტური | მერანი-სიონი | 1:2 |

*II ეტაპი: 10 მატჩი, 3 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება, ბურთები: 8-15*

*სულ: 32 მატჩი, 10 მოგება, 4 ფრე, 18 წაგება, ბურთები: 31-51*

*მწვრთნელი: მალხაზ ყვანია*

მეკარეები: ჯონი შეროზია – 31 მატჩი, მიხეილ მუჯრიშვილი – 1 მატჩი;

მცველები: კიჟი მელიავა – 30 მატჩი, გივი ქარქუზაშვილი – 27 მატჩი, ვალერი იობაშვილი – 26 მატჩი, 2 გოლი, ლევან გეგეჭკორი – 23 მატჩი, გიგა ყვანია – 14 მატჩი, გიორგი მჭედლიშვილი – 10 მატჩი, გელა ხუბუა – 9 მატჩი, ლაშა ლონლაძე – 8 მატჩი, 1 გოლი, ბორის გელაჭეიშვილი – 4 მატჩი, გიორგი გეგია – 2 მატჩი, რომან კიკალიშვილი – 1 მატჩი, თევდორე ლურსმანაშვილი – 1 მატჩი, ცოტნე მონიავა – 1 მატჩი;

ნახევარმცველები: გივი დიდავა – 30 მატჩი, 1 გოლი, პაპუნა ფონიავა – 29 მატჩი, 1 გოლი, ცოტნე ბუკია – 29 მატჩი, ლაშა კუჭუხიძე – 24 მატჩი, 1 გოლი, ნოდარ ნოზაძე – 22 მატჩი, 2 გოლი, გაგა გუგუნაშვილი – 2 მატჩი, ირაკლი მონიავა – 2 მატჩი, გიორგი გაბისონია - 1, ნიკა დარჯანია – 1 მატჩი;

თავდამსხმელები: საბა ლომია – 32 მატჩი, 16 გოლი, მამუკა ტორონჯაძე – 27 მატჩი, 3 გოლი, გიგა ამბროლაძე - 20 მატჩი, 2 გოლი, გიორგი რეხვიაშვილი – 12 მატჩი, 1 გოლი, კრის ზანება – 8 მატჩი, ბექა ჩხეტიანი – 6, ბერდია მარვაძე – 5 მატჩი, ბექა ზაქრაძე – 3 მატჩი, გიორგი მეგრელაძე – 1 მატჩი.

● მერანი


ფრიდონ ინჯია

# ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

როგორც იცით, უმაღლესი ლიგის გუნდებისა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა დაპირისპირება პიკს აღწევს. საქმე ისაა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე ერთბაშად 8 გუნდი ამბობს უარს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება თუ ისინი სახელმწიფოსაგან 2 მილიონ ლარს არ მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ოდენობის თანხა გორის "დილამ" უკვე მიიღო ბიუჯეტიდან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კლუბების პრეზიდენტთა უმრავლესობა ერთ აზრამდე მოვიდა. ისინი არათანაბარ კონკურენციაზე საუბრობენ და ჩემპიონატის ჩაშლით იმუქრებიან. მათი პოზიციაც გასაგებია: საქართველოში ბიზნეს საქმიანობიდან არავის აქვს იმდენი ფული, რომ წლობით შეინახონ საფეხბურთო კლუბი. ფაქტია, რომ მდგომარეობა მართლაც ჩიხშია შესული.

ამ საკითხთან დაკავშირებით მარტვილის "მერანის" პრეზიდენტ **ფრიდონ ინჯიას** ვთხოვეთ კომენტარი:

- ქვეყანაში საფეხბურთო თვალსაზრისით საშინელი მდგომარეობაა. ფაქტობრივად, არ არსებობს გუნდების დაფინანსების პოლიტიკა. ბაზარზე არათანაბარი პირობებია შექმნილი. თუ ასე გაგრძელდა, ვერც ჩვენ და ვერც დანარჩენი გუნდები, რომლებიც კერძო დაფინანსებაზე იმყოფებიან, უმაღლესი ლიგის თამაშებში ახალი სეზონიდან, მონაწილეობას ველარ მიიღებენ. ბიუჯეტიდან გორის "დილას" დამატებით 2 მილიონი გამოეყო, წლის განმავლობაში კი, ჯამში 11 მილიონ 800 ათასი ლარი მიიღო. განა ნორმალურია, როდესაც ერთი გუნდი კოლოსალურ თანხებს იღებს, სხვები კი არც ერთ კაპიკს ? თავიდანვე ცხადია, რომ "დილას" "მერანი" კონკურენციას ვერ გაუწევს. ჩემთვის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოზიცია გასაგებია, მას სურს, რომ უმაღლესი ლიგის თითოეული გუნდი თანაბარ სასტარტო პირობებში ჩააყენოს. თუმცა საკვირველია, სად იყო ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ამდენ ხანს? რატომ ერთხელ არ საუბრობდა იგი ღიად ამ თემებზე? ვფიქრობ, რომ აუცილებელია ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის სამინისტროს შორის მოხდეს რაღაც სახის შეთანხმება, რათა სავალალო შედეგები თავიდან ავიცილოთ.

**- სხვა კერძო კლუბების მფლობელებთან თუ გქონდათ საუბარი და მათ რა პოზიცია აქვთ ?**

- კერძო გუნდები: "მერანი", "ვიტ ჯორჯია", "ზესტაფონი" და "მეტალურგი" ასეთ პირობებში უმაღლეს ლიგაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. არის სხვა გუნდებიც, რომლებსაც უამრავი პრეტენზია აქვთ. რაც შეეხება ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ თბილისის "დინამოს", მათმა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ შეუერთდებიან ჩვენს მოთხოვნებს და სოლიდარობის ნიშნად მზად არიან ბოიკოტისათვის.

**- გუნდის დაშლა ახსენეთ, რა სახით გააგრძელებს "მერანი" არსებობას?**

- "მერანი" საფეხბურთო რუკაზე 7 წლის წინ გამოჩნდა. ამ ხნის მანძილზე დავამტკიცეთ, რომ საუკეთესოთა მარაქაში ადგილი სავსებით დამსახურებულად მოვიპოვეთ. გუნდი ზედიზედ სამი წელია, რაც უმაღლეს ლიგაში ასპარეზობს. სამწუხაროდ, ფედერაციის არასწორი მიდგომით მარტვილში ფეხბურთი კვდება. რაც შეეხება გუნდის მომავალს, ჯერჯერობით გაურკვეველია "მერანი" გააგრძელებს თუ შეწყვეტს არსებობას.

**ბესიკ გვაზავა**

● ლეგიონერები

# ხაბაროვსკიდან მოდის ქარავანი

## კონტრაქტი მხოლოდ ნავალოვსკიმ გააგრძელა

**გიორგი დარასელიას** გუნდმა მიზანს ვერ მიაღწია: ხაბაროვსკის "სკა-ენერგია" "როსტოვთან" რუსეთის პრემიერლიგის პლეი ოფის ორივე მატჩში დამარცხდა (0:2 გასვლაზე, შინ - 0:1) და კვლავ ნაციონალურ დივიზიონში ითამაშებს.

ხაბაროვსკელთა წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ისიც დასახელდა, რომ განმეორებითი მატჩი ქართველთაგან მხოლოდ **შოთა გრიგალაშვილმა** ითამაშა, **ოთარ მარცვალაძე** სათადარიგო იყო, დანარჩენები 18-კაციან განაცხადში ვერ მოხვდნენ - ტრავმირებულები იყვნენ **ლაშა სალუქვაძე** და **გოჩა ხოჯავა**, ხოლო **გიორგი ნავალოვსკის** უთამაშებლობის მიზეზი სამი ყვითელი ბარათი იყო.

"სკა-ენერგიას" გენერალურმა დირექტორმა **სერგეი ფელდმანმა** განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში ეცოდინებოდა, გაუგრძელებდნენ თუ არა კონტრაქტებს ჩვენს ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელ **გიორგი დარასელიას** და იქვე, მათი წასვლა არ გამორიცხა. თუმცა, არ დამალა, რომ ქართველ მწვრთნელს დარჩენის სურვილი ჰქონდა.

მალე ფელდმანმა გაამხილა, რომ გუნდი შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ შორის, სამი ქართველი აღმოჩნდა - ახალი კლუბების მოძებნა მოუწევთ **შოთა გრიგალაშვილს, გოჩა ხოჯავასა** და **ოთარ მარცვალაძეს**. „სკა-ენერგიასთან" სამივეს კონტრაქტი დაუმთავრდა.

არაფერი იყო ცნობილი **ლაშა სალუქვაძეზე, გიორგი ნავალოვსკისა** და **გიორგი დარასელიაზე**. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ გუნდი სალუქვაძემაც დატოვა. „სკა-ენერგიასთან" კონტრაქტი კი მხოლოდ **გიორგი ნავალოვსკიმ** გაახანგრძლივა.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ნავალოვსკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



მარტინ შკრტელი „ლივერპულიდან“ წასვლაზე აღარ ლაპარაკობს

# სლოვაკის სიამაყის საფუძველი

**„ენფილდიდან“ მარტინ შკრტელის წასვლაზე იმდენი დაიწერა, რომ „ლივერპულის“ გულშემატკივარს ალბათ მოჰბეზრდა კიდეც ეს თემა. ცოტა ხნის წინ 28 წლის მცველმა განაცხადა, რომ მისთვის სხვა კლუბში გადასვლა თვითმიზანი არ არის და თუკი გუნდის მთავარი მწვრთნელი ძირითადში ადგილს ისევ მიანდობს, მზად არის დარჩეს. იქამდე კი ვიდრე სლოვაკის ბედი გაირკვევა, მან საკლუბო ვებგვერდის შეკითხვებს უპასუხა.**

**- მას შემდეგ, რაც „ენფილდზე“ თამაშობთ, საუკეთესო ფორმაში როდის იყავით?**

- ვფიქრობ მაშინ, როცა ლიგის თასი მოვიგეთ. ჩემთვის ეს „ლივერპულში“ პირველი ტიტული იყო და თანაც ფინალში გოლი გავიტანე.

**- თქვენს კარიერაში ეს საუკეთესო წლები იყო, თუ სხვების გახსენებაც შეგიძლიათ?**

- ჩემთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ჩემპიონის ტიტული.

**- ჯეიმი კარაგერმა კარიერა დაასრულა. მისგან რა ისწავლეთ?**

- უნდა გითხრათ, რომ ის ძალიან დამეხმარა საწყის ეტაპზე. ვარჯიში ისეთ ფეხბურთელებთან, როგორებიც ჯეიმი და სამი ჰიიპია იყვნენ, ძალიან სასარგებლო გამოდგა. მან პირადად გადაწყვიტა პენსიაზე გასვლა. მის ნებას კი ყველამ პატივი უნდა ვცეთ და ახალ ცხოვრებაში წარმატებები ვუსურვოთ.

**- ბევრი სვირინგი გაქვთ. რას ნიშნავს ისინი თქვენთვის?**

- ზურგზე ჩემი შვილისა და მეუღლის სახელები მაწერია, ხელზე №37 მაქვს დახატული, ასე რომ, ყოველი ტატუირება რაღაცას ნიშნავს.

**- შარშან „ლივერპული“-“ბლექბერნის“ შეხვედრაში გუნდს უკაპიტნეთ. როგორი შეგრძნება იყო?**

- ფანტასტიკური გრძნობა იყო, რადგან სამკლავურის ტარება თითოეული ფეხბურთელისთვის განსაკუთრებული პატივია. მეც დიდი სიამოვნება მივიღე ამ როლით. იმედია, ოდესმე კიდევ მომეცემა ამის შანსი.

**- ვინ იყო საუკეთესო ფეხბურთელი, ვის წინააღმდეგაც ოდესმე გითამაშიათ?**

- ზინედინ ზიდანს დავასახელებდი. მე მას ერთხელ ვეთამაშე სანაკრებო შეხვედრაში. მიმაჩნია, რომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშეა. მასთან დაპირისპირება ძალიან რთული, მაგრამ სასიამოვნო პროცესი იყო.

**- ან დასრულებულ სეზონში თქვენს ასპარეზობას როგორ შეაფასებდით?**

- აშკარად მეტი შემეძლო. ურთულესი სეზონი იყო, მაგრამ ფეხბურთში მსგავსი რამ ხშირად ხდება ხოლმე. ჩემზე რაც არის დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომავალში უფრო კარგად ვითამაშო.

**- რა არის საჭირო, რომ თქვენი თამაშის ხარისხი გაუმჯობესდეს?**

- 28 წლის ვარ. შემიძლია ვთქვა, რომ უკვე დიდი გამოცდილება მაქვს, მაგრამ ფეხბურთი მუდმივი სწავლის პროცესია. სწორედ ამას ვცდილობ ყოველდღე: გავაუმჯობესო პოზიციის შერჩევა და ბურთის ფლობის ტექნიკა.

**- თქვენს კარიერაში რამეს თუ შეცვლიდით?**

- არა მგონია, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი კარიერა მუდმივად ვითარდება. თამაში სლოვაკეთში დავიწყე, შემდეგ რუსეთში წავედი, ახლა ინგლისში ვარ.

**- როგორ ფიქრობთ, „ლივერპულს“ გარკვეული პროგრესი მაინც თუ ჰქონდა ამ სეზონში?**

- დიახ, რადგან გაიზარდა იმ თამაშების რაოდენობა, რომლებშიც ჩვენი თამაშის ხარისხი მაღალი იყო, მაგრამ სამ ქულას უიღბლობის გამო ვერ ვიღებდით. ჩემპიონატის ლიდერებთან მატჩებში თუ არ ვდომინირებდით, ბურთის ფლობა თანაბარი გვქონდა. იმედია, კიდევ მოვუმატებთ და სათანადო შედეგიც მალე გვექნება.

**- მართალია, რომ სლოვაკურ რეპს უსმენთ?**

- დიახ, ერთ კონკრეტულ ჯგუფს ვუსმენ, რომლის წევრებსაც პირადად ვიცნობ. შვებულების დროს ვცდილობ ხოლმე, რომ მათ რომელიმე კონცერტს დავესწრო.

**- ამბობენ, რომ ერთხელ „ბურგერ კინგში“ მიხვედით და იქ „მაკდონალდსის“ „ბიგ მაკი“ მოითხოვეთ.**

- არა, არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. კარგად მახსოვს ეს ხმები როდის გავრცელდა. ზუსტად ლიგის თასის ფინალის წინ. მეც ბევრი ვიხალისე.

**- რას აირჩევდით, გადამწყვეტ უხვგოლიან შეხვედრაში, თქვენი დარტყმით გამარჯვებას თუ უბრალოდ მშრალად მოგებულ თამაშს?**

- მე მცველი ვარ და მეორე ვარიანტი მირჩევნია.

**- თქვენი აზრით, ყველა დროის საუკეთესო მცველი ვინ არის?**

- ყოველთვის განსაკუთრებულ პატივს ვცემდი ფაბიო კანავაროს. ჩემი ხმა მას ეკუთვნის.

პრემიერლიგა

# პრემიერლიგის ახალი რეკორდი

PREMIER LEAGUE

აუდიტორული კომპანია „დელოიტმა“ პრემიერლიგის 2011/12 წლების სეზონის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა დაასრულა.

აღმოჩნდა, რომ ინგლისური კლუბების საერთო შემოსავალმა აღნიშნული პერიოდისთვის 2,9 მილიარდი ევრო შეადგინა (2,36 მილარდი ფუნტი). BBC-ის ცნობით, ამ თანხის 70% ფეხბურთელთა ხელფასებში დაიხარჯა. წინასწარი პროგნოზით, 2012/13-ის სეზონში შემოსავალი კიდევ 600 მილიონი ევროთი უნდა გაზრდილიყო, 2013/14-ისთვის კი მან 3 მილიარდს უნდა გადააჭარბოს, რადგან სწორედ მომდევნო სეზონიდან შედის ძალაში ახალი სატელევიზიო კონტრაქტები. საინტერესოა, რომ 2011/12-ის სეზონში პროფესიული ლიგის წევრმა 92-მა კლუბმა დაახლოებით ანალოგიური თანხა გამოიმუშავა. პრემიერლიგასა და დანარჩენ ევროპულ ჩემპიონატებს შორის შემოსავლის მხრივ სხვაობა კოლოსალურია. მეორეადგილოსანი ბუნდესლიგის შედეგები ასეთია: 1,9 მილიარდი (1 მილიარდი ხელფასებში), მესამეზეა ესპანეთის პრიმერა დივიზიონი 1,8 მილიარდით (1,1 ხელფასებში), მეოთხე იტალია სერია A – 1,6 მილიარდით (1,2 ხელფასებში), მეხუთე საფრანგეთი – 1,1 მილიარდი (0,8 ხელფასებში).

პრემიერლიგაზე ცალკე იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ მოთამაშეთა ანაზღაურებაში დახარჯული 1,66 მილიარდი ფუნტიდან 202 მილიონი მარტო „მანჩესტერ სიტიმ“ გაიღო. ინგლისის უმაღლეს ლიგაში ყველაზე მოკრძალებული მაჩვენებელი ამ მხრივ „სუონსის“ აქვს – 35 მილიონი ფუნტი. *„პრემიერლიგური კლუბების შემოსავლები უეფას ახალი ფინანსური კანონმდებლობის ამუშავების შემდეგაც კი საკმარისი იქნება მათი სიცოცხლისუნარიანობისთვის, თუმცა სახელფასო ფონდის პერმანენტული ზრდა სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა,“* – აცხადებს „დელოიტის“ წარმომადგენელი **დენ ჯონსი**.

ამბები

## დაწუნებული ხუთეული

ბირმინგემის „ასტონ ვილას“ ვებგვერდის ცნობით, საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ კლუბს ხუთი ფეხბურთელი დატოვებს. ესენი არიან: მეკარე **ენდი მარშალი** (38 წლის), მცველები **ერიკ ლიშაი** (24), **რიჩარდ დანი** (33), ნახევარმცველები **ჟან მაკუნი** (30) და თავდამსხმელი **საიმონ დოუკინსი** (25). მაკუნმა სეზონი „რენში“ გაატარა და ფრანგული გუნდის ახალ თავკაც **ფილიპ მონტანიეს** მასთან სრულფასოვანი ხელშეკრულების გაფორმება სურს, დოუკინსი კი „ტოტენჰემს“ ეკუთვნის და „უაით ჰართ ლეინზე“ დაბრუნდა. პირველ სამეულს კი კონტრაქტი უმთავრდება და „ვილა“ მათთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებს. სამაგიეროდ „ვილა პარკზე“ დაბრუნდა „მალიორკაში“ ერთი წლით განათხოვრებული შოტლანდიელი განაპირა მცველი **ალან ჰატონი** (28).

## მოურინიო ჰალკზე ნადირობას იწყებს

ოთხშაბათს გვიან ღამით ინგლისურმა „დეილი მირორმა“ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა: **რადამელ ფალკაოს** ტრანსფერში ხელის მოცარვის შემდეგ „ჩელსი“ მზადაა, 35 მილიონი ფუნტი (41,20 მლნ ევრო) გადაიხადოს „ზენიტისა“ და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელ **ჰალკში**. ცხადია, ამ იდეას **ჟოზე მოურინიოც** ეთანხმება, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ 26 წლის თავდამსხმელის ყიდვას „ჩელსი“ შარშან ზაფხულზეც ცდილობდა, მაგრამ მაშინ ლონდონელთა წინადადება რუსული კლუბის მიერ გადახდილმა 60-მა მილიონმა ევრომ დაჩრდილა. სამხრეთამერიკელს რუსეთში სერიოზული პრობლემები შეექმნა. მას კონფლიქტი აქვს **ლუჩანო სპალეტისთან** და რამდენიმე თანაგუნდელთან. ამას გარდა „ზენიტის“ გულშემატკივართა გარკვეულ ნაწილს მისი კანის ფერიც არ მოსდის თვალში. პეტერბურგელები მზად არიან, სერიოზულ ზარალზე წავიდნენ, ოღონდაც გუნდში ჰარმონია აღადგინონ.


ჰალკი

## სტოკი შვიდ ფეხბურთელს გამოეთხოვა

„სტოკ სიტიმ“ შვიდ ფეხბურთელს აცნობა, რომ მათთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებს. ესენი არიან: მეკარე **კარლო ნეში** (39 წლის), მცველი **მეტიუ აპსონი** (34), ნახევარმცველები **რორი რელაპი** (36), **მეტიუ ლუნდი** (22), **ჯერმეინ პენანტი** (30), **დინ უაიტჰედი** (31) და თავდამსხმელი **მამადი სიდიბე** (33). ლუნდისა და სიდიბეს გარდა სეზონი ყველამ „ბრიტანიაზე“ გაატარა, მაგრამ ისინი გუნდს ვერაფრით შეეწივნენ. ხელმძღვანელობა ყველა მათგანს სტანდარტული, შეიძლება ითქვას, შაბლონური მადლობის შემდეგ დაემშვიდობა.

## ბალდინი ტოტენჰემში მიდის


ფრანკო ბალდინი

ორი დღის წინ „რომას“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, კლუბმა ტექნიკური დირექტორის პოსტიდან 52 წლის **ფრანკო ბალდინი** დაითხოვა. ინგლისის ნაკრებში **ფაბიო კაპელოს** ყოფილ თანაშემწეს უმუშევრობა არ ემუქრება. მას ამავე პოსტს „ტოტენჰემი“ სთავაზობს. პირველად ბალდინის ლონდონურ პერსპექტივაზე იტალიური პრესა ერთი თვის წინ ალაპარაკდა. აპენინელთან თანამშრომლობის ინიციატივა **ანდრე ვილაშ ბოაშს** ეკუთვნის. მას სატრანსფერო ბაზარზე ეფექტური საქმიანობისთვის კვალიფიციური თანაშემწე სჭირდება. ეს პოსტი „დეზებში“ მას მერე ვაკანტურია, რაც **იან ბლუმფილდმა ჰარი რედნაპის** მიწვევა მიიღო და „ქუინზ პარკში“ გადავიდა სამუშაოდ.

## ევერტონს სამი ფეხბურთელი ტოვებს

ივნისის ბოლოს „ევერტონის“ მხოლოდ სამ ფეხბურთელს უმთავრდება ხელშეკრულება. ლაპარაკია მეკარე **იან მუხაზე** (30 წლის), მცველ **ფილ ნევილსა** (36) და ნახევარმცველ **თომას ჰიტცლშპერგერზე** (31). ლივერპულელებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ისინი „გუდისონ პარკზე“ მომდევნო სეზონში აღარ ითამაშებენ.

## რედნაპი იმუქრება

ჩემპიონშიპში დაქვეითებული „ქუინზ პარკის“ მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** იმუქრება, რომ თუკი კლუბის ხელმძღვანელობა მეორედ გადაწყვეტს მის საქმეებში ჩარევასა და სატრანსფერო პოლიტიკის განსაზღვრას, ის „ლოფტუს როუდს“ მაშინვე დატოვებს. 65 წლის სპეციალისტის აღშფოთება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ დირექტორატის წევრებმა 34 წლის **უეინ ბრიჯთან** კონტრაქტის გაფორმების იდეა დაიწუნეს. „ჩელსის“, „მანჩესტერ სიტისა“ და ინგლისის ნაკრების ყოფილი განაპირა მცველი ივნისის ბოლო თავისუფალი აგენტი ხდება. რედნაპმა კი მას უკვე შესთავაზა თანამშრომლობა. სპეციალისტის თქმით, მსგავსი გადაწყვეტილების მიღების წინ მოსათათბირებლად მას საკუთარი სამწვრთნელო შტაბი ჰყავს და სხვების აზრი ნაკლებად აღელვებს.


ჰარი რედნაპი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● მილანი



მასიმილიანო ალეგრი (მარცხნივ) სილვიო ბერლუსკონიმ და ადრიანო გალიანიმ კარგად დამოძღვრეს

# მილანის ახალი სტრატეგია
## და სატრანსფერო ამბები

**მასიმილიანო ალეგრიმ** „მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტი შეინარჩუნა, მაგრამ **სილვიო ბერლუსკონისთან** შეთანხმების პროცესმა ბევრი კითხვა დაბადა... ყველაფერი **ადრიანო გალიანის** კომენტარს მოჰყვა, რომლის ძირითად ნაწყვეტსაც აქვე გახსენებთ:

„კომპრომისამდე მივედით და შეთანხმება შედგა. სილვიო ბერლუსკონი ყოველთვის კმაყოფილი იყო მასიმილიანო ალეგრის მუშაობით და მას სამომავლოდაც ენდობა. ჩვენ შევთანხმდით, თუ როგორ უნდა ითამაშოს „მილანმა" და მჯერა, რომ დიდ წარმატებებს მივაღწევთ". ალეგრის ფრაზას: „ჩვენ შევთანხმდით, თუ როგორ უნდა ითამაშოს „მილანმა" - დიდი გამოხმაურება მოჰყვა... იტალიელმა ჟურნალისტებმა ეს მწვრთნელის საქმეში პირდაპირ ჩარევად მონათლეს და არცთუ უსაფუძვლოდ. ამიტომ, მილანური გრანდის მესვეურები იძულებულნი გახდნენ რამდენიმე განმარტება გაეკეთებინათ. თავად განსაჯეთ, ამ თემაზე ჟურნალისტებს ადრიანო გალიანიც გაესაუბრა და თვით სილვიო ბერლუსკონიც...

**სილვიო ბერლუსკონი:** „ჩემსა და ალეგრის შორის ყოველთვის გულახდილი ურთიერთობა იყო, თუმცა არ დავმალავ, რომ ბოლო პერიოდში, გარკვეულ საკითხებზე ვერ ვთანხმდებოდით. ერთი ხანობა, თითქოს ჩიხში შევედით, მაგრამ საბოლოოდ, გამოვნახეთ საერთო ენა. არ მინდა ვინმემ ჩათვალოს, რომ „მილანში" მწვრთნელს თავისუფლებას არ ვაძლევთ, მაგრამ გარკვეული ჩარჩოები რომ გვაქვს, ეს ფაქტია. როგორ ფიქრობთ, როდესაც „ბარსელონაში" მწვრთნელი მიდის, მას არ უწევს გარკვეულ ჩარჩოში ჩაჯდომა? - „მილანი" უდიდესი ისტორიის გუნდია და მისი ტრადიციების პატივისცემა ნებისმიერ მწვრთნელს ევალება. საბედნიეროდ, ყველა კითხვას გაეცა პასუხი და ჩვენ შორის სრული იდილიაა".

**ადრიანო გალიანი:** „დიახ, ვადასტურებ, რომ ჩვენ შევთანხმდით თუ როგორ უნდა ითამაშოს მომავალში „მილანმა". გასულ სეზონში, მუდმივად 4-3-3 სქემით ვირჯებოდით, სამომავლოდ 4-3-1-2-ს დავეყრდნობით. არა იმიტომ, რომ ეს სილვიო ბერლუსკონის სურს, უბრალოდ, ყველამ ერთად ასე გადავწყვიტეთ. კონკრეტულ ფეხბურთელებზე ვერ ვისაუბრებ, რადგან ძირითად შემადგენლობაში ის მოთამაშეები იქნებიან, ვინც კონკრეტულ მომენტში საუკეთესო ფორმაში იქნება. ერთი ცხადია, ჩვენ გვყავს მოთამაშეები, რომლებიც ამ სქემას მოერგებიან".

ადრიანო გალიანიმ არ დამალა, რომ მომდევნო სეზონიდან „მილანი" 4-3-1-2 სქემით ითამაშებს. ამ ტაქტიკას გულშემატკივართა ნაწილი ჯერ კიდევ გასულ სეზონში ითხოვდა, რადგან **მარიო ბალოტელისა და სტეფან ელ შაარავის** ტანდემში ნახვა ბევრს აინტერესებდა. ალეგრი „პატარა ფარაონს" ფლანგზე არბენინებდა და როგორც ჩანს, ამან თვით ბერლუსკონი ალაშფოთა.

ერთი სიტყვით, მომდევნო სეზონში „როსონერი" ბალოტელი-ელ შაარავის ტანდემით ითამაშებს და ვინ იქნება გამთამაშებელი? - აქ რამდენიმე ვარიანტია, რომელთა შორის ყველაზე ხშირად **რიკარდო მონტოლივოს** ახსენებენ. კარიერის დიდი ნაწილი მონტოლივოს კლასიკურ ცენტრალურ ნახევარმცველად აქვს ნათამაშები, მაგრამ მონაცემები აქვს ისეთი, რომ შეიძლება მისი გამთამაშებლად აწევა... მოედნის ხედვა, პასი და დარტყმა არ დაეწუნება, ეს თვისებები კი სწორედ პლეიმეიქერს სჭირდება.

მეორე ვარიანტი **რიკარდო საპონარა** გახლავთ - 21 წლის კლასიკური გამთამაშებელი, უზადო ტექნიკით, მოედნის საოცარი ხედვით და პასის მაღალი კულტურით... საპონარა იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია და ამჟამად, ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობს, თავი კი „ემპოლიში" ბრწყინვალე გარჯით გაითქვა. რიკარდოს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და შემთხვევითი არაა, რომ მასში „მილანმა" 4 მილიონი ევრო გადაიხადა. გამთამაშებლობის კიდევ ერთ კანდიდატზე ქვემოთ მოგითხრობთ...

### პასტორე მილანის სამიზნეში

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „მილანის" მესვეურები **ხავიერ პასტორეთი** დაინტერესდნენ და ფრანგული პსჟ-ს მესვეურებთან აქტიურ მოლაპარაკებაში არიან ჩართულნი. პარიზელებს არ უნდათ ახალგაზრდა არგენტინელის გასხვისება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თურმე, თავად ხავიერს სურს იტალიაში დაბრუნება. შეგახსენებთ, რომ პასტორემ „პალერმოში" ასპარეზობით გაიგდო სახელი და დღემდე აცხადებს, რომ სიცილიაში თავს გაცილებით კარგად გრძნობდა, ვიდრე საფრანგეთის დედაქალაქში. როგორც ამბობენ, ნაწილობრივ ეს მისი ამპლუის შეცვლამაც განაპირობა - თუ „პალერმოში" ხავიერი წმინდა გამთამაშებელი იყო, პსჟ-ში ფლანგზე გადასწიეს. მოკლედ, „მილანი" ამ მეტად ნიჭიერი შემტევით დაინტერესდა, რაც ადრიანო გალიანიმაც დაადასტურა:

„პასტორეს გადაბირება ჯერ კიდევ მაშინ გვსურდა, როდესაც „პალერმოში" ასპარეზობდა, მაგრამ პსჟ-ს კონკურენცია ვერ გავუწიეთ. არ დავმალავ, რომ ხავიერის წამოყვანა ძალიან გვინდა, რადგან ის იდეალურად ჯდება „მილანის" ახალ კონცეფციაში. სწრაფია, ტექნიკური და მხოლოდ 23 წლის, ანუ კიდევ მრავალი წელი ითამაშებს უმაღლეს დონეზე. იმედია, შეთანხმება შედგება და ხავიერი „მილანში" გააგრძელებს კარიერას, თუმცა იქამდე ჯერ ბევრი საკითხია გასარკვევი".

### ისევ ბერლუსკონი და კაკა

ყოველ ზამთარ-ზაფხულს სილვიო ბერლუსკონი **რიკარდო კაკას** დაბრუნებას ლამობს, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოდის. იტალიური სპორტული პრესის ცნობით, 31 წლის ბრაზილიელს „როსონერის" მფლობელი ამ ზაფხულსაც ეკურკურება და ყველანაირად ცდილობს, რომ ამჯერადაც გადაიბიროს. მადრიდის „რეალის" მესვეურები რიკის გასაშვებად გასულ ზაფხულსაც იყვნენ მზად, მაგრამ ფეხბურთელი ითხოვს ისეთ ხელფასს, რომლის გადახდასაც ლომბარდიელები ვერ ახერხებენ. კაკა ჯამაგირის დაკლებას არ თანხმდება და გამომდინარე აქედან, პირველ რიგში სწორედ რიკია „შესახვევი" და არა „სამეფო კლუბის" პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი**. მოკლედ, „მილანის" და კაკას თემა ისევ აქტუალურია, თუმცა გალიანიმ ამაზეც გააკეთა კომენტარი და თან, ცოტა არ იყოს, სკეპტიკური:

„კაკას დღემდე „მილანისტად" მივიჩნევ და ძალიან მინდა, რომ კიდევ ვიხილო შავ-წითელი მაისურით. თუმცა, ამის ალბათობა მიზერულია და ჯობია, გულშემატკივრებმა ეს აქედანვე იცოდნენ. რიკი 30-ს გადასცილდა და მასში დიდ თანხას ვერ გადავიხდით - ვერც მაღალ ხელფასს დავუწინშნავთ და შესაბამისად, მეეჭვება, მისი ტრანსფერის საკითხი რეალურად დადგეს დღის წესრიგში".

### ანდრეა პოლიც მილანში

გენუის „სამპდორიამ" დაადასტურა, რომ **ანდრეა პოლის** თაობაზე „მილანთან" მოლაპარაკება მიმდინარეობს. „სამპდორიას" სპორტულმა დირექტორმა **კარლო ოსტიმ** განაცხადა, რომ 23 წლის ნახევარმცველის თაობაზე „მილანთან" მოლაპარაკება თითქმის ბოლო სტადიაზეა.

„ჩვენ საკმაოდ შორს წავედით „მილანთან" პოლის ტრანსფერზე მოლაპარაკებისას. ეს საკითხი ცოტა ხნით შეფერხებული იყო მათი მწვრთნელის საკითხის გაურკვევლობის გამო, მაგრამ ახლა ტრანსფერს ხელს აღარაფერი უშლის", - განაცხადა ოსტიმ.

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მუნდიალი 2014. შესარჩევი ეტაპი. ევროპა

# პოდგორიცა, პრაღა, ვენა, ლისაბონი

„ევროტურის" განრიგი არ გეგონოთ - ამ ქალაქებში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მორიგი სათამაშო დღის ყველაზე საინტერესო მატჩები უნდა გაიმართოს, რომელთა საბოლოო შედეგიც ბევრ რამეს გაარკვევს, თუმცა ზოგ ჯგუფში ისეთი მდგომარეობაა, რომ ყველაფერი ბოლო ტურში თუ გაირკვევა...

**A ჯგუფი**

**7 ივნისი**

ხორვატია-შოტლანდია 22:15
ბელგია-სერბეთი 22:45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 6 | 5 | 1 | 0 | 11-1 | 16 |
| 2. ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 10-3 | 16 |
| 3. სერბეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-7 | 7 |
| 4. უელსი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-14 | 6 |
| 5. მაკედონია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-7 | 4 |
| 6. შოტლანდია | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |

### ორთაბრძოლა გრძელდება

A ჯგუფში პირველ და მეორე ადგილზე გამსვლელ გუნდთა ვინაობა უკვე გარკვეულია - მთავარია, ვინ დაიკავებს პირველ პოზიციას და ვინ მეორეს. ორივე ფავორიტი ამ ტურში შინ თამაშობს. ბელგიის ნაკრები სერბეთს ხვდება, ხოლო ხორვატია შოტლანდიას მასპინძლობს.

ლიდერებმა ქულები ბელგიაში გამართულ ურთიერთშეხვედრაში დაკარგეს (1:1). საპასუხო მატჩი, რომელიც ზაგრებში 11 ოქტომბერს გაიმართება, გადამწყვეტი უნდა გამოდგეს. იქამდე კი გუნდები სწორედ შოტლანდიას და სერბეთს უნდა დაუპირისპირდნენ. მომდევნო ტურში ხორვატია და ბელგია მეტოქეებს გაცვლიან და მათ სტუმრის რანგში შეხვდებიან, თუმცა ეს ყველაფერი სექტემბერში მოხდება, მანამდე კი ამ ტურის შეხვედრებზე ვისაუბროთ.

ზაგრების მატჩი ნახევარი საათით ადრე იწყება. შოტლანდია ამ შესარჩევში ამაზრზენად ასპარეზობს და ექვსი ტურის შემდეგ ერთი მოგებაც კი არ აქვს. ნულის ერთიანად გადაკეთება მთიელებს დღესაც გაუჭირდებათ, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ურთიერთშეხვედრებში ბალანსი თანაბარია. უფრო სწორად, ხორვატიას და შოტლანდიას ერთმანეთის წინააღმდეგ სულ სამი მატჩი აქვთ გამართული და სამივე შეხვედრა ფრედ დასრულდა. მასპინძლებს სერიოზული დანაკლისი არ აქვთ, ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც გამოძახებული არ არის, **მლადენ პეტრიჩი** გახლავთ, მაგრამ მისი შეცვლა პრობლემა ნამდვილად არ იქნება.

ფავორიტია ბელგიაც, რომელიც სერბეთს ასევე უძლიერესი შემადგენლობით დაუპირისპირდება. პირველი წრის მატჩში **მარკ ვილმოტსის** შეგირდებმა სტუმრად 3:0 მოიგეს და წესით, გამარჯვების მოპოვება არც ამჯერად უნდა გაუჭირდეთ.

**B ჯგუფი**

**7 ივნისი**

სომხეთი-მალტა 20:00
ჩეხეთი-იტალია 22:45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 12-4 | 13 |
| 2. ბულგარეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 11-4 | 10 |
| 3. ჩეხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 4. დანია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| 5. სომხეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |
| 6. მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1-14 | 0 |

### ჩეხების შანსი

ჯგუფის მთავარი მატჩი, რა თქმა უნდა, პრაღაში გაიმართება. ჩეხეთი მესამე ადგილზეა და ბულგარეთის გადასწრების სურვილით იწვის, იტალია კი მეორე ადგილზე მყოფ სლავებს სამი ქულით უსწრებს. თუ ამ შეხვედრაში მასპინძლები იმარჯვებენ, სიტუაცია საკმაოდ დაიძაბება და ჩეხებს პირველობის შანსიც კი გაუჩნდებათ.

„სკუადრა აძურას" საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს. ამ შეხვედრის შემდეგ იტალიელები გეზს ბრაზილიისკენ აიღებენ, სადაც კონფედერაციის თასზე უნდა ითამაშონ, თუმცა ახლა **ჩეზარე პრანდელი** მხოლოდ ჩეხეთში გასამართ მატჩზე ფიქრობს.



**ტომაშ როსიცკი** ნაკრებში 91-ე შეხვედრას გამართავს და **პაველ ნედვედსა** და **იან კოლერს** წამოეწევა. მათზე წინ მხოლოდ სამი ფეხბურთელია: **მილან ბაროში** (93), **პეტრ ჩეხი** (100) და **კარელ პობორსკი** (118).

ჯგუფის კიდევ ერთი შეხვედრა ერევანში შედგება, სადაც სომხეთი მალტის ნაკრების დამარცხებას მეორედაც ეცდება. ჯერჯერობით, ჩვენმა მეზობლებმა ქულები მხოლოდ კუნძულელებთან აიღეს.

**C ჯგუფი**

**7 ივნისი**

ავსტრია-შვედეთი 22:45
ირლანდია-ფარერები 22:45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 22-7 | 16 |
| 2. ავსტრია | 5 | 2 | 2 | 1 | 13-4 | 8 |
| 3. შვედეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-5 | 8 |
| 4. ირლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 9-10 | 8 |
| 5. ყაზახეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-15 | 1 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 2-15 | 0 |

### ტრიო გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადება

სათამაშო დღის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი ავსტრიაში გაიმართება. ამ ჯგუფში გერმანიას პირველობა განაღდებული აქვს და მთავარი ბრძოლა მეორე ადგილისთვის მიმდინარეობს. ამ ბრძოლაში სამი გუნდია ჩართული. ერთ-ერთი მათგანი, ირლანდია, ფარერებს მასპინძლობს და რა თქმა უნდა, სამ ქულასაც აიღებს. ირლანდიელები საქართველოსთან გამართული ამხანაგური მატჩის შემდეგ (4:0) კარგ ხასიათზე არიან და განწყობის გაფუჭებას არც აპირებენ.

მთავარი მატჩი კი ვენაში, „ერნსტ ჰაპელზე" უნდა გაიმართოს. შვედეთს, ორ კონკურენტთან შედარებით, თამაშით ნაკლები აქვს გამართული და იმ თამაშსაც სამ დღეში (ფარერებთან, შინ) აუცილებლად მოიგებს. ანუ, შეგვიძლია წინასწარ ვთქვათ, რომ **ერიკ ჰამრენის** შეგირდები ავსტრია-ირლანდიას სამი ქულით უსწრებენ და შესაბამისად, მასპინძლებმა შვედებს აუცილებლად უნდა მოუგონ. ამ გუნდების ბოლო შეხვედრა 2009 წელს გაიმართა და მაშინ შვედეთმა 2:0 მოიგო, გოლები კი **რასმუს ელმმა** და **კიმ კალსტრიომმა** გაიტანეს.

ორივე ეს ფეხბურთელი გამოძახებულთა შორისაა. ასევე გამოძახებულია **ანდერს სვენსონი**, რომელიც თუ ითამაშებს, ნაკრების მაისურს 140-ედ მოირგებს და **თომას რაველის** რეკორდამდე 3 თამაში დააკლდება.

აქვე ვთქვათ, რომ მეორე ადგილისთვის მებრძოლი ტრიოდან ყველაზე ცუდი კალენდარი ირლანდიას აქვს - **ჯოვანი ტრაპატონის** შეგირდები ჯერ შვედეთს მასპინძლობენ, შემდეგ კი ავსტრიას და გერმანიას სტუმრობენ.

**E ჯგუფი**

**7 ივნისი**

ალბანეთი-ნორვეგია 22:30
ისლანდია-სლოვენია 23:00

**8 ივნისი**

შვეიცარია-კვიპროსი 19:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-1 | 11 |
| 2. ისლანდია | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 3. ალბანეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 4. ნორვეგია | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 5. კვიპროსი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-8 | 4 |
| 6. სლოვენია | 5 | 1 | 0 | 4 | 4-8 | 3 |

### ყველაზე თანაბარი ჯგუფი

E ჯგუფის ლიდერი და მთავარი ფავორიტი, შვეიცარიის ნაკრები, ამ ტურში კვიპროსს მასპინძლობს და ვალდებულია მორიგი სამი ქულა აიღოს. კვიპროსში გამართული მატჩი ფრედ, 0:0 დასრულდა, რის გამოც **ოტმარ ფიტცფელდის** შეგირდებმა კონკურენტებისგან მოწყვეტის შანსი ხელიდან გაუშვეს.

მეორე ადგილზე მყოფი ისლანდია სლოვენიას მასპინძლობს, რომელმაც ეს შესარჩევი ეტაპი ჩააგდო, მაგრამ მეორე ადგილის დაკავების თეორიული შანსი მაინც შერჩა. ისლანდიის ნაკრებს სერიოზული დანაკლისი აქვს - ვერ ითამაშებს **გილფი სიგურდსონი**, რომელმაც 22 მარტს ლუბლიანაში დუბლი შეასრულა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში (2:1) ლომის წილი დაიდო.

ყველასთვის მოულოდნელად, ასევე 9 ქულა აქვს ალბანეთის ნაკრებს. **ჯანი დე ბიაზის** შეგირდები იმ ნორვეგიას ხვდებიან, რომელსაც მარტში სტუმრად მოუგეს (1:0). ორივე გუნდისთვის ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მან ვინც დამარცხდება, მუნდიალზე ოცნებას თავი უნდ დაანებოს.

**F ჯგუფი**

**7 ივნისი**

აზერბაიჯანი-ლუქსემბურგი 20:00
პორტუგალია-რუსეთი 23:45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-0 | 12 |
| 2. ისრაელი | 6 | 3 | 2 | 1 | 15-8 | 11 |
| 3. პორტუგალია | 6 | 3 | 2 | 1 | 11-6 | 11 |
| 4. ირლანდია | 5 | 0 | 3 | 2 | 3-7 | 3 |
| 5. აზერბაიჯანი | 6 | 0 | 3 | 3 | 2-8 | 3 |
| 6. ლუქსემბურგი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-12 | 2 |

### პორტუგალიის უკანასკნელი შანსი

რუსეთის ნაკრები შესანიშნავად ასპარეზობს - **ფაბიო კაპელოს** შეგირდებმა ოთხივე მატჩი მოიგეს და ჯერ გოლიც კი არ გაუშვიათ. სლავების მშრალი სერია შესაძლოა სწორედ დღეს დასრულდეს, რადგან რუსებს პორტუგალიაში უწევთ სტუმრობა. უკანასკნელად რუსეთმა ლისაბონში 2004 წელს ითამაშა და 1:7 წააგო, თუმცა ამ შესარჩევში გამართული მატჩი კაპელოს გუნდის გამარჯვებით დასრულდა (1:0).

რუსეთთან მარცხის გარდა, **პაულო ბენტუს** სამწყსომ ჩრდილოეთ ირლანდიას (1:1, შინ) და ისრაელს (3:3, სტუმრად) ვერ მოუგო, თანაც ამ უკანასკნელთან მარცხს ბოლო წამებზე გადაურჩა, მატჩის მიმდინარეობისას კი 1:3-საც აგებდა.

მასპინძლებს, ძირითადი შემადგენლობის წევრებისგან **პეპე** და **როლანდო** არ ეყოლებათ. გამოძახებულია „ვალიადოლიდის" მცველი **ენრიკე სერენო**, რომელსაც ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია.

რუსების ძირითადში იქნება **ალექსანდრ კერჟაკოვი**, რომელსაც ნაკრებში 22 გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ 4 ბურთით ჩამორჩება ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირ **ვლადიმირ ბესჩასტნიხს**. სწორედ კერჟაკოვმა გაიტანა ამ გუნდების პირველ შეხვედრაში ერთადერთი გოლი.

**G ჯგუფი**

**7 ივნისი**

ლატვია-ბოსნია 20:30
ლიხტენშტაინი-სლოვაკეთი 20:00
ლიტვა-საბერძნეთი 22:45

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 5 | 4 | 1 | 0 | 18-3 | 13 |
| 2. საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-4 | 10 |
| 3. სლოვაკეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 4. ლიტვა | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 5. ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 6. ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-15 | 1 |

### ფავორიტები ბალტიისპირეთში

ლიტვა და ლატვია ჯგუფის ფავორიტებს მასპინძლობენ. ბოსნია და საბერძნეთი მორიგი სამი ქულის აღებას ეცდებიან, მათი მდევარი სლოვაკეთი კი ლიხტენშტაინს ეწვევა და აუცილებლად მოიგებს.

ბერძნებმა წინა ტურში სწორედ ბოსნიასთან წააგეს და ახლა, რეაბილიტაციას ვილნიუსში ეცდებიან. ამ გუნდებს ერთმანეთის წინააღმდეგ სულ ორი მატჩი აქვთ გამართული – ერთი ლიტვამ მოიგო (1995 წელს, ამხანაგური), ერთი კი საბერძნეთმა (2:0, შარშან). სტუმრებს **კირიაკოს** და **ავრაამ პაპადოპულოსები** არ ეყოლებათ, სამაგიეროდ, მზადაა **სოკრატის პაპასტატოპულოსი**, რომელიც მომავალ სეზონში დორტმუნდის „ბორუსიაში" ითამაშებს. ნაკრებში 125-ე მატჩის ჩასატარებლად ემზადება **გიორგიოს კარაგუნისი**, ვინც ეროვნული გუნდის რეკორდსმენია.

ბერძნების კონკურენტი და ჯგუფის ლიდერი ლატვიაში ითამაშებს. ბოსნიელები შესანიშნავად ასპარეზობენ და ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმით იწონებენ თავს (18 გოლი). **ბეგოვიჩი, სპაჰიჩი, რაჰიმიჩი, პიანიჩი, ლულიჩი, სალიჰოვიჩი, იბიშევიჩი, ჯეკო** – სტუმრებს მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავთ. ერთადერთი გამორჩეული ფიგურა, რომელიც დღეს ვერ ითამაშებს, ჩინეთში გადახვეწილი **ზვეზდან მისიმოვიჩია**, რომელიც ნაკრებში გამოძახებული არაა. სხვათა შორის, ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში, რომელიც ბოსნიამ 4:1 მოიგო, მისიმოვიჩმა დუბლი შეასრულა.

**H ჯგუფი**

**7 ივნისი**

მოლდოვა-პოლონეთი 22:15
ჩერნოგორია-უკრაინა 22:30

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 6 | 4 | 2 | 0 | 14-3 | 14 |
| 2. ინგლისი | 6 | 3 | 3 | 0 | 21-3 | 12 |
| 3. პოლონეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-6 | 8 |
| 4. უკრაინა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| 5. მოლდოვა | 6 | 1 | 1 | 4 | 3-10 | 4 |
| 6. სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 0-29 | 0 |

### პოდგორიცაში თამაში რთულია

შესანიშნავ ფორმაში მყოფი ჩერნოგორიის ნაკრები (9-მატჩიანი წაუგებელი სერია), ასევე კარგ ფორმაში მყოფ უკრაინას (5-მატჩიანი წაუგებელი სერია) მასპინძლობს. პოდგორიცაში თამაში ყველას უჭირს და გამონაკლისი არც უკრაინა იქნება. **მიხაილო ფომენკოს** დანიშვნის შემდეგ (3 მოგება და 1 ფრე) სლავები ათამაშდნენ და ჩერნოგორიას რევანშის წყურვილით ეწვევიან. შეგახსენებთ, რომ კიევში გამარჯვება **ბრანკო ბრნოვიჩის** გუნდს დარჩა (1:0).

უკრაინის მსგავსად 8 ქულა აქვს პოლონეთს, ვინც მოლდოვას ესტუმრება. სტუმართა რიგებში ვერ ვხედავთ **ლუკას პიშჩეკსა** და **ლუდოვიკ ობრანიაკს**, მაგრამ ამ დანაკლისის მიუხედავად, პოლონელები ვალდებული არიან მოიგონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა შეუძლებელი გახდება.

**I ჯგუფი**

**7 ივნისი**

ფინეთი-ბელორუსი 20:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 11 |
| 2. საფრანგეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 |
| 3. საქართველო | 5 | 1 | 1 | 3 | 3-7 | 4 |
| 4. ბელორუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 5. ფინეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

### მატჩი მესამე ადგილისთვის

ერთი შეხვედრა გაიმართება ჩვენს ჯგუფში - ფინეთი ბელორუსს შეხვდება, ოთხი დღის შემდეგ კი ეს გუნდები ერთმანეთს უკვე მინსკში დაუპირისპირდებიან. ორივე ნაკრები, საქართველოსთან ერთად, მესამე ადგილისთვის იბრძვის და ამ თვალსაზრისით, ორივე შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ბომბარდირები:** 7 – ჯეკო (ბოსნია); 6 – ჰემედი (ისრაელი); 5 – იბიშევიჩი (ბოსნია), როისი (გერმანია), იოზილი (გერმანია), რუნი (ინგლისი), ვან პერსი (ჰოლანდია).

**ტატო ბაციკაძე**

● ევროპის ჩემპიონატი U21

# ჰოლანდიურ-გერმანული თრილერი

**B ჯგუფი**

**ესპანეთი-რუსეთი 1:0**

**გოლი:** 1:0 მორატა (82).

**ესპანეთი (4-3-2-1):** დე ხეა - მონტოია, ბარტრა, ინიგო მარტინესი, მორენო - ისკო, ილიარამენდი, ტიაგო ალკანტარა - ტელიო (84. კოკე), მუნიაინი (63. ალვარო მორატა) - როდრიგო (78. კანალესი).

**რუსეთი (4-3-2-1):** ზაბოლოტნი - ჩიჩერინი, ბურლაკი, ბელაევი, შენიკოვი - შატოვი, ცალაგოვი (80. კირილოვი), პეტროვი - ბიბილოვი (46. გრიგორიევი), იაკოვლევი - ჩერიშევი (58. კანუნნიკოვი).

**ჰოლანდია-გერმანია 3:2**

**გოლები:** 1:0 მაჰერი (24), 2:0 ვინალდუმი (38), 2:1 რუდი (47-პენ.), 2:2 ჰოლტბი (81), 3:2 ფერი (90).

**ჰოლანდია (4-3-2-1):** ზუტი - ვან რეინი, დე ვრეი, მარტინს ინდი, ბლინდი - ვან გინკელი, სტროტმანი, მაჰერი (82. ფერი) - ვინალდუმი, ჯონი (82. დეპაი) - დე იონგი.

**გერმანია (4-2-3-1):** ლენო - ზორგი, გინტერი, ტესკერი, იანჩკე - როდე (80. პოლტერი), რუდი - ჰერმანი, ჰოლტბი, მლაპა (41. ფოლანდი) - ლასოგა (61. კლემენსი).

ისრაელში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები უკვე გაიმართა. განსაკუთრებით საინტერესო მაინც B ჯგუფია, სადაც ევროპული ფეხბურთის სამი გრანდი და პლუს რუსეთი ასპარეზობს.

გუშინ, ესპანეთის ვარსკვლავური ნაკრები სწორედ რუსეთს ეპაექრა და პირველი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში. ერთადერთი და გამარჯვების გოლი მატჩის დასრულებამდე დაახლოებით 10 წუთით ადრე **ალვარო მორატამ** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მორატა მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში. მატჩი პირენეელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა რუსებიც მედგრად იდგნენ და ქულის აღება ნამდვილად შეეძლოთ. რომ არა სიკვდილის ჯგუფი, სლავებს ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი ექნებოდათ.

მეორე მატჩში კლასიკური ჯახი ვიხილეთ, რომელიც ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგა. პირველში აშკარა უპირატესობას ნარინჯისფერები ფლობდნენ და ეს ასახეს კიდეც ორ გოლში. ანტრაქტის შემდეგ, ყველაფერი თავდაყირა დადგა - გერმანელებმა ჩვეული ხასიათი გამოავლინეს და ჯერ ერთი ბურთი გაქვითეს, შემდეგ კი სულაც გაათანაბრეს ანგარიში. ფსიქოლოგიურ უპირატესობას გერმანელები დაეუფლნენ - მესამე გოლის გასატანად წინ დიდი ძალებით წავიდნენ, თუმცა ზონები მეტისმეტად მოაშიშვლეს და მატჩის უკანასკნელ წუთზე, აქეთ გაუშვეს... შეხვედრის გმირი შეცვლაზე შესული **ლეროი ფერი** გახდა, რომლის გოლმაც ჰოლანდია ჯგუფის სათავეში მოაქცია...

**ლაშა ნიკლაური**

● მუნდიალი 2014. შესარჩევი ციკლი. სამხრეთი ამერიკა

# ბუენოს აირესში ბევრი რამ გაირკვევა

**XIII ტური**

**8 ივნისი**

ბოლივია-ვენესუელა 00:00
არგენტინა-კოლუმბია 02:05
პარაგვაი-ჩილე 04:10
პერუ-ეკვადორი 06:10

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 11 | 7 | 3 | 1 | 24-8 | 24 |
| 2. ეკვადორი | 10 | 6 | 2 | 2 | 16-10 | 20 |
| 3. კოლუმბია | 10 | 6 | 1 | 3 | 19-7 | 19 |
| 4. ჩილე | 11 | 5 | 0 | 6 | 16-19 | 15 |
| 5. ვენესუელა | 11 | 4 | 3 | 4 | 9-12 | 15 |
| 6. ურუგვაი | 11 | 3 | 4 | 4 | 17-21 | 13 |
| 7. პერუ | 10 | 3 | 2 | 5 | 11-15 | 11 |
| 8. ბოლივია | 11 | 2 | 3 | 6 | 13-20 | 9 |
| 9. პარაგვაი | 11 | 2 | 2 | 7 | 8-21 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 – იგუაინი (არგენტინა); 8 – მესი (არგენტინა), სუარესი (ურუგვაი); 6 – ფალკაო (კოლუმბია); 5 – ფ. კაისედო (ეკვადორი).

### ცენტრალური მატჩი

სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ტურნირის მთავარი მატჩი ბუენოს აირესში გაიმართება - ლიდერი, არგენტინის ნაკრები კოლუმბიას უმასპინძლებს, რომელიც „ალბისელესტეს" 5 ქულით ჩამორჩება, მაგრამ თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

მიუხედავად ტრავმისა, **ალეხანდრო საბელიამ** ნაკრებში **ლიონელ მესი** გამოიძახა. არგენტინელი ჟურნალისტების ცნობით, გუნდის კაპიტანი მომჯობინდა და ის მინდორზე პირველივე წუთებიდან იქნება. ასევე ნაკრებშია **ერიკ ლამელა** - „რომას" 21 წლის შემტევმა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ეროვნულ გუნდში გამოძახება ნამდვილად დაიმსახურა. ლამელამ „ალბისელესტეს" რიგებში მხოლოდ ერთხელ, 2011 წელს ითამაშა. სამაგიეროდ, კვლავ განაცხადს მიღმა დარჩა **მაურო იკარდი** და თუ ასე გაგრძელდა, არაა გამორიცხული „სამპდორიას" ფორვარდმა გადაიფიქროს და არჩევანი იტალიის ნაკრების სასარგებლოდ გააკეთოს.

ამ გუნდების ბოლო 10 მატჩიდან 7 არგენტინამ მოიგო, 2 ფრედ დასრულდა და ერთხელ, 2004 წელს, კოლუმბიამ იმარჯვა. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია დავივიწყოთ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი, რომელიც კოლუმბიამ სტუმრად 5:0 მოიგო და ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

**ხოსე ნესტორ პეკერმანის** გუნდი უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. გამორჩეული ფეხბურთელებიდან გამოძახებულნი მხოლოდ „პესკარას" უნიჭიერესი ნახევარმცველი **ხუან კინტერო** და „ბეტისის" ფორვარდი **დორლან პაბონი** არ არიან. სხვათა შორის, ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში ანგარიში სწორედ პაბონმა (45-ე წუთზე) გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმში თავი მესიმ და **აგუერომ** გამოიჩინეს, არგენტინამ კი 2:1 მოიგო. კოლუმბიამ ბოლოს მსოფლიოს ჩემპიონატზე 1998 წელს ითამაშა და თუ ბუენოს აირესში იმარჯვა, მუნდიალისკენ ძალიან დიდ ნაბიჯს გადადგამს.

### ბოლო შანსი

სამი აუტსაიდერი, პარაგვაი, პერუ და ბოლივია, ამ ტურში შინ ითამაშებს და უკანასკნელი შანსი გამოყენებას ეცდება - თუ რომელიმე გუნდი ვერ მოიგებს, მუნდიალის ფინალურ ეტაპს უნდა გამოემშვიდობოს. ეს განსაკუთრებით პარაგვაის ეხება, რომელიც ბოლო ადგილზეა და მეოთხე პოზიციაზე მყოფ ჩილეს მასპინძლობს. სტუმრებმა წინა ტურში 4-მატჩიანი წაგებათა სერია დაასრულეს, ურუგვაის 2:0 მოუგეს და მე-4 პოზიციაზე გადავიდნენ.



ლეო მესი ნაკრებშია

ბოლივია, რომელიც მე-8 ადგილზეა, ლა პასში ვენესუელას შეხვდება. აღსანიშნავია, რომ ამ ქალაქში უკანასკნელი ორი სტუმრობა ვენესუელას გამარჯვებით დასრულდა, რაც მართლად საამაყო შედეგია – ლა პასში თამაში ხომ აბსოლუტურად ყველა გუნდს უჭირს, მათ შორის კონტინენტის გრანდებსაც. მეორე ადგილზე მყოფი ეკვადორი კი პერუს ესტუმრება. **სერხიო მარქარიანის** გუნდმა ბოლო დროს ძალიან მოუმატა და უკანასკნელი 10 მატჩიდან (ოფიციალური და ამხანაგური) მხოლოდ 1 წააგო. ეკვადორს კი შესარჩევ ეტაპზე უკვე 6 მატჩია არ წაუგია და გერმანიასთან მარცხამდე (2:4) 9-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი



დანიელ ვან ბუიტენმა და ფრანკ რიბერიმ ბაიერნთან ახალი კონტრაქტები გააფორმეს

# რიბერიმ ხელი მოაწერა!

## ვან ბუიტენიც მიუნხენში რჩება

გუშინ **ფრანკ რიბერის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც „ბაიერნის" ფრანგი ლიდერი ამბობდა, მიუნხენურ გრანდში ისეთი სიტუაციაა - თავს იმდენად კარგად ვგრძნობ და ყველას ისე ვენდობი, რომ აქ კონტრაქტი არაფერში მჭირდება, მაგრამ ვიცი, იურიდიული მხარე აუცილებელია და ახალ ხელშეკრულებას მალე გავაფორმებო. ვერ გეტყვით, ფორმალური პროცესი ამ ინტერვიუმ დააჩქარა, თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ გუშინ „ბაიერნმა" რიბერისთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების ამბავი ოფიციალურად დაადასტურა.

30 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ხელშეკრულებას ვადა ახლა 2015-ის ნაცვლად 2017 წლამდე აქვს. თუკი რიბერისთან თანამშრომლობის წინასწარ გახანგრძლივება მოსალოდნელი, ლოგიკური და გადაწყვეტილი იყო, ცოტათი მოულოდნელი აღმოჩნდა ის, რომ ბავარიელებმა ახალი კონტრაქტი ბელგიელ მცველ **დანიელ ვან ბუიტენსაც** გაუფორმეს - ეს უკანასკნელი მიუნხენურ გრანდში კიდევ ერთ სეზონს გაატარებს.

*„გვიხარია, რომ ჩვენი გუნდის ორ მნიშვნელოვან ფიგურას ახალი კონტრაქტები გავუფორმეთ. ფრანკმა და დანიელმა ამ სეზონში „ბაიერნისთვის" ძალიან ბევრი გააკეთეს. კარგია, რომ ორივე ჩვენთან რჩება,"* - აღნიშნა „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ**.

შეგახსენებთ, რომ რიბერი უკვე ძირძველი ბავარიელია - ფრანკი რეკორდმაისტერში 6 წელია თამაშობს (თავის დროზე „მარსელიდან" გადავიდა). მას მერე რიბერიმ ბუნდესლიგაში 156 მატჩში 53 გოლი გაიტანა და 78 საგოლე გადაცემა გააკეთა. *„მიუნხენში ბედნიერი ვარ და ამიტომაც ვრჩები. ფანებს შევპირდი, რომ კონტრაქტს აუცილებლად გავაგრძელებდი და აი, დაპირება შევასრულე კიდეც. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის „ბაიერნი" მეორე სამშობლო და სახლი გახდა. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნი" გაისადაც წარმატებული იქნება,"* - ეს კი თავად ფრანგის სიტყვებია.

ფაქტია, რომ გასული სეზონი რიბერის კარიერაში საუკეთესო იყო. რიბომ ჩემპიონთა ლიგაშიც შესანიშნავად ითამაშა, განსაკუთრებით კი ბუნდესლიგაში ბრწყინავდა, სადაც 27 შეხვედრაში 10 გოლი და 15 საგოლე პასი მიითვალა („კიკერის" საშუალო შეფასება 20,10 ბალი, რაც საუკეთესო მაჩვენებელია მთელ ბუნდესლიგაში).

რაც შეეხება დანიელ ვან ბუიტენს - ეს უკანასკნელი რეკორდმაისტერში რიბერიზე ერთი წლით ადრე, 2006-ში „ჰამბურგიდან" გადავიდა. ბელგიელმა მას მერე „ბაიერნის" ფორმა ბუნდესლიგის 146 შეხვედრაში მოირგო და 19 გოლი გაიტანა, რაც ცენტრალური მცველის კვალობაზე კარგი შედეგია.

*„დღესდღეობით „ბაიერნზე" უკეთესი, უფრო სოლიდური ან უფრო წარმატებული გუნდი უბრალოდ არ არსებობს,"* - განაცხადა აყლაყუდა ვან ბუიტენმა კონტრაქტის გაფორმებისას.

● გაცილება

# ბალაკი ელიტამ გააცილა



მიხაელ ბალაკი ფეხბურთიდან გააცილეს

გუშინწინ, ლაიპციგში **მიხაელ ბალაკის** გასაცილებელი მატჩი გაიმართა. გერმანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ისეთმა ფიგურებმა დასდეს პატივი, როგორებიც არიან **ჟოზე მოურინიო, დიდიე დროგბა, მიხაელ შუმახერი, რუდი ფიოლერი, კრისტიან ვიორნსი, ლოთარ მათეუსი** და სხვები... ლაიპციგში **ანდრეი შევჩენკომაც** ითამაშა, რომელმაც **კახი კალაძის** გასაცილებელ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა.

ბალაკმა ფეხბურთელები ორ გუნდად გაყო: ერთში მისი მეგობრები თამაშობდნენ, მეორეს კი მსოფლიო ნაკრები ერქვა. მეგობრების გუნდის მწვრთნელი რუდი ფიოლერი გახლდათ, მსოფლიო ნაკრებისა კი - მოურინიო. მატჩი მსოფლიო ნაკრების გამარჯვებით (3:4) დამთავრდა, მაგრამ შედეგი, რა თქმა უნდა, მეორეხარისხოვანი გახლდათ.

*„ვამაყობ ამ მატჩით! ფანტასტიკურია ის, რომ ასეთი დამღლელი სეზონის შემდეგ ყველა ვარსკვლავი ჩამოვიდა. რა თქმა უნდა, ემოციური საღამო გამოვიდა. ვამბობდი, არ ვიტირებ-მეთქი, მაგრამ ცრემლების შეკავება ასეთ დროს ძალიან ძნელი ყოფილა. ძალიან ლამაზი კარიერა მქონდა, რომელიც დღეს საბოლოოდ დავასრულე,"* - განაცხადა ბალაკმა.

შეგახსენებთ, რომ 36 წლის მიხაელმა, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 98 მატჩი აქვს ჩატარებული, კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად 2012 წლის ოქტომბერში გამოაცხადა. გიორლიტცში დაბადებული ბალაკი აქტიური სპორტული კარიერის დროს ოთხჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი (ბაიერნი), ერთხელ ინგლისის ჩემპიონი (ჩელსი) და ერთხელ გერმანიის თასიც მოიგო.

სამაგიეროდ, მიხაელი სანაკრებო დონეზე დარჩა უტიტულოდ. 2002 წელს მიხაელი მსოფლიოს ჩემპიონობასთან იყო ახლოს, მაგრამ გერმანია ფინალში დამარცხდა, ხოლო 2008 წელს ეროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა და იქ ესპანეთთან წააგო. პრინციპში, უნდა ვახსენოთ 2006 წლის მუნდიალიც, რომელზეც ბალაკმა და კომპანიამ მესამე ადგილი დაიკავეს. ამასთან, მიხაელი ორჯერ იყო ჩემპიონთა ლიგის ფინალში და ორივეჯერ დამარცხდა.

ლაიპციგში მისი გასაცილებელი მატჩის გამართვა წყალდიდობის გამო დიდხანს იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ბალაკის თქმით, გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა (მინიმუმ 100 000 ევრო) წყალდიდობით დაზარებულების დასახმარებელ ფონდში გადაირიცხება.



რუდი ფიოლერი (მარცხნივ) და ჟოზე მოურინიო

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლევანდოვსკი: პოკერი გრძელდება!

## დორტმუნდი 30 მილიონად მოითაფლება?

ახლა ვხვდებით, რომ რამდენიმე დღე ისე გავიდა, **რობერტ ლევანდოვსკის** მოსალოდნელ ტრანსფერზე არაფერი დაგვიწერია - ჭორ-მართალი სპეკულაციები თითქოს ჩაცხრა, მაგრამ გუშინ ისევ იფეთქა. 24 წლის პოლონელ გოლეადორს „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ „ბაიერნში" გადასვლა უნდა და თანაც ახლავე!

„დორტმუნდის" შეფები ლევანდოვსკის გაშვებას აქამდე კატეგორიულად გამორიცხავდნენ, ახლა კი ამ თემას უფრო რეალურად შეხედეს და როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ გამორიცხვას აზრი აღარ აქვს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „დორტმუნდი" ფაქტობრივად მზადაა, რობერტი დათმოს, ოღონდ „ბორუსია" ამ ტრანსფერში 30 მილიონ ევროს ითხოვს.

გუშინ დორტმუნდელთა გენერალურმა მენეჯერმა **ჰანს-იოახიმ ვატცკემ** თქვა, უახლოეს მომავალში რაღაცას ჩვენც ვიტყვითო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლევანდოვსკის საგა მალე უნდა დასრულდეს. აღსანიშნავია, რომ ვატცკეს ამ განცხადებას წინ უძღოდა ლევანდოვსკის კომენტარები, რომელთა მეშვეობითაც პოლონელმა კლუბის ხელმძღვანელები დაწნეხა.

*„ჩვენ (მრჩეველი და ფეხბურთელი) საკმაოდ დიდი ხანია, კლუბს ყველაფერზე შევუთანხმდით, რაც პასუხისმგებელ პირებს ვუთხარი კიდეც. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი მალე გაირკვევა და მომავალ სეზონს ჩემთვის სასურველ გუნდში დავიწყებ. ვფიქრობ, რომ მოვლენების ასეთი განვითარება ყველა მხარეს უნდა აძლევდეს ხელს,"* - უთხრა რამდენიმე დღის წინ ლევანდოვსკიმ ჟურნალ „შპორტ ბილდს" და როგორც ხედავთ, მართალია, „ბაიერნი" არ უხსენებია, მაგრამ აშკარაა, რომ სწორედ „ბაიერნში" გადასვლას გულისხმობდა.

ამ განცხადებით მან „ბორუსიას" შეფებზე ზეწოლა განახორციელა - როგორც იცით, ტრანსფერს ხელს მხოლოდ „დორტმუნდილა" უშლის და ფაქტია, რომ გაისად ლევანდოვსკის „ბორუსიადან" წასვლა უფასოდ შეეძლება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ბაიერნს" „დორტმუნდისთვის" ოფიციალური წინადადებით ჯერ კიდევ არ მიუმართავს, მაგრამ „ბილდი" ირწმუნება, რეკორდმაისტერის პრეზიდენტ **ულიჰიონესს** პოლონელ გოლეადორში 25 მილიონზე მეტის გადახდა არ უნდაო, დორტმუნდელები კი 30-ს ითხოვენ. ამ ორომტრიალში „ბორუსიას" გათვლა ისაა, რომ მიუნხენური გრანდი 5 მილიონს წაამატებს, მიუნხენელებს კი იმედი აქვთ, რომ დორტმუნდელებს ეს პოკერი მოჰბეზრდებათ და რობერტს 25 მილიონად დათმობენ.




რობერტ ლევანდოვსკის ბაიერნში გადასვლა უნდა

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტერ შტეგენი ბარსას უახლოვდება!

## 15 მილიონი და ერთი წლით მაინც გლადბახში?

„ბარსელონას" მიონხენგლადბახის „ბორუსიას" და გერმანიის ნაკრების მესამე მეკარის, **მარკ ანდრე ტერ შტეგენის** გადაბირება რომ უნდა, ამის შესახებ არაერთხელ დავწერეთ. სიახლე ისაა, რომ ჩვენი ესპანელი და გერმანელი კოლეგების ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ბარსა" 21 წლის გერმანელ მეკარეს 15 მილიონ ევროდ შეიძენს, მაგრამ ტერ შტეგენი მომდევნო სეზონში მაინც „გლადბახის" კარის დარაჯი (არენდა) იქნება.

მოვლენების ასეთი განვითარება საკმაოდ ლოგიკურია იმის გამოც, რომ **ვიქტორ ვალდესი** „ბარსელონადან" გაისად, 2014/2015 წლების სეზონის წინ უნდა წავიდეს და სწორედ იმ სეზონიდან გახდება ტერ შტეგენი კატალონიური გრანდის კიპერი.




მარკ ანდრე ტერ შტეგენი

● ამბები

### ბაუმიოჰანი კობიაშვილთან!

პირველ ბუნდესლიგაში აღზევებული ბერლინის „ჰერტა" ახალი ფეხბურთელით გაძლიერდა. **ლევან კობიაშვილის** გუნდმა მეორე ბუნდესლიგაში ჩარჩენილი „კაიზერსლაუტერნიდან" შემტევი ნახევარმცველი **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** გადაიბირა. ამ უკანასკნელმა „ჰერტაში" სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა და დედაქალაქელებთან 3-წლიან კონტრაქტს აფორმებს.

### ჰანოვერმა ბიტენკური იყიდა

დორტმუნდის „ბორუსიას" 19 წლის ნიჭიერი ნახევარმცველი **ლეონარდო ბიტენკური** კარიერას ჰანოვერში გააგრძელებს. ახალგაზრდა ფეხბურთელმა **მირკო სლომკას** გუნდთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა - ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „დორტმუნდი" და „ჰანოვერი" 2 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. აღსანიშნავია, რომ „ბორუსიამ" ბიტენკურის უკან გამოსყიდვის უპირატესი უფლება შეინარჩუნა, ოღონდ, ასეთ შემთხვევაში „ბორუსიას" „ჰანოვერისთვის" 6 მილიონის გადახდა მოუწევს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ქართული ბიბლიოთეკა

რეალი



კარლო ანჩელოტი

ესპანური პრესა ირწმუნება, რომ მადრიდის „რეალს“ უახლოეს 48 საათში ახალი თავკაცი ეყოლება - **კარლო ანჩელოტი.**

ანჩელოტის ერთი წელი დარჩა კონტრაქტით „პარი სენ-ჟერმენში“. „ეკიპის“ ცნობით, კონტრაქტის გასაწყვეტად პარიზელები 4 მილიონ ევროს ითხოვდნენ. „მარკა“ ამტკიცებს, რომ „რეალი“ დათანხმდა ამ თანხის გადახდას.

„კარლეტო“ „რეალში“ **ფაბიო კანავაროს** და **ერნან კრესპოს** წაიყვანს თანაშემწეებად. „მარკას“ მტკიცებით, ანჩელოტის პრეზენტაცია მადრიდში შემდეგ კვირაში გაიმართება.

ამბები


გახდებიან რონალდო და ფალკაო თანაგუნდელები?

## მონაკო რონალდოს ზღაპრულ ხელფასს ჰპირდება

ესპანური პრესის ცნობით, ლიგა 1-ში ალზევებულმა „მონაკომ“ ამჯერად თვალი მადრიდის „რეალის“ ფორვარდ, 28 წლის **კრიშტიანო რონალდოს** დაადგა. „მონაკოს“ რუსი მილიარდელი **დმიტრი რიბოლოვლევი** ფლობს, რომელიც პორტუგალიელის შესაძენად მზად არის რონალდოს ბონუსად 60 მილიონი ევრო გადაუხადოს და წელიწადში 23 მილიონი ევრო ხელფასი დაუნიშნოს!

ეს ყველაფერი მხოლოდ 2015 წელს შეიძლება მოხდეს, როცა რონალდოს „სამეფო კლუბთან“ უმთავრდება ხელშეკრულება. სწორედ ამიტომ მიაჩნიათ ესპანეთში, რომ კრიშტიანო თავს იკავებს ხელშეკრულების გაგრძელებისგან.

რონალდოს მსურველთა სრული სია კი ასეთია: „მონაკო“, „პარი სენ-ჟერმენი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მანჩესტერ სიტი“.

## ფერნანდინიომ სიტიში სამედიცინო შემოწმება გაიარა

28 წლის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ფერნანდინიომ** „მანჩესტერ სიტიში“ წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება. ახლა მხოლოდ დეტალებილა დარჩა მოსაგვარებელი და ის „სიტის“ სრულუფლებიანი ფეხბურთელი გახდება.

შეგახსენებთ, რომ ფერნანდინიო 2005 წლიდან „შახტარში“ ასპარეზობდა. „მანჩესტერ სიტიმ“ უკრაინულ კლუბს ბრაზილიელის სანაცვლოდ 22 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაუხადა.

## ნეიმარი ევროპისთვის მეტისმეტად გამხდარია

ბრაზილიის ნაკრების ექიმი 21 წლის **ნეიმარს** ურჩევს, რომ წონაში მოიმატოს. **ჟოზე ლუის რუნკოს** აზრით, ნეიმარის დღევანდელი ფიზიკური კონდიციები სავსებით საკმარისია ბრაზილიის ჩემპიონატში სათამაშოდ, მაგრამ ევროპაში სულ სხვა მოთხოვნებია.

*„ნეიმარს ისეთი ფიზიკური კონსტიტუცია აქვს, რომ რამდენიმე ზედმეტი კილოგრამი ხელს არ შეუშლის. სხვა მხრივ, დარწმუნებული ვარ, მას კატალონიაში ადაპტაციის პრობლემა არ ექნება. მოკლედ, მან კვებას უნდა მოუმატოს“.*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნეიმარი

PREMIUM AUTOPARTS
პრემიუმ ავტონაწილები
NGK
Continental CONTITECH
BILSTEIN
TEXTAR
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
მის:. ხოშარაულის ქ. 25 ტელ:. 234 09 14 www.autoparts.ge

ამბები

## კიდევ ერთი ფორმა ჩელსისთვის

გუშინ „ჩელსიმ“ 2013/14 წლების სეზონის გასვლითი შეხვედრებისთვის ახალი ფორმა წარადგინა. „ადიდასის“ მარკეტინგულმა გათვლამ ერთი თვის წინაც გაამართლა, როცა კლუბმა გულშემატკივარს, ასე ვთქვათ, ფორმის ბრმად შეკვეთა შესთავაზა, იქამდე ვიდრე მისი ნახვის საშუალება მიეცემოდა. „ლურჯების“ მეორე ფორმაში ძირითადად თეთრი ფერი ჭარბობს, მკერდზე კი ჰორიზონტალურად ლურჯი და წითელი წვრილი ზოლები გასდევს. ეს ვარიანტი გაყიდვაში 4 ივლისიდან გამოვა, იქამდე კი მისი შეკვეთა ინტერნეტით არის შესაძლებელი.

## ასპასი თითქმის ლივერპულელია

„ლივერპულ ეხოს“ მტკიცებით, მერსისაიდული გრანდი „სელტადან“ **იაგო ასპასის** ტრანსფერის ამბავს უახლოეს დღეებში დაადასტურებს. „წითლებმა“ როგორც იქნა, შეათანხმეს გალისიურ კლუბთან კომპენსაციის ოდენობა. 25 წლის ცენტრფორვარდის გადაბირება 7,7 მილიონი ევრო დაჯდება. შეგახსენებთ, რომ ასპასი ენფილდელებს პირადი ხელშეკრულების დეტალებზე რამდენიმე დღის წინ შეუთანხმდა. ორიოდე დღეში ის „მელვუდის“ ბაზაზე გამოცხადდება და სამედიცინო გამოკვლევის გავლის შემდეგ 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. „სელტას“ შეტევების ლიდერის შეძენას „ლივერპულის“ გარდა „ვალენსია“ და „სუონსი“ ცდილობდნენ.

## მინიოლე ტრანსფერს ითხოვს

„სანდერლენდისა“ და ბელგიის ნაკრების 24 წლის მეკარის **სიმონ მინიოლეს** აგენტ **ნიკო ვაესენის** თქმით, ფეხბურთელს „სტედიუმ ოფ ლაითიდან“ წასვლა სურს, რადგან მიაჩნია, რომ მის კარიერას ახლა ყველაზე მეტად სწორედ ერთი ნაბიჯით დაწინაურება წაადგება. „შავი კატები“ მზად არიან, გუნდის ერთ-ერთ ლიდერს გაუმჯობესებული ხელშეკრულება შესთავაზონ, მაგრამ მინიოლე უარზეა. მხარეთა შორის გაფორმებული კონტრაქტი ძალაში 2015 წლის ზაფხულამდეა, ასე რომ, **პაოლო დი კანიოს** შეუძლია ფეხბურთელის თხოვნა არც დააკმაყოფილოს. თუმცა ცხადია, რომ იტალიელი სპეციალისტი ამით ვერაფერს მოიგებს. უმოტივაციო მეკარეზე უფრო დიდი მტერი „სანდერლენდს“ ძნელად თუ გამოუჩნდება. მინიოლეს შეძენა „არსენალს“ სურს. **პეპე რეინას** ტრანსფერის შემთხვევაში კი ამ ბრძოლაში „ლივერპულიც“ ჩაერთვება.

## ადრიანი: პირველი ესპანელი ვესტ ჰემში

„ვესტ ჰემის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე ესპანელმა გოლკიპერმა **ადრიანმა** 3+2 ფორმატით „ჩაქუჩებთან“ კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის ფეხბურთელმა „ბეტისის“ ძირითადში პირველი სეზონი გაატარა, თუმცა კი **პეპე მელის** ძირითადი შემადგენლობის წევრად ითვლებოდა. კარიერის განმავლობაში ადრიანს სევილიური კლუბის გარდა ჯერ არსად უთამაშია.

ადრიანთან „ვესტ ჰემის“ დამოყვრების შემდეგ პრემიერლიგაში ცხრა კლუბილა დარჩა, სადაც ესპანური პასპორტის მქონე ფეხბურთელი არ თამაშობს. ესენი არიან: „ტოტენჰემი“, „ნიუკასლი“, „ევერტონი“, „ასტონ ვილა“, „სტოკ სიტი“, „ფულჰემი“, „კარდიფი“, „ჰალ სიტი“ და „კრისტალ პალასი“.

**ლევან ბიბილაშვილი**



ადრიანი

Crema Men


მამაკაცის ტანის და თმის მოვლის საშუალებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ნაკრები



# დასკვნითი ეტაპის წინ

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები სეულშია ერთობლივ შეკრებაზე. ჩვენი ინფორმაციით, იქ კორეელთა პირველი გუნდი სრული შემადგენლობით ემზადება, სხვა მონაწილეებზე კი ვერაფერს გეტყვით.

**ირაკლი უზნაძემ** შეგირდები კორეაში პირდაპირ ტიუმენიდან წაიყვანა, მასტერსის ტურნირის დასრულებისთანავე. ჩვენები სამშობლოში ხვალ, 8 ივნისს დაბრუნდებიან, რის შემდეგაც აგვისტო-სექტემბრის მიჯნაზე ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში გასამართი მსოფლიოს პირველობისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე გადავლენ. მართალია, ევროპის პირველობის მერე გამართული ყველა სპორტული ღონისძიება – ბაქოსა და ტიუმენში გამოსვლა, ანთალიურ კემპში მონაწილეობა თუ ეს ერთობლივი შეკრებაც იმ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მზადყოფნას ისახავს მიზნად, მაგრამ ახლა მიზანმიმართულ ვარჯიშს იწყებენ, რათა ტურნირს ფორმის პიკში შეხვდნენ. საამისოდ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ბაკურიანში გასავლელი შეკრება იქნება, რომელიც მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა. შეიძლება ითქვას, ეს იქნება საძირკველი, რომელსაც ბრაზილიური წარმატება უნდა დაეშენოს – რაც უფრო მყარად ჩაყრიან მას, ანუ რაც უფრო ნაყოფიერად ივარჯიშებენ ბაკურიანში, ბრაზილიაში მით მეტის მიღწევის შანსი ექნებათ. თუმცა ბაკურიანში წასვლამდე გუნდს ერთი „ლირიკული გადახვევაც" ექნება – 11-20 ივნისს მინსკში გამოვლენ საწვრთნელ კემპზე. უზნაძე არც ამჯერად უღალატებს თავის შეხედულებას, რაც ამგვარი ერთობლივი ვარჯიშების აუცილებლობას ითვალისწინებს და შეგირდებს იქაც წაიყვანს, მერე კი მშვიდად დაიწყებს მზადებას მსოფლიოს პირველობისთვის. მწვრთნელს მინსკში შეკრებაზე ახლა მყოფ ფალავნებთან ერთად (იქ მასტერსზე ნამყოფი შემადგენლობაა წასული) დამატებით კიდევ მიჰყავს რამდენიმე ძიუდოისტი, მაგრამ მათ ვინაობაზე უზნაძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ.

იმ შეჯიბრებისთვის მოსამზადებელ გეგმაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საკვანძო 20-21 ივლისს მოსკოვში გასამართი „დიდი მუზარადი" იქნება, სადაც უკვე ძირითადად დასრულდება რიოში გასაგზავნი გუნდის ფორმირება.

**ირაკლი თავაძე**

რას წერდა „ლელო" 60 წლის წინათ




# ივნისის პირველი კვირა

60 წლის წინათ, 1953 წლის ივნისის პირველ კვირაში საქართველოს სპორტული სამყაროს სუნთქვა, რიტმი და მაჯისცემა თვალსაჩინოდ შემოგვინახა „ლელომ", როგორც ქართული სპორტის მემატიანემ. იმ წელს საქართველოში მეოთხეჯერ ჩატარებულა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები.

გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს ფეხბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ასპარეზობებს. 3 ივნისს „ლელოში" დაიბეჭდა მ. კეკელიძის ვრცელი წერილი „დავაფასოთ თავისი დამსახურების მიხედვით", რომელიც ეძღვნება ჩვენი ეროვნული საუნჯის, ქართული ჭიდაობის როლს და მნიშვნელობას ჭიდაობის საერთაშორისო სახეობების საფუძვლების განმტკიცებაში. ამასთან, წერილში მოტანილია ციტატები წინა საუკუნის გაზეთებიდან „ივერიიდან" და „დროებიდან", სადაც აღწერილია ჩვენი სახელოვანი ფალავნების კულა გლდანელისა და ნესტორ ესებუას რაინდული ჭიდაობის ეპიზოდები და საჭიდაო წრის მიღმა განვითარებული მოვლენები.

ფართოდ არის გაშუქებული ჭადრაკში საქართველოს მე-16 ჩემპიონატის XI, XII და XIII ტურის მატჩები. და, რაღა თქმა უნდა ფეხბურთი. ფრუნზეს „ისკრასთან" სტუმრად შთამბეჭდავი (5:1) გამარჯვების შემდეგ თბილისის „სპარტაკი" „ბ" კლასის I ჯგუფში საკავშირო პირველობის ცხრილის სათავეში მოექცა. სხვათა შორის, თბილისელმა ფეხბურთელებმა გათამაშებაში საკუთარ კარში პირველი ბურთი სწორედ „ისკრასთან" შეხვედრაში მიიღეს, მშრალი ანგარიშით ზედიზედ 4 გამარჯვების შემდეგ.

ტყვიის სროლა. გერმანული ტურნირი

# ჯერჯერობით – მხოლოდ ნორმატივი

გერმანულ შულში გრძელდება ახალგაზრდა ტყვიის მსროლელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ტარდება.

შეჯიბრებაში საქართველოდან ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით **ლიზი კილაძე** და **ცოტნე მაჭავარიანი** მონაწილეობენ, რომლებიც მსოფლიოს მომავალი ახალგაზრდული თამაშების ასაკისანი არიან. ისინი უფრო ამის გათვალისწინებით შეარჩიეს, რადგან შული პირველი საკვალიფიკაციო ეტაპია იქ მოსახვედრად – მონაწილეებს გარკვეული კვოტა უნდა შეესრულებინათ, რათა სალიცენზიო ტურნირში გამოსვლის უფლება მიეღოთ. გუშინ ჩვენებმა პნევმატური პისტოლეტიდან ისროლეს და თუმცა ფინალში ვერ გავიდნენ, ნორმატივი კი შეასრულეს. თანაც, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში იასპარეზეს.

ქუთაისელი ლიზი კილაძე ჯერ მხოლოდ 13 წლისაა, თუმცა უკვე უცხოეთში ასპარეზობის საკმაო გამოცდილება დაუგროვდა, მაგრამ გერმანიაში ბევრად უფროსებთან უწევდა პაექრობა. ამჯერად მან 371 ქულა დააგროვა, რაც 21-ე შედეგი აღმოჩნდა და ფინალში ვერ მოხვდა. ეს მაჩვენებელი 2 ქულით ნაკლებია მის პირად რეკორდზე, თუმცა დამაიმედებელია, რომ კილაძე სტაბილურად სცილდება 370-იან მიჯნას, რაც სამომავლოდ ნათელ პერსპექტივას გვიქადის.

ამჯერად კილაძის გამოსვლას ცალკეული სერიების მიხედვით თუ განვიხილავთ, ძნელად დაიწყო ასპარეზობა – მხოლოდ 89 ქულა! მან ორჯერ 95-95 დააგროვა, თუმცა ერთ სერიაში 92 ჰქონდა... ვერ გეტყვით, რატომ არ წაუვიდა მას სროლა, მაგრამ ბოლო შეჯიბრებებზე საქართველოში უფრო უკეთ გამოვიდა.

თბილისელი ცოტნე მაჭავარიანი ჩვენი სახელოვანი მსროლელის – **ნინო სალუქვაძის** შვილია, რომელსაც დებიუტი ჰქონდა უცხოეთში. მან 558 ქულა დააგროვა და 31-ზე გავიდა, თუმცა ეს შედეგი მისთვის სარეკორდოა. საერთოდ, ის ყოველ ტურნირზე აუმჯობესებს საკუთარ მიღწევას და ტრადიციას არც ახლა უღალატა, რაც სპორტსმენისთვის ასევე დადებითი თვისებაა. 6-დან 3 სერიაში მას ნორმალური შედეგი ჰქონდა – 95 და ორჯერ – 96, რასაც 91 და 93 ქულაც დაუმატა, მაგრამ მეოთხე სერიაში სერიოზული ჩავარდნაც ვიხილეთ – 87 ქულა. ალბათ, ესეც გამოუცდელობის ბრალია.

მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების სალიცენზიო ტურნირი თებერვალში მოსკოვში გასამართი ევროპის ჩემპიონატია, რომელიც ერთდროულად ტარდება უფროსებსა და ახალგაზრდებს შორის და რომლებსაც ამჯერად აღნიშნული ასაკიც დაემატება – მათთვის ცალკე ტურნირი ჩატარდება.

**ირაკლი თავაძე**



ლიზი კილაძე (მარჯვნიდან პირველი)

რეგიონი. კრივი

# ახლა შვილის ჯერია

გორის კრივის სკოლა მუდამ მნიშვნელოვან კერად მიიჩნეოდა ქართულ კრივში. აქ გაზრდილ სპორტსმენებს არაერთხელ უსახელებიათ საერთაშორისო არენაზე მშობლიური ქვეყანა. ადგილობრივი სპეციალისტების ნაყოფიერ მუშაობაზე კი ყველაზე უკეთ მათი შეგირდების წარმატებები მეტყველებს. იზრდება მომავალი თაობა, რომელიც უთუოდ მოუტანს გამარჯვებებს ქვეყანას. დღეს გორის კრივის დარბაზში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ სპორტსმენად კადეტთა შორის ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი 16 წლის **რატი ტლაშაძე** (75 კგ) ითვლება, რომლის პირადი მწვრთნელიც, მამა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გორის კრივის სკოლის მწვრთნელი **ილია ტლაშაძეა**.

საკრივო ტრადიციები ამ ოჯახს რატის პაპისგან მოსდევს. შემდეგ ილია დადგა რინგზე და საქართველოსა და საკავშირო რინგზე მიღწეული წარმატებები 1994 წელს მსოფლიოს პრიზიორობით დააგვირგვინა. *„ჩემი შვილი რომ სპორტსმენი უნდა გამოსულიყო, დარწმუნებული ვიყავი. კონკრეტული სახეობის არჩევა მასვე მივანდე და მანაც კრივი ამჯობინა. 2008 წლიდან ვარჯიშობს. თავდაუზოგავმა შრომამ, რასაკვირველია, შედეგიც გამოიღო. უკვე საქართველოს ორგზის ჩემპიონია კადეტებში, შარშან ბულგარეთში ევროპულ არენაზე კი მესამე პრიზიორი გახდა. ერთადერთი მარცხიც რატიმ ადგილობრივ მოკრივესთან იწვნია. იმ ორთაბრძოლაში მსაჯის ობიექტურობამ ნამდვილად გაგვიჩინა პროტესტის გრძნობა"* - გვითხრა ილია ტლაშაძემ.

ამას წინათ რატიმ საქართველოს ნაკრებში ბაქოში „ა" კლასის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა და შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. იქ ძლიერი სპორტსმენები გავიდნენ და მათთან პაექრობამ ჩვენიანს გამოცდილება შემატა. *„სანაკრებო შეკრებების სიხშირე და საშეჯიბრებო პრაქტიკის კიდევ უფრო გაზრდა - კრივის განვითარებისთვის აუცილებელია. რაც ორი-სამი თვის განმავლობაში დარბაზში ვარჯიშით უნდა შეიძინოს მოკრივემ, თითქმის იმდენს ერთი მაღალი დონის (როგორც მაგალითად ახლა აზერბაიჯანში იყო) შეჯიბრებით შეიძენს. ქართველებს ერთხანს საჭიდაო სახეობებშიც გვქონდა ჩავარდნა, მაგრამ დღეს რადიკალურად შეიცვლა მდგომარეობა უკეთესობისაკენ. სწორედ შეკრებების და შეჯიბრების სიხშირეა ის, რამაც ქართულ კრივშიც აღმასვლა უნდა მოიტანოს. იმედი მაქვს ქვეყანაში და ჩვენს ფედერაციაში მომხდარი ცვლილებები სასიკეთოდ აისახება კრივის განვითარებაზე"* - ამბობს ილია ტლაშაძე.

გორის კრივის სკოლის დირექტორმა **ავთანდილ შოშიაშვილმა**, რომლის აღზრდილია მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი კანდელაკი** და რატის მამა - ილია ტლაშაძე, გვითხრა, რომ რატი პერსპექტიული მოკრივეა და უდიდესი მონდომებით ეკიდება საქმეს.

ერთ დროს ილიაც იმედისმომცემ მოკრივედ მიაჩნდა ბატონ ავთანდილს და გაუმართლა. ახლა შვილის ჯერია!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ოსტატი და შეგირდი - მამა-შვილი რატი და ილია ტლაშაძეები

პრესკონფერენცია

# იუნესკოს გამოძახილი

6 ივნისს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძემ** და სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს, რომელიც ბერლინში იუნესკოს ეგიდით ჩატარებული ფიზიკური განათლების და სპორტზე პასუხისმგებელ პირთა მე-5 საერთაშორისო კონფერენციას მიეძღვნა.

მინისტრის მოადგილემ და სეოკი-ის გენერალურმა მდივანმა სპორტული ფედერაციების წარმომადგენლებს კონფერენციაზე განხილული საკითხები დეტალურად გააცნეს. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო UNESCO-ს წევრი 195 წევრი ქვეყნიდან 137 ქვეყნის 600-ზე მეტმა ოფიციალურმა პირმა, ექსპერტმა და არასამთავრობო სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენელმა.

**სამინისტროს პრესცენტრი**

ჩოგბურთი

# წყვილებს გამოეთიშა

თბილისელმა **სოფიო შაფათავამ** იტალიურ ბრეშაში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იან ტურნირზე ინდივიდუალური და წყვილთა პაექრობის მეოთხედფინალში გააღწია, მაგრამ გუშინ გერმანელ ქრისტინა შაკოვეცთან შეამხანაგებულმა წყვილთა შეჯიბრება ორ სეტში იოლად დათმო ტურნირის მე-4 ნომერ მასპინძლებთან - ჯულია გატომონტიკონესა და ანასტასია გრიმალსკასთან.

ერთეულების მეოთხედფინალში ჩვენებური ასპარეზობის რეიტინგგავორიტ ალექსანდრა კრუნიჩთან (სერბეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

# ქართული ოლიმპიზმი გალაქსის სამყაროში

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ახალი მსხვილი სპონსორი ჰყავს – ელექტროსაქონლის წარმოებაში მსოფლიოში აღიარებული ბრენდი „სამსუნგი". თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გუშინ გაფორმდა სეოკ-ის ოფისში, მაჩაბლის 11 ნომერში. მას სეოკ-ის ხელმძღვანელებთან – პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვთან** და პირველ ვიცე-პრეზიდენტ **ელგუჯა ბერიშვილთან** ერთად „სამსუნგ ელექტრონიკსის" ვიცე-პრეზიდენტი **სინ სიკ ჩოი** და საქართველოს ოფისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი **ნიკოლოზ დობორჯგინიძე** უძღვებოდნენ.

შეხვედრა ბერიშვილმა გახსნა და მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა „სამსუნგის" დარ სოლიდურ კომპანიასთან და რაოდენ სასიხარულოა ეს ქართული ოლიმპიური მოძრაობისთვის. *„ეს ლიდერი კომპანიაა ციფრული ტექნოლოგიების და საერთოდ, ელექტროტექნიკის წარმოებაში. ის პირველად იწყებს თანაშრომლობას ქართულ ოლიმპიურ მოძრაობასთან"* - აღნიშნა მან და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ნაგანოს ზამთრის თამაშებიდან მოყოლებული, ის ოლიმპიადების ერთ-ერთი სოლიდური სპონსორია. მანვე წარუდგინა კორეელ სტუმრებს სეულის ოლიმპიადის ქართველი გამარჯვებულები – **ნინო სალუქვაძე** და **გელა კეტაშვილი**, მერე კი სხვა ოლიმპიურ ჩემპიონთა ჯერიც დადგა, რომლებიც ბლომად ესწრებოდნენ შეხვედრას: **რაფაელ ჩიმიშკიანი, კახი კახიაშვილი, შოთა ხაბარელი, ვაჟა კაჭარავა, ვახტანგ ბლაგიძე** და სხვები.

*„სამსუნგი" მსოფლიოში ცნობილი კომპანიაა და მისასალმებელია, რომ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ვიმედოვნებთ, ეს მრავალწლიანი ურთიერთობა იქნება, რომელიც ორივე მხარისთვის სასარგებლო აღმოჩნდება და რაც მთავარია, ქართულ ოლიმპიურ მოძრაობას წაადგება. თან, გვაქვს იმედი, რომ ეს კარგი მაგალითი იქნება სხვა კომპანიებისთვის და ისინიც ითანამშრომლებენ ჩვენთან"* - აღნიშნა ხაბელოვმა.

ქართველ ოლიმპიელთა მიღწევებს კორეელი სტუმარიც შეეხო და გაოცებაც გამოთქვა, რომ 5-მილიონიანი ქვეყნისთვის 34 ოლიმპიური ჩემპიონი დიდი მიღწევაა. *„ მოგეხსენებათ, ჩვენი კომპანია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორია და ვაფინანსებთ არაერთ მაღალი დონის შეჯიბრებას. ამიტომ მოხარული ვარ, რომ დღეს ხელს მოვაწერთ თქვენს ოლიმპიურ კომიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმს. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ხელი შევუწყოთ და საფუძველი ჩავუყაროთ სპორტულ წარმატებებს. სპორტული ინდუსტრიის განვითარება ყოველთვის იყო ჩვენი კომპანიის ფილოსოფიის განუყოფელი ნაწილი. ძალიან მოხარული ვიქნებით, თქვენს ქვეყანაშიც თუ დავეხმარებით სპორტის განვითარებას"* - აღნიშნა ჩოიმ.

ამ ცერემონიალს საჯარო სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც „სამსუნგის" ემბლემიანი ოლიმპიური ფორმები წარადგინეს. თანამშრომლობის პირველი ეტაპი 23 ივნისს გასამართი ოლიმპიური გარბენი იქნება, რომელსაც მთლიანად ახალი სპონსორი დააფინანსებს. ორმხრივი სურვილია, რომ თანამშრომლობა მრავალწლიანი იყოს და, იმედია, ასეც იქნება.

**ირაკლი თავაძე**




● ალპინიზმი

# თოვლის ჯიქები ახალი ნახტომისთვის ემზადებიან

ევერესტი, ლჰოცზე, დჰაულაგირი, ხან-თენგრი, კორჟენევსკაიას, ლენინის, კომუნიზმის, გამარჯვების პიკები, უშბა, ჩათინი, მყინვარწვერი - აი, არასრული სია იმ მწვერვალებისა, რომლებიც წლების განმავლობაში დაულაშქრავთ (ზოგიერთი - მრავალგზისაც) სახელოვან მთამსვლელებს, ორ-ორგზის „თოვლის ჯიქებს" - **ბიძინა გუჯაბიძესა** და **აფი გიგანს** პამირში, ტიან-შანზე, ჰიმალაებში, ჩინეთის მთიანეთში; ურთულესი სასიმაღლო, სასიმაღლო-ტექნიკური, ტექნიკური და თოვლიან-ყინულოვანი ასვლები განუხორციელებიათ კავკასიონზე, სხვაგანაც. „თოვლის ჯიქები" ახალი ნახტომისთვის ემზადებიან -ათკაციანი საერთაშორისო ექსპედიციის (ხელმძღვანელი - უკრაინელი მესიმაღლე იგორ სვერგუნი) შემადგენლობაში პაკისტანში 8126 მ სიმაღლის მწვერვალის - ნანგა პარბატის დალაშქვრას აპირებენ. ჩრდილო-დასავლეთი ჰიმალაის (ქაშმირის ჰიმალაი) ამ ულამაზეს მთაზე პირველასვლა (ავსტრიელი ჰერმან ბული) 1953 წლის 3 ივლისს შესრულდა. 8-ათასიან მწვერვალებს შორის ნანგა პარბატი მე-9 სიმაღლის მთაა, რომელიც ალპინისტურ წრეებში "მკვლელი მთის" სახელითაა ცნობილი. გასული საუკუნის 90-იანი წლების მონაცემებით, ალპინისტთა სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი სწორედ ამ მწვერვალზე მოდის და მსოფლიოს სამ ყველაზე რთულ მთას შორისაა დასახელებული. 1970 წელს ნანგა პარბატიდან დაშვებისას მსოფლიოში ცნობილი მთამსვლელის - რეინჰოლდ მესნერის ძმა გიუნტერ მესნერი დაიღუპა.

საერთაშორისო ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში ქართველი ალპინისტებიც შედიან, ნანგა პარბატის დალაშქვრას დიამარის კედლით შეეცდება. აღნიშნული მარშრუტი პირველად 1962 წელს გაიარეს და დღემდე სტანდარტულ-კლასიკურ (კომბინირებული თოვლიან-ყინულოვანი, კლდოვანი მონაკვეთებით) მარშრუტად მიიჩნევა. ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით გუშინ ბიძინა გუჯაბიძემ და აფი გიგანმა პრესკონფერენცია გამართეს, დღეს გამთენიისას კი ქართველი მთამსვლელები თბილისიდან გაემგზავრნენ. ექსპედიცია, სავარაუდოდ, ორ თვემდე გასტანს.

**ვაჟა დანელია**




● ჭადრაკი


სალომე მელია (მარცხნივ) და მაია ლომინეიშვილი დაზავდნენ

# ჩემპიონს ბოლო ტური დაასახელებს

თბილისელი დიდოსტატი **ნინო ხურციძე** უნიკალური შედეგის მქონე მოჭადრაკეა, არა იმიტომ, რომ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებსა და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე მრავალი ჯილდო აქვს მოხვეჭილი, ხოლო ქალებში ოთხჯერ (1989, 1993, 2005, 2006) მოიპოვა საქართველოს პირველობა: ჩვენს დიდოსტატ მანდილოსანთგან იგი ერთადერთია, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატი ვაჟებშიც მოიგო - ეს მოხდა 1998 წელს.

წლევანდელ საიუბილეო 70-ე ქალთა პირველობაზეც მას ფავორიტთა შორის ასახელებდნენ და ხურციძეც წინასწარ გაცემულ ავანსებს ამართლებს: გუშინ ქვეყნის პირველობის ბოლოსწინა ტურში შავი ფიგურებით 24-ე სვლაზე **ინგა ხურცილავა** დაამარცხა და 8 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა. დღეს მე-11 ტურში სწორედ უახლოეს კონკურენტს - **ნინო ბაციაშვილს** დაუპირისპირდება. ტიტულის მეექვსედ მოსაპოვებლად ყაიმიც ჰყოფნის. გუშინ ბაციაშვილმა თეთრი ფიგურებით 59-ე სვლაზე ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონ **მაია ლომინეიშვილს** აჯობა და 7,5 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა, რითაც კარიერაში პირველად გვირგვინის დაუფლების რეალური შანსი გაუჩნდა, ოღონდ მისი გამოყენება, თანაც შავი ფიგურებით იოლი არ იქნება, თუმცა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, შეუძლებელი არაფერია.

ტურნირზე პირველი გამარჯვება მოიპოვა ეროვნულმა ოსტატმა **ლიკა კობეშავიძემ**, რომელმაც 53-ე სვლაზე **სოფიკო გურამიშვილს** გააჩერებინა საათი და, ფაქტობრივად, კვარცხლბეკისკენ მიმავალი გზა გადაუღობა. **მაკა ფურცელაძემ,** რომელმაც შესანიშნავად დაიწყო ტურნირი, მაგრამ მერვემეცხრე ტურებში საგრძნობლად დაშორდა მეწინავეებს, გუშინ **მერი არაბიძე** დაამარცხა. დაზავდნენ: **სოფიო გვეტაძე - ანა კუჭავა**, ასევე, **სოფიკო ხუხაშვილი** და **სალომე მელია,** ოღონდ საამისოდ 104 სვლა დასჭირდათ.

ათი ტურის შემდეგ: ხურციძე - 8, ბაციაშვილი - 7,5, ლომინეიშვილი, მელია - 6,5-6,5, გურამიშვილი, ფურცელაძე - 5,5-5,5, ხუხაშვილი, გვეტაძე - 5-5, ხურცილავა - 4,5, არაბიძე - 3, კუჭავა, კობეშავიძე - 1,5-1,5 ქულა.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ხურციძე - ბაციაშვილი, გურამიშვილი - ხურცილავა, არაბიძე - კობეშავიძე, მელია - ფურცელაძე, კუჭავა - ხუხაშვილი, ლომინეიშვილი - გვეტაძე.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდია 16.000 ლარი, რომელიც ასე განაწილდება: გამარჯვებული 5000 ლარით დაჯილდოვდება, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, საოჯახო ბიუჯეტს 4000-3500-2000 და 1500 ლარით გაიმდიდრებენ. 2013 წლის საქართველოს ჩემპიონს ნაკრებში მიიწვევენ და ევროპის გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზებს; ოქროს და ვერცხლის მედალოსნებს ჭადრაკის ფედერაცია 2014 წლის კონტინენტის ქალთა ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს.

**ვაჟა დანელია**

# პირველ-მეორეზე ქართველები გავიდნენ

ინდურ მუმბაიში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს ვაჟთა ნაკრების წევრებმა - **ლევან ფანცულაიამ** და **მიხეილ მჭედლიშვილმა**. ბოლო ტურში ლიდერი ფანცულაია ტაჯიკ ფარუხ ამონატოვს დაუზავდა, ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი) - მიხეილ მჭედლიშვილი, კორე აქშაირაჯი (ინდოეთი) - მიშრა შვაიამსი (ინდოეთი).

ამდენად, სამმა მოჭადრაკემ 11 ტურის შემდეგ 8,5-8,5 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი კოეფიციენტით მთავარი პრიზი ფანცულაიას ერგო, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, მჭედლიშვილი და ამონატოვი გავიდნენ. **მერაბ გაგუნაშვილი** ლაქსამანთან (ინდოეთი) დამარცხდა და 6,5 ქულით 30-ე ადგილი ერგო.

**ვაჟა დანელია**

# ბოლო საფეხურს ვერ ასცდა

**ლელა ჯავახიშვილი** კვლავ წარუმატებლად ასპარეზობს მოჭადრაკე ქალთა წრიულ ტურნირზე, რომელიც ჩინეთში ტარდება. ჩვენებური რვა მასპინძელსა და ევროპის ჩემპიონ ვალენტინა გუნინასთან (რუსეთი) ერთად ჩაება შეჯიბრებაში. გუშინ მე-6 ტურში იგი შავი ფიგურებით დინ ისინს დაუზავდა. ასევე, ყაიმით დასრულდა ჰუან ძიანი - ჟან სიაოვენის, თან ჟუნისა და გო ძის პარტიები. ცზიუ ვენძიუნმა შავი ფიგურებით ვან იუის სძლია, გუნინამ კი შენ იანი დაამარცხა.

ექვსი ტურის შემდეგ: გუნინა, თან ჟუნი - 4, გო ძი, დინ ისინი, ჰუან ძიანი, ცზიუ ვენძიუნი - 3-3, ვან იუი, შენ იანი, ჟან სიაოვენი, ჯავახიშვილი - 2,5-2,5 ქულა.

დღეს მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ჯავახიშვილი - ჰუან ძიანი, შენ იანი - დინ ისინი, გო ძი - გუნინა, ვენძიუნი - თან ჟონი, სიაოვენი - ვან იუი.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თბილისის თასი

IRB
TBILISI CUP

# ბორჯღალოსნები ირლანდიით იწყებენ

**დღეს „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" თბილისის თასის პირველი გათამაშება იწყება. ამ ოთხთა ტურნირს ჩვენი გუნდისთვის მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის მეორე წრისთვის მოსამზადებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები აქ პირველი წრის შემდეგ ლიდერია.**

„ბორჯღალოსნები" „თბილისის თასის" გათამაშებაში გადახალისებული შემადგენლობით ითამაშებენ. გუნდს რამდენიმე წამყვანი მორაგბე დააკლდა. ესენია: **მამუკა გორგოძე, მიხეილ ნარიაშვილი** (ორივე-მონპელიე), **ჯაბა ბრეგვაძე, ვასილ კაკოვინი** (ორივე-ტულუზი), **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) და **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი).

ჩვენი გუნდის პირველი მეტოქე მზარდი ირლანდია იქნება, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა ირლანდიელი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. „ბორჯღალოსნების" მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** შერკინებაში მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი) დააბრუნა. საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება პირველი ხაზი. **ირაკლი მირცხულავას** (ტარბი), **რეზო ბელქანიას** (ლელო) და **ლევან ჩილაჩავას** (ტულონი) ერთად არასდროს უთამაშიათ.

რვა ნომრის პოზიციაზე დაბრუნდა **გიორგი ჩხაიძე** (ტარბი), რომელიც ბოლო დროს ეროვნულ გუნდში მეორე ხაზში თამაშობდა. მას პარტნიორობას მრავალნაცადი **შალვა სუთიაშვილი** (მასი) და ამომავალი ვარსკვლავი **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი) გაუწევენ.

წლეულს საქართველოს ნაკრებში პირველად ითამაშებს მგეზავი **ლაშა მალაღურაძე** (ბაგნერე). ლელოელმა **ლაშა ხმალაძემ** კი, ადგილი სათადარიგოთა შორის დაიკავა. ფულბეკის პოზიციაზე **მერაბ კვირიკაშვილის** (სენ ჟუნიენი) არყოფნაში **ბექა ნიკლაური** (ლოკომოტივი) ითამაშებს.

საინტერესოდ გამოიყურება სათადარიგოთა სკამიც. **სიმონ მაისურაძე** (ბაგნერე), რომელიც ყოფილი მესამეხაზელია, ამჯერად შერკინების კვაჭის როლში მოგვევლინება. პირველ კეპს მოიხვეჭს ახალგაზრდა ბურჯი **გიორგი თეთრაშვილი** (ალბი), რომელმაც წლეულს კლუბში შესანიშნავი სეზონი ჩაატარა.

ეროვნულ გუნდს დაუბრუნდნენ ტრავმამოშუშებული მესამეხაზელი **გივი ბერიშვილი** (ლოკომოტივი) და მეორეხაზელი **გიორგი ნემსაძე** (ალბი).

საქართველოსა და მზარდი ირლანდიის მატჩი „ავჭალის სარაგბო სტადიონზე" დღეს 19 საათზე დაიწყება. ორი საათით ადრე კი, ერთმანეთს სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები და ურუგვაის ეროვნული გუნდი დაუპირისპირდებიან. მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ამავე სტადიონის სალაროებში 11 საათიდან დაიწყება.

### საქართველო-ირლანდია

საქართველო: **15. ბექა ნიკლაური, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. ლაშა მალაღურაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. ირაკლი მირცხულავა, 2. რევაზ ბელქანია, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. ვახტანგ მაისურაძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. გიორგი ჩხაიძე.**

**16. სიმონ მაისურაძე, 17. გიორგი თეთრაშვილი, 18. გიორგი ნემსაძე, 19. გივი ბერიშვილი, 20. ვაჟა ხუციშვილი, 21. ლაშა ხმალაძე, 22. თედო ზიბზიბაძე.**

ირლანდია: **15. დევიდ ჰერნი, 14. ნაილ მორისი, 13. ევან გრიფინი, 12. მაიკლ ალენი, 11. თირნან ოჰალორანი, 10. იენ ქითლი, 9. მაიკლ ჰინი. 1. ჯეკ მაკგრასი, 2. რობ ჰერინგი, 3. მაიკლ ბენტი, 4. ლუის სტივენსონი, 5. დევიდ ფოლი, 6. რის რადოქი, 7. დომინიკ რაიანი, 8. რობი დაიკი.**

**16. ნაიჯელ ენეთი, 17. რიჩარდ ლუთონი, 18. იენ ნეგლი, 19. ჯორდი მერფი, 20. ჯონ ლუნი, 21. ნოელ რიდი, 22. ბრენდონ მაქენი.**

### სამხრეთი აფრიკა-ურუგვაი

სამხრეთი აფრიკა: **15. ჟაკ იანსენი, 14. ვილმორე ლოუ, 13. სტეფან ვატერმეიერი, 12. ადრიან ენგელბერხტი, 11. იერომ პრეტორიუსი, 10. რიკარდო კროი, 9. სნივუიო ნიოკა. 1. ხვეზილოკუსა მხაფუ, 2. ეშტონ კონტანტი, 3. მარტინ დრეიერი, 4. ბრენდან სნეიმანი, 5. ლუბაბალო მიტანდა, 6. იაკო ბოუელი, 7. უზერ კასიმი, 8. სანდრე იორდანი.**

**16. ფრანკ ჰერნანი, 17. ივან ესპაი, 18. ედუან ფან დერ ვალტი, 19. რენალდო ბოთამა, 20. კებე ლაქი, 21. როსკო სპეკმანი, 22. კუნრად ფან ვეიკი.**

ურუგვაი: **15. ხერონიმო ეჩევერი, 14. პავლო ვუენო, 13. ხოაკინ პრადა, 12. ალვერტო რომანი, 11. ლეანდრო ლეივასი, 10. ავგუსტინ დელ კასტიჯო, 9. ალეხო დურანი. 1. როდოლფო დე მულა, 2. არტურო ავალო, 3. მარიო საგარიო, 4. როდრიგო ესპიგა, 5. ფრანკო ლამანა, 6. ხუან დე ფრეიტასი, 7. ფერნანდო ვასკოუ, 8. ხუან გამინარა.**

**16. ნიკოლას კლაპენვახი, 17. ალეხო კორალი, 18. გასტონ ივარვურუ, 19. ხოსე კორენელი, 20. ხუან ტასისტრო, 21. ხერმან ალვანელი, 22. სანტიაგო კორე.**

● ტესტები

# ოლ ბლექსი და ლე ბლო ისევ ედენ პარკზე

**საფრანგეთის ნაკრები ახალზელანდიურ ტურნეს ოქლენდში, „ედენ პარკზე" „ოლ ბლექსთან" დაპირისპირებით გახსნის. „ლე ბლოს" თავკაცმა ფილიპ სენტ-ანდრემ ძირითად შემადგენლობაში ორი დებიუტანტი დააყენა.**

ცხრა ნომრის პოზიციაზე ბორდოელი **კალიმ ლოპესი** ითამაშებს. გარემარბი კიდევ ერთი დებიუტანტი **ადრიენ პლანტე** იქნება, მაშინ, როცა მეორე ფრთაზე გამოცდილი **მაქსიმ მედარი** ითამაშებს. ის ეროვნულ გუნდში 33-ე კეპს მოიხვეჭს. მედარმა ოთხი წლის წინათ დანიდინში ახალი ზელანდიის ნაკრებთან შეხვედრაში გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა. მას შემდეგ „ლე ბლოს" „ოლ ბლექსისთვის" აღარ მოუგია.

გამოცდილი მორაგბეები **ფრედერიკ მიშალაკი** და **მაქსიმ მერმოსი** სათადარიგოთა შორის იქნებიან, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალურ მატჩში მონაწილეობის გამო ნაკრებს მოგვიანებით შეუერთდნენ.

ორი დებიუტანტი ეყოლება ახალი ზელანდიის ნაკრებსაც. ესენია **ბენ აფეაკი** და **ჯერემი ტრუში**, რომლებიც სათადარიგოთა შორის იქნებიან. წლეულს პირველად ითამაშებს ეროვნულ გუნდში შერკინების კვაჭი **დენ კოლი.** უკანა ხაზში არ ითამაშებს მგეზავი **დენ კარტერი.** ამ პოზიციაზე **აარონ კრადენს** ვიხილავთ, რომელსაც ცხრა ნომრის პოზიციაზე **აარონ სმითი** შეუწყვილდება. ისევ შთამბეჭდავად გამოიყურება შუამარბების, **მაა ნონუსა** და **კონრად სმითის** დუეტი.

*„მიუხედავად იმისა, რომ ბოლო კვირას ტრავმებმა გაგვაწამეს, მაინც კმაყოფილი ვარ. ძალიან კარგად ვიცით საფრანგეთის ნაკრები როგორ თამაშობს. თუმცა ეს გუნდი ძალზე ამოუცნობია და როდის რას შემოგვთავაზებს ვერ გაიგებ. ამიტომ, მუდმივად მზად და ყურადღებით უნდა ვიყოთ."* - თქვა ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სტივ ჰანსენმა.**

ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის ნაკრებებმა ერთმანეთთან აქამდე ორმოცდაერთმეტჯერ ითამაშეს. „ოლ ბლექსმა" 38 გამარჯვებას მიაღწია, 12 მატჩი წააგო და ერთი შეხვედრაც ფრედ დაასრულა.

**საფრანგეთი:** 15. იან უგე, 14. ადრიენ პლანტე, 13. ფლორინ ფრიცი, 12. ვესლი ფოფანა, 11. მაქსიმ მედარი, 10. კალიმ ლოპესი, 9. მაქსიმ მაშენო. 1. ტომას დომინგო, 2. დიმიტრი სჟარჟევსკი, 3. ლუკ დუკალკონი, 4. სებასტიან ვაჰამაჰინა, 5. იოან მაესტრი, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. ფლუჟანს უოდრაოგო, 8. ლუი პიკამოლი.

16. გილემ ჟირადო, 17. ვინსენ დაბატი, 18. დანიელ კუცია, 19. ალექსანდრ ფლანკარტი, 20. იანიკ ნიანგა, 21. ჟანმარკ დუსენი, 22. ფრედერიკ მიშალაკი, 23. მაქსიმ მერმოსი.

**ახალი ზელანდია:** 15. ისრაელ დაგი, 14. ბენ სმითი, 13. კონრად სმითი, 12. მაა ნონუ, 11. ჯულიან სავეა, 10. აარონ კრადენი, 9. აარონ სმითი. 1. ვაით კროკეტი, 2. დენ კოლი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. ბრედლი რეტალეკი, 6. ლიამ მესამი, 7. სენ კენი, 8. კირან რიდი.

16. კევინ მეალამუ, 17. ბენ ფრენქსი, 18. ბენ აფეაკი, 19. ჯერემი ტრუში, 20. ვიქტორ ვიტო, 21. ტავერა კერ ბარლოვი, 22. ბოდენ ბარეტი, 23. რენე რენჯერი.


სემ ვერბარტონი

# ოთხი ახალბედა წითელ ურჩხულებში

უელსის ნაკრები მომავალ უქმეებზე ოსაკაში იაპონიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ივნისის ტესტებზე „წითელ ურჩხულებს" **რობინ მაკბრაიდი** ხელმძღვანელობს. უელსელთა თავკაცი **ოურენ გეთლენდი** კი, „ბრიტანელ ლომებს" მოძღვრავს ავსტრალიურ ტურნეში. მასვე თან ახლავს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობა.

ამის გამო მაკბრაიდი იძულებული გახდა ტურნეში ოთხი დებიუტანტი წაეყვანა. მათ შორისაა 18 წლის გარემარბი **დევიდ ჰოულისი.** ის „საკურების" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. დანარჩენები კი, სათადარიგოთა შორის იქნებიან.

მგეზავისა და ცხრა ნომრის პოზიციაზე ექვსი ერის გათამაშებაში თავგამოჩენილები **დენ ბიგარი** და **ლოიდ ვილიამსი** იასპარეზებენ. შუამარბი **ჯონათან სპრატი** კი, უელსის ნაკრების მაისურს პირველად მოირგებს 2009 წლის შემდეგ. მეორე კეპს მოიხვეჭს 20 წლის **ჰარი რობინსონი.**

*„ვარჯიშების ინტენსივობით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა მაქსიმუმი გააკეთეს, რათა ეროვნულ გუნდში მოხვედრილიყვნენ. მათ ახლავე უნდა დაამტკიცონ, რომ ღირსნი არიან უელსის ნაკრების კვართი ეცვათ. ყველას კარგად ესმის, რას ნიშნავს ქვეყნის ღირსების დაცვა"* - თქვა უელსის ნაკრების მწვრთნელმა რობინ მაკბრაიდმა.

### უელსი

**15. ლიამ ვილიამსი, 14. ჰარი რობინოსნი, 13. ოუენ ვილიამსი, 12. ჯონათან სპრატი, 11. დევიდ ჰოულსი, 10. დენ ბიგარი, 9. ლოიდ ვილიამსი. 1. რაიან ბევინგტონი, 2. ემირ ფილიპსი, 3. სკოტ ენდრიუსი, 4. ბრედლი დევისი, 5. ლუ რიდი, 6. ენდრიუ კომბსი, 7. ჯეიმზ კინგი, 8. რობ მაკკუსკერი.**

**16. სკოტ ბოლდუინი, 17. რის გილი, 18. როდრი ჯოუნზი, 19. ანდრის პრეტორიუსი, 20. დან ბეკერი, 21. ტავის კნოლი, 22. რის პეტჩელი, 23. ტომ პრაიდი.**

# ლომებმა ორი უკვე მოიგეს

„ბრიტანელი ლომები" ავსტრალიურ ტურნეში მორიგ მატჩს ბრისბენის „რედსთან" ხვალ გამართავენ. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **უორენ გეთლენდმა** კაპიტნად უელსელი **სემ ვერბარტონი** დანიშნა.

„ბრიტანელი ლომების" წარმმართველი ძალა ინგლისური დუეტი, მგეზავი **ოუენ ფარელი** და ცხრა ნომერი **ბენ იანგზი** იქნება. საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება შერკინება. განსაკუთრებით მეორე ხაზი. აქ გეთლენდმა შოტლანდიელი **რიჩი გრეი** და ინგლისელი **ჯეფ პერლინგი** დააწყვილა.

შეგახსენებთ, რომ „ბრიტანელმა ლომებმა" უკვე ორი მატჩი გამართეს და ორივეში შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ ჯერ ჰონკონგში „ბარბაროსებს" სძლიეს - 59:8. მერე კი, გასულ უქმეებზე პერთის „ფორსს" მოუგეს - 69:17.

### ბრიტანელი ლომები

**15. სტიუარტ ჰოგი, 14. ალექს კატბერტი, 13. მანუ ტუილაგი, 12. ჯონათან დევისი, 11. ტომ ბოუი, 10. ოუენ ფარელი, 9. ბენ იანგზი. 1. გარეტ ჯენკინსი, 2. ტომ იანგზი, 3. მეთ სტივენსი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯეფ პარლინგი, 6. დენ ლიდიატი, 7. სემ ვერბარტონი, 8. ტობი ფალეტაუ.**

**16. რიჩარდ ჰიბარი, 17. მაკო ვუნიპოლა, 18. ალუნ-ვინ ჯოუნზი, 19. პოლ ოკონელი, 20. ჯასტინ ტიპურიჩი, 21. კონორ მური, 22. ჯონათან სექსტონი, 23. ჯორჯ ნორსი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



# მერსედესი დაისჯება

გერმანულ საჯინიბო "მერსედესს" სერიოზული სანქციები ელოდება ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისგან საბურავების არალეგალური ტესტების ჩატარების გამო.

"მერსედესმა", რომელიც სერიოზულ პრობლემებს შეხვდა საბურავების ცვეთასთან დაკავშირებით, ესპანეთის გრან პრის შემდეგ, საბურავების მწარმოებელ კომპანია "პირელისთან" ერთად ჩაატარა ტესტები, რისთვისაც 2013 წლის ბოლიდი გამოიყენა. ფედერაციის შეტყობინების თანახმად, მსგავსი ტესტების ჩატარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ პირობებში, თუ ანალოგიურ შესაძლებლობას მიიღებდნენ ჩემპიონატის სხვა მონაწილეები. ტესტების შემდეგ, მონაკოს გრან პრი "მერსედესის" პილოტმა **ნიკო როსბერგმა** მოიგო, რასაც მოჰყვა "რედ ბულისა" და "ფერარის" მხრიდან პროტესტი.

ამასთან, ანალოგიური ტესტები ჩაატარა "ფერარიმ", მაგრამ ეს 2011 წლის ბოლიდით გააკეთა, რაც აკრძალული არ იყო. ამასთან დაკავშირებით, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ დახურა საქმის ის ნაწილი, რომელიც იტალიურ საჯინიბოს ეხება.

"მერსედესის" საკითხს კი ფედერაციის სპეციალური ტრიბუნალი განიხილავს და სავარაუდოდ, გერმანელები სასჯელს ვერ გადაურჩებიან. ტრიბუნალი უფრო დეტალურად განიხილავს შესაძლო დარღვევებს და ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. სავარაუდო სასჯელად ასახელებენ "მერსედესისთვის" კონსტრუქტორთა თასზე ქულების ნაწილის ჩამორთმევას.

# 2014-ში ტესტებს აბრუნებენ?




იტალიური გამოცემა "გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, 2014 წელს, ფორმულა 1-ში, შესაძლოა, დაუბრუნდნენ სეზონის მსვლელობისას ტესტების ჩატარებას.

შეგახსენებთ, ადრე გერმანულმა Auto Motor und Sport-მა დაწერა, რომ "ფერარის" წინადადება ტესტებზე შეზღუდვების მოხსნის შესახებ, მონაკოში გუნდების ხელმძღვანელთა შეხვედრისას უარყვეს.

მაგრამ, "რედ ბულის" ხელმძღვანელმა **კრისტიან ჰორნერმა** იტალიური გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სინამდვილეში, სეზონის მსვლელობისას ტესტების დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება პრაქტიკულად მიღებულია და ეს სწორედ მონაკოში მოხდა.

ItaliaRacing-ის ცნობით, ლაპარაკია ორდღიანი ტესტების ოთხ სესიაზე, რომელიც სეზონის მიმდინარეობისას ევროპულ ტრასებზე გაიმართება.

მიუხედავად ამისა, რამდენიმე პატარა გუნდი ტესტების დაბრუნების წინააღმდეგი გამოდის, რადგან ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს სატესტო ბრიგადის შექმნა, რაც დამატებით ხარჯებს გამოიწვევს.

# ოჟიე და ფეტელი მანქანებს გაცვლიან

კლასიკურ რალიში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერი, "ფოლკსვაგენის" პილოტი, ფრანგი **სებასტიან ოჟიე** იმედოვნებს, რომ ფორმულა 1-ის ბოლიდის ტესტირების საშუალება ექნება. ამისთვის ოჟიემ დროებით სარბოლო მანქანების გაცვლა შესთავაზა "რედ ბულის" პილოტს, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს **სებასტიან ფეტელს**.

*"სებასტიანსაც უყვარს რალი და მას ძალიან უნდა "ფოლკსვაგენ-პოლოს" გამოცდა.*

*ყოველი პილოტი ისურვებდა ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭესთან დაჯდომას და მე გამონაკლისი არ ვარ. როცა ბოლიდში ჩავჯექი, ძალიან ვიწროდ ვიგრძენი თავი – ის ფეტელისთვის არის მომზადებული, სება კი ჩემზე გამხდარია.*

*მე უკვე მქონდა პატარა "ფორმულის" ბოლიდის პილოტირების საშუალება. ახლა, ვცდილობ ფორმულა 3-ის ტესტების ორგანიზებას და წინ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმას. ამის შემდეგ ვნახავთ რა იქნება"*, - განაცხადა ოჟიემ.

ამასთან, ფრანგმა ფეტელს ურჩია გამოსცადოს "ფოლკსვაგენ-პოლო" ღორღის საფარზე.

*"არ ვიცი, სად ურჩევნია სებასტიანს მანქანის გამოცდა – ასფალტზე თუ ღორღზე, მაგრამ ღორღზე შეგრძნებები უკეთესია"*,– ამბობს რალის ჩემპიონატის ლიდერი.



სებასტიან ფეტელი

რეიტინგი

# ვუდსი ისევ მდიდარია

გოლფის ამერიკელმა ვარსკვლავმა **ტაიგერ ვუდსმა** დაიბრუნა ჟურნალ "ფორბსის" ვერსიით მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენის სტატუსი.

ლეგენდარულმა სპორტსმენმა, რომელმაც მანამდე დაკარგა ლიდერობა რეიტინგში, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 78.1 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. "ფორბსის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ 100 ყველაზე მდიდარ სპორტსმენთა სიაში, ვუდსმა 6.6 მილიონით გაუსწრო **როჯერ ფედერერს**. სამეულშია "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელი **კობი ბრაიანტი**, რომელიც 61.9 მილიონის მფლობელია.

ქალებს შორის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენია **მარია შარაპოვა**, რომელიც 29 მილიონი დოლარით 22-ე ადგილს იკავებს საერთო სიაში. ასეულის ბოლო ადგილზეა მახაჭყალის "ანჟის" კამერუნელი ფეხბურთელი **სამუელ ეტო'ო** (16.4 მილნ).


ტაიგერ ვუდსი

**1. ტაიგერ ვუდსი**

ცნობილი ავარიის, სექსუალური სკანდალებისა და ცოლთან განშორების შემდეგ, ორი წლის განმავლობაში ხუთი სასპონსორო კონტრაქტი დაკარგა. მაგრამ, 2012 წელს ყველაფერი დაიბრუნა – მოიგო ექვსი პრესტიჟული ტურნირი და გამოიმუშავა 78.1 მილიონი (13.1 - ჰონორარი, 65 – სპონსორული თანხები), თან მონადირა სამთო მოთხილამურის **ლინდსი ვონის** გული.

**2. როჯერ ფედერერი**

როლან გაროსის მეოთხედფინალიდან ნაადრევი გამოვარდნის მიუხედავად, შვეიცარიელი თანამედროვეობის ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელია. გასულ წელს, მან გამოიმუშავა 71.5 მილიონი (6.5 - ჰონორარი და 65 – სპონსორები). მსხვილი კომპანიები (Nike, Rolex, Wilson, Credit Suisse. Moet & Chandon) სიამოვნებით თანამშრომლობენ ფედერერთან.

**3. კობი ბრაიანტი**

NBA-ში ყველაზე მაღალი ხელფასის მქონე კალათბურთელმა 61.9 მილიონი მიიღო, აქედან ხელფასია 27.9 მილიონი და 37.4 - სპონსორული შემოსავალი.

**4. ლებრონ ჯეიმსი**

გასულ წელს, "მაიამის" ფორვარდმა პირველად მოიგო NBA-ის საჩემპიონო ტიტული და ლონდონის ოლიმპიადა, აგრეთვე წელს კარიერაში მეოთხედ მიიღო სეზონის MVP-ის პრიზი. მისი შემოსავალი "ფორბსმა" 59.8 მილიონად (17.8 ხელფასი, 42 – სპონსორები) შეაფასა. ლებრონის სპონსორები არიან Nike, McDonald's, Coca-Cola და Samsung.

**5. დრიუ ბრიზი**

"ნიუ ორლეანის" კვოტერბეკმა ხუთწლიანი და 100-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა და ამერიკულ ფეხბურთელებს შორის **აარონ როჯერსსაც** აჯობა - 51 მილიონი (40 ხელფასი და 11 - სპონსორები).

**6. აარონ როჯერსი**

"გრინ ბეის" კვოტერბეკმა აპრილში ხუთწლიანი გიჟური კონტრაქტი გააფორმა და ამერიკული ფეხბურთის ლიგის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდა. "ფორბსის" ვერსიით, მისი შემოსავალი იყო 49 მილიონი (43 ხელფასი და 6 – სპონსორები).

**7. ფილ მიკელსონი**

ვუდსის შემდეგ მეორე უდიადესი გოლფისტი გასულ წელს დიდების დარბაზში შეიყვანეს. მისმა წლიურმა შემოსავალმა 48.7 მილიონი შეადგინა (4.7 ჰონორარი და 44 – სპონსორების თანხები).

**8. დევიდ ბექჰემი**

ყველაზე ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა კარიერა მაისში დაასრულა. მანამდე კი ერთ სეზონში 47.2 მილიონი დოლარი მიიღო (5.2 "პარი სენ-ჟერმენში და 42.2 სპონსორებისგან). მთელი ფრანგული ჰონორარი გულუხვმა ბექჰემმა ქველმოქმედებაზე დახარჯა.

**9. კრისტიანო რონალდო**

პორტუგალიელმა, რომელიც "რეალისგან" უფრო მაღალ ხელფასს იღებს, გასულ წელს 44 მილიონი დოლარი მიიღო (23 – ხელფასი და 21 – სასპონსორო კონტრაქტები).

**10. ლიონელ მესი**

სარეკორდო მეოთხე "ოქროს ბურთის" მიღების შემდეგ, არგენტინელი ყველაზე მაღლა დადგა ფეხბურთელებს შორის, მაგრამ ჯერჯერობით ყველაზე მდიდარი არ არის. მისმა შემოსავალმა გასულ წელს 41.3 მილიონი შეადგინა (20.3 – ხელფასი და 21 მილიონი სპონსორებში).

სამთო თხილამურები

# შემოწმება მოდის ჩვენებაზე


ლინდსი ვონი

სამთო თხილამურებში 2010 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ლინდსი ვონმა** დოპინგტესტი პირდაპირ ამერიკის მოდის დიზაინერთა საბჭოს გადაცემის ცერემონიაზე ჩააბარა. ამის შესახებ ESPN წერს.

თავად ცერემონია ნიუ იორკში 5 ივნისს გაიმართა, მაგრამ ინციდენტის შესახებ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. დოპინგოფიცრებმა სპორტსმენს მოსთხოვეს ლონისძიებაზე შეშვება, შემდეგ ლინდსი ტუალეტის ოთახში გააცილეს, სადაც საჭირო ანალიზები აიღეს.

ვონის პრესმდივანმა **ლუის კეიმ** განაცხადა, რომ სპორტსმენი გაგებით შეხვდა აშშ-ის ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლების გამოჩენას. *"მას ესმის, რომ ეს მისი სამუშაოს ნაწილია"*, - ამბობს კეი სააგენტო AP-თან კომენტარში.

სპორტსმენები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობა უწევთ, ნებისმიერ დროს ხდებიან ანტისადოპინგო სააგენტოების შემოწმების საგანი. სპორტსმენებმა უნდა აცნობონ ანტისადოპინგო ოფიცრებს თავიანთი გადაადგილების შესახებ.

მსოფლიოს თასის ოთხგზის მფლობელს სანახევროდ გაუცდა შარშანდელი სეზონი ტრავმის გამო, თუმცა ამერიკელი მოთხილამურე ასწრებს სოჭის ოლიმპიადისთვის გამოჯანმრთელებას.

მძლეოსნობა

# ბოლტი: ბალოტელი არ მომწონს

მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი **უსაინ ბოლტი** იტალიის დედაქალაქ რომში ჩავიდა, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს "ბრილიანტის ლიგის" სერიის მორიგ ეტაპზე. იტალიაში იამაიკელმა, რომელიც ცნობილია ფეხბურთისადმი სიყვარულით, თავისი მოსაზრება გაგვიზიარა იტალიის ნაკრების ფორვარდი **მარიო ბალოტელის** შესახებ.

*"ბალოტელი – შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ, ჩემი აზრით, ზედმეტად აგრესიული. ის არასოდეს აცილებს პენალტს. ორჯერ მომიწია მასთან შეხვედრამ და თუ სიმართლე გაინტერესებთ, დიდად არ მომეწონა"*, - განაცხადა ბოლტმა რომში გამართულ პრესკონფერენციაზე.

ბალოტელი ვალში არ დარჩა სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენს და თავის "ტვიტერზე" კომენტარი გაუკეთა ბოლტის გამონათქვამებს:

*"უსაინ, სანამ ადამიანს არ გაიცნობ, არ არის საჭირო მასზე აზრის გამოთქმა. შენი მხრიდან არაკორექტული საქციელია ჩემზე ასეთი ლაპარაკი".*



უსაინ ბოლტი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


მელოუნი და ჯორდანი

# მელოუნმა ცუდად იხუმრა

*„ყველა დროის სიმბოლური ნაკრები ჩემი ვერსიით? გამთამაშებელი ჯონ სტოქტონი, მეორე ნომერი ოსკარ რობერტსონი, მსუბუქი ფორვარდი სკოტი პიპენი, მძიმე ფორვარდი ლებრონ ჯეიმსი და ცენტრი - უილტ ჩემბერლენი“*, - განაცხადა The Dan Patrick Show-ს ეთერში „იუტა ჯაზის“ ლეგენდარულმა ფორვარდმა **კარლ მელოუნმა.**

მან ამგვარად ახსნა ამ ხუთეულში **მაიკლ ჯორდანის** არყოფნა: *„დარწმუნებული ვარ, ყველანი შოკირებული იქნებით, მაგრამ მესამე ნომრის პოზიციაზე სკოტი პიპენი ავიყვანე. ის ლიდერობდა „ჩიკაგოში“ ყველა სტატისტიკურ კატეგორიაში, როცა გუნდში არ იყო ჯორდანი“.*

*„მოდუნდით, ბიჭებო, ჯორდანი არის ჩემს სიმბოლურ ხუთეულში“*, - მოგვიანებით ESPN-თან ინტერვიუში განაცხადა მელოუნმა. მანამდე კი ფორვარდმა თავის „ტვიტერზე“ დაწერა, რომ უბრალოდ იხუმრა შოუს წამყვანთან, რომელიც საუბრის დასაწყისიდანვე გამოხატავდა თავის სიყვარულს „ჩიკაგოს“ ლეგენდის მიმართ.

# სერბეთი მზადებას იწყებს

სერბეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დუშან ივკოვიჩმა** 2013 წლის ევრობასკეტისთვის წინასწარი შემადგენლობა დაასახელა.

გუნდში მიწვეულნი არიან: **ნენად კრსტიჩი, მილოშ ტეოდოშიჩი, ვლადიმირ მიჩოვი, ზორან ერცეგი** (ყველა - ცსკა), **ნემანია ბიელიცა** („ლაბორაბ კუტჩა“), **რაშკო კატიჩი** („ცრვენა ზვეზდა“), **ვლადიმირ შტიმაცი** („ბანვითი“), **ვლადიმირ ლუჩიჩი, დეიან მუსლი, ბოგდან ბოგდანოვიჩი, დორჟე გაიჩი** (ყველა - „პარტიზანი“), **სტეფან მარკოვიჩი** („ვალენსია“), **ვასილე მიჩიჩი, ნოვიცა ველიჩკოვიჩი, ნემანია დანგუბიჩი** (ყველა - „მეგა ვიზურა“), **ნემანია ნედოვიჩი** („ლეტუვოს რიტასი“), **დანილო ანჯუშიჩი** („ვირტუსი“), **მილან მაჩვანი** („გალათასარაი“), **დუშკო სავანოვიჩი** („ეფესი“), **სტეფან ბირჩევიჩი** („რადნიჩკი).

# ტი-მაკი წასასვლელად მზად არის

„სან ანტონიო სპურსის“ 34 წლის ვეტერანი **ტრეისი მაკგრეიდი** მზად არის კარიერის დასასრულებლად. სავარაუდოდ, ეს „მაიამი ჰიტთან“ ფინალური სერიის დასრულების შემდეგ მოხდება.

მიმდინარე სეზონს კალათბურთელი ჩინეთში იწყებდა, მაგრამ აპრილში „სან ანტონიოსთან“ გააფორმა კონტრაქტი. წლევანდელ პლეი ოფში მცველმა ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ქულა ვერ დააგროვა. სულ კარიერაში მაკგრეიდიმ 938 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 17.1 ქულა მიითვალა.

▪ ▪ ▪

„მემფის გრიზლისის“ ხელმძღვანელობა უფლებას არ მისცემს „ბრუკლინ ნეტსს“ მოლაპარაკებები აწარმოოს მთავარ მწვრთნელ **ლაიონელ ჰოლინზთან**, - იტყობინება ESPN. წერენ, რომ „გრიზლისი“ თავის დამრიგებელთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს.

უახლოეს ხანში, „ნეტსი“ მოლაპარაკებებს გამართავს **ბრაიან შოუსთან**, რომელიც 2012-13 წლების სეზონში „ინდიანას“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობდა.

შეგახსენებთ, რომ „ბრუკლინის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია მას შემდეგ, რაც **პი ჯეი კარლესიმო** გაანთავისუფლეს თანამდებობიდან.

▪ ▪ ▪

ერთ-ერთი წინა ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ აშშ-ის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა ივლისში, ლას ვეგასში გასამართ საწვრთნელ ბანაკში მიიწვია „საკრამენტო კინგზის“ ახალგაზრდა ცენტრი **დემარკუს კაზინსი.** გუშინ, ასევე გაირკვა, რომ ნაკრებში მიწვევა მიიღეს „კლივლენდის“ მოთამაშეებმა - **კაირი ირვინგმა, დიონ უეიტერსმა** და **ტაილერ ზელერმა.**

საზაფხულო მინი-ბანაკი აშშ-ის ნაკრების მწვრთნელებს ახალგაზრდა მოთამაშეებზე დაკვირვების საშუალებას მისცემს და ზოგიერთმა მათგანმა, შესაძლოა, შეავსოს გუნდის შემადგენლობა 2014-16 წლებისთვის, როცა გაიმართება მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიური თამაშები.

გარდა ამისა, კანადის ეროვნულ გუნდში გამოძახება მიიღო „კლივლენდის“ კიდევ ერთმა მოთამაშემ **ტრისტან ტომპსონმა.**


ტრეისი მაკგრეიდი

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# პიტსბურგი კედელთან მიაყენეს

პირველი ორი საშინაო მატჩის წაგების შემდეგ, „პიტსბურგს“ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. მესამე შეხვედრის წინ, განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იყო „პინგვინების“ მეკარეების მიმართ. როგორც გახსოვთ, მეორე მატჩის მსვლელობისას, პირველ პერიოდში გაშვებული სამი შაიბის შემდეგ **ტომაშ ვოკოუნი** შეცვალეს, თუმცა ამდენივე გაუშვა დარჩენილ დროში მისმა შემცვლელმა **მარკ-ანდრე ფლერიმ**. ამის გამო, „პინგვინგზის“ მთავარმა მწვრთნელმა **დენ ბილსმამ** აღიარა, რომ არ იცის, ვინ დააყენოს კარში მესამე მატჩში.


დიდი ბრძოლა ბოსტონმა მოიგო

საბოლოოდ, არჩევანი ვოკოუნზე შეჩერდა, რომელსაც უკეთესი სათამაშო ტონუსი აღმოაჩნდა, ვიდრე მის კონკურენტს.

ჩეხი გოლკიპერის ვიზავის **ტუუკა რასკს** უსიამოვნო ინციდენტი ჰქონდა დილის მსუბუქი ვარჯიშის დროს, როცა თანაგუნდელის ძლიერი დარტყმა სახეში მოხვდა. ფინელმა მეტად ემოციურად აღიქვა მომხდარი და გამწარებულმა თავისი ყვანჯი დაამსხვრია. საბოლოოდ, „ბოსტონის“ კარის დარაჯისთვის ყველაფერი კარგად დასრულდა და გუშინდელ მატჩში 53 დარტყმა მოიგერია.

„პიტსბურგის“ ვარსკვლავი ფორვარდების ყველა მცდელობისა, გასაღები მოეძებნათ „დათვების“ მჭიდრო და აგრესიული დაცვისთვის, სერიის მესამე მატჩმა პასუხი ვერ გასცა კითხვას - რა ემართება „პინგვინზის“ შეტევას? უკვე მეორე წუთზე **დავიდ კრეიჩიმ** აჩვენა მორიგი მასტერკლასი თუ როგორ უნდა საგოლე მომენტის რეალიზება: მან ვოკოუნის კარის უკან დაიჭირა შაიბა, გადაწყვიტა ბრძოლაში არ გაეკეთებინა პასი, დამოუკიდებლად გავიდა თავისუფალ ადგილას და მახვილი კუთხიდან დაარტყა. **მალკინი, ლეტანგი** და **ნისკანენი** კარის სიახლოვიდან **ლუჩიჩის** განდევნას ამაოდ ცდილობდნენ, ამასობაში კი დარტყმის მომენტი გამოეპარათ.

**კრის კუნიტცის** მიერ მეორე პერიოდში გატანილმა გოლმა „პინგვინებს“ დამაჯერებლობა შემატა, მაგრამ შეტევების დასკვნით ნაწილში მათ რაღაც აკლდათ. მარტო მალკინმა გაუშვა ორი ასპროცენტიანი მომენტი - ჯერ ვერ გამოიყენა ერთი ერთზე გასვლა და შემდეგ ძელს გაარტყა შაიბა. მარტო „ბოსტონის“ მეკარის ბრწყინვალე თამაშით არ აიხსნება მეტოქის ორი გოლი სამ მატჩში. „პიტსბურგს“ აშკარად დაკარგული აქვს თავის ძალებში დამაჯერებლობა.

ოვერტაიმი „დათვებს“ უფრო აწყობათ, რადგან მათი კონტრშეტევითი სტილი უფრო ეფექტურია იმ დროს, როცა მეტოქე დაღლილია და გაჭირვებით ბრუნდება დაცვაში. სწორედ სწრაფი შეტევით გადაწყვიტა „ბოსტონმა“ ამ მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ: **იარომირ იაგრმა** ცენტრალურ ზონაში მოჰპარა შაიბა მალკინს, მარცხენა ფლანგზე მონახა **ბრედ მარჩანდი**, რომელმაც ვოკოუნის კარის წინ იდეალური გადაცემა შეასრულა და გამარჯვების გოლის ავტორი „ბოსტონში“ გადამწყვეტი შაიბების ოსტატი **პატრის ბერჟერონი** გახდა.

**ბოსტონი–პიტსბურგი 2:1 (2ო)**

**1:0, 0:1, 0:0, 0:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 კრეიჩი-9 (ლუჩიჩი-10), 1:1 კუნიტცი-5 (პ. მარტინი-9, დუპუი-4), 2:1 პ. ბერჟერონი-5 (მარჩანდი-8, იაგრი-7).

**სერია:** 3-0

# იაგრი ლეგენდებში მეხუთეა


იარომირ იაგრი

„ბოსტონ ბრუინზის“ ჩეხმა ვეტერანმა **იარომირ იაგრმა** „პიტსბურგთან“ სერიის მესამე მატჩში ერთი საგოლე პასი შეასრულა და პლეი ოფის ისტორიაში შედეგიანობის მიხედვით მეხუთე ჰოკეისტი გახდა. ახლა, ლეგენდარული თავდამსხმელის ანგარიშზე 196 ქულაა (78 შაიბა+118 პასი) 195 მატჩში. იაგრზე უფრო მეტი ქულა მოპოვებული აქვთ **უეინ გრეტცკის, მარკ მესიეს, იარი კურისა** და **გლენ ანდერსონს.**

აი, როგორ გამოიყურება პლეი ოფის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა საუკეთესო ათეული:

| | |
|---|---|
| 1. უეინ გრეტცკი | 382 (122+260) |
| 2. მარკ მესიე | 295 (109+186) |
| 3. იარი კური | 233 (106+127) |
| 4. გლენ ანდერსონი | 214 (93+121) |
| 5. იარომირ იაგრი | 196 (78+118) |
| 6. პოლ კოფი | 196 (59+137) |
| 7. ბრეტ ჰალი | 190 (103+87) |
| 8. ჯო საკიკი | 188 (84+104) |
| 9. დუგ გილმორი | 188 (60+128) |
| 10. სტივ აიზერმანი | 185 (70+115) |

ამ ათეულში ერთადერთი მცველი პოლ კოფი გახლავთ.

სპორტი და პოლიტიკა

# კასპაროვს რუსეთში ეშინია

რუსმა მოჭადრაკემ და რუსული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა **გარი კასპაროვმა** განაცხადა, რომ ეშინია რუსეთში დაბრუნება. ამის შესახებ მან ჟენევაში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა. კასპაროვი შვეიცარიაში **მორის აბრამის** პრემიის მისალებად ჩავიდა. ეს ჯილდო მას არასამთავრობო ორგანიზაცია UN Watch-მა მიანიჭა. ჟურნალისტებთან შეხვედრის აუდიოჩანაწერი კასპაროვის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

*„მთელი თებერვალი მოგზაურობაში გავატარე, რადგან ცხადი გახდა, რომ შეიძლებოდა გავმხდარიყავი ნაწილი იმ გამოძიებისა, რომელიც ოპოზიციის წარმომადგენელთა პოლიტიკურ მოღვაწეობას შეეხება“*, - ამბობს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი. მოჭადრაკის თქმით, ის შიშობს, რომ თუ რუსეთში დაბრუნდება, შეიძლება ქვეყნის დატოვების უფლება აღარ მისცენ და საერთოდ, დააპატიმრონ. *„ამიტომაც, თავს შევიკავებ რუსეთში დაბრუნებისგან“*, - დაამატა მან.



გარი კასპაროვი

# ტაეკვანდოისტი გენერალური მდივანი

გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა **პან გი მუნმა** მეცხრე დანის საპატიო შავი ქამარი მიიღო ტაეკვანდოში, - იტყობინება სააგენტო „როიტერი“ ტაეკვანდოს მსოფლიო ფედერაციის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ინფორმაციაში არაფერი წერია იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა 68 წლის კორეელი შიშველი ხელებით აგურების დამტვრევას, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელი **ჩანგ ვონ ჩო** აღნიშნავს, რომ ეს ჯილდო გამოხატავს გაერთიანებული ერებისა და ფედერაციის მიზნებსა და ღირსებებს.

ტაეკვანდოში ტექნიკურად უმაღლეს კატეგორიად მიიჩნევა მეცხრე დანი, ხოლო ამ კატეგორიის შავი ქამრის მინიჭება უიშვიათესი შემთხვევაა. ის გამოხატავს ადამიანის დასახურებას ტაეკვანდოში და მთლიანად საზოგადოებაში.

მეცხრე დანის პირველი ორი საპატიო შავი ქამარი მინიჭებული აქვთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგესა** და მის წინამორბედ **ხუან ანტონიო სამარანჩის**. პან გი მუნი ამ ტიტულის მესამე მფლობელია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ფენომენალური სერენა და კლასიკური ფინალი

ქალებს შორის ორი ნახევარფინალიდან, რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს **მარია შარაპოვასა** და **ვიქტორია აზარენკას** დაპირისპირება იპყრობდა, რადგან ეს იყო თანაბარი ძალის მეტოქეთა დაპირისპირება, დღის მეორე მატჩში კი, რომელშიც **სერენა უილიამსი** და **სარა ერანი** ხვდებოდნენ, ბრძოლა არ იყო მოსალოდნელი.

გუშინდელ მატჩამდე, მარია და ვიქტორია 12-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და უპირატესობა ბელარუსი ჩოგბურთელის მხარეს იყო - 7:5. წლევანდელ სეზონში მათი გზები პირველად გადაიკვეთა, ბოლო შეხვედრა კი 2012 წელს, WTA-ს შემაჯამებელ ტურნირზე შედგა, სადაც შარაპოვამ მოახერხა გამარჯვება.

მოგეხსენებათ, რომ შარაპოვა როლან გაროსზე შარშანდელ ტიტულს იცავს, აზარენკამ კი კარიერაში საუკეთესო გამოსვლა აჩვენა პარიზულ კორტებზე - ეს იყო მისთვის „დიდი სლემის“ ერთადერთი ტურნირი, რომელშიც ნახევარფინალში არ ეთამაშა. რაც შეეხება ნახევარფინალამდე განვლილ გზას, ორივეს ერთნაირი მაჩვენებლები ჰქონდა - თითო წაგებული სეტი ხუთ მატჩში.

შეხვედრა შარაპოვას მოწოდებით დაიწყო და რუსი თავიდან ვერ შევიდა თამაშში. მას არ მისდიოდა პირველი მოწოდება, დაუშვა ორმაგი შეცდომა და გეიმი „მშრალი“ ანგარიშით წააგო. თუმცა ამას მარიას საბრძოლო განწყობაზე არ უმოქმედია და მეორე გეიმიდან ინიციატივა მოიპოვა. რუსმა მაღალ დონეზე ჩაატარა რამდენიმე გეიმი, პირველ რიგში კი უნდა აღვნიშნოთ მისი მოწოდება. იმ დღეს, შარაპოვამ 12 ეისის შესრულება შეძლო, რაც საკმაოდ დიდი იშვიათობაა მის მატჩებში. რაც შეეხება აზარენკას, მას ბევრი არაფერი გამოსდიოდა. პირველი მოწოდებით უპირატესობას ვერ იღებდა, მიღებაზე ცუდად თამაშობდა და ამიტომაც, ზედიზედ ექვსი გეიმი წააგო და სეტი 28 წუთში დათმო.

შარაპოვამ მთელი ნახევარფინალის ერთ დონეზე ჩატარება ვერ შეძლო. მეორე სეტში უკანა ხაზიდან თამაშის გააქტიურების მცდელობამ ბევრი შეცდომა მოიტანა და მალე ეს ანგარიშში გამოიხატა. ბელარუსმა შეძლო თამაშში შესვლა და საკუთარი პირობების კარნახი მეტოქისთვის, ამასთან, აზარენკა პრაქტიკულად არ ცდებოდა - მთელი მეორე სეტის განმავლობაში მას მხოლოდ სამი უნებლიე შეცდომა ჰქონდა. ძალიან მალე, ვიქტორია მოგებულ სეტს ზეიმობდა.

გადამწყვეტი სეტი გარკვეული პაუზის შემდეგ დაიწყო. პარიზში განვიმდა და ჩოგბურთელებმა გასახდელს მიაშურეს. ეს პაუზა აშკარად მარიას სასარგებლოდ იყო, რადგან აზარენკა ფლობდა ინიციატივას, ამ ნახევარსაათიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კი მას თავიდან დასჭირდებოდა თამაშში შესვლა.


სერენა უილიამსი

გადამწყვეტ სეტში უფრო ხშირი იყო გრძელი გათამაშებები. უკანა ხაზზე შარაპოვა უკეთ გამოიყურებოდა, ხშირად მიდიოდა რისკზე და ეს ამართლებდა. აზარენკა უფრო სტაბილური იყო, ვიდრე პირველ სეტში, მაგრამ მთელ რიგ ეპიზოდებში ერთი დარტყმით ცდილობდა ქულის აღებას და ამან ბევრი შეცდომა მოიტანა. რუსმა პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ იქვე წააგო საკუთარი მოწოდება, როცა მეექვსე გეიმში ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა. თუმცა ეს იყო მარიას მიერ ჩაგდებული ერთი გეიმი, აზარენკას კი საკუთარ გეიმებში ინიციატივა არ ჰქონია, შედეგად, მარიამ ზედიზედ სამი ბრეიკი გააკეთა და 5:2 დაწინაურდა.

თითქოს მატჩის დასასრული მოახლოებული იყო, მაგრამ აზარენკამ ბოლომდე ბრძოლა გადაწყვიტა. მერვე გეიმში მან ოთხი მატჩბოლი მოიგერია, გარდა ამისა, მეტოქის ორი ორმაგი შეცდომა დაეხმარა (სულ მატჩში, რუსს 11 ორმაგი ჰქონდა) და ბელარუსმა ბრეიკი გააკეთა. ამას დაემატა საკუთარი გეიმის აღება და ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა - 4:5. და სწორედ კრიტიკულ მომენტში დაეხმარა შარაპოვას მოწოდება. მან კიდევ სამი მატჩბოლი მოიპოვა და ეისით დაუსვა წერტილი შეხვედრას - 6:1, 2:6, 6:4.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალში TOP5-ის კიდევ ორი წევრი თამაშობდა - სერენა უილიამსი და სარა ერანი. საინტერესოა, რომ მათ ამ სტადიაზე 2012 წელს, აშშ-ის ღია პირველობაზეც ითამაშეს და მაშინ, ამერიკელმა იოლად დაადასტურა ფავორიტის სტატუსი. და საერთოდ, წინა ხუთ შეხვედრაში სერენამ მხოლოდ ერთი სეტი დაუთმო იტალიელს.

ერანისთვის გრუნტი ყველაზე მოხერხებული საფარია და სწორედ აქ ჰქონდა მას ამერიკელისთვის ბრძოლის მოხვევის შანსი. მაგრამ, იტალიელისთვის საუბედუროდ, ეს ის დღე იყო, როცა უმცროს უილიამსს ყველაფერი გამოსდიოდა, ასეთ დროს კი სერენა შეუჩერებელია. ფავორიტი ისე თამაშობდა, შეეძლო თვალდახუჭულს მოეგო ეს შეხვედრა. ერანისთვის თითოეული მოგებული ქულა პატარა ზეიმივით იყო, ხოლო, როცა 0:6, 0:3-ზე იტალიელმა ერთი გეიმი აიღო, მან მაღლა აღმართა ხელები - თითქოს მატჩი მოეგოსო.

საბოლოოდ, „დიდი სლემის“ ნახევარფინალური შეხვედრა 46 წუთი გაგრძელდა და სერენამ ფანტასტიკური სტატისტიკა დააფიქსირა: 40 „ვინერსი“, 12 უნებლიე შეცდომა და მხოლოდ 16 წაგებული ქულა.

უილიამსი კარიერაში მეოცედ გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირების ფინალში. წინა 19 გადამწყვეტ მატჩში მან 15-ჯერ გაიმარჯვა და მხოლოდ ოთხჯერ დამარცხდა. გარდა ამისა, ამერიკელმა 30 მატჩამდე აიყვანა მოგებათა სერია. XXI საუკუნეში უფრო გრძელი სერია მხოლოდ ორ ჩოგბურთელს ჰქონდა: **ვენუს უილიამსს** - 35 მოგება (2000 წელს) და **ჟუსტინ ანენს** - 32 მოგება (2007-08).

ასე რომ, შაბათს, ფინალში ჩვენ გველის კლასიკური დაპირისპირება - შარაპოვა უილიამსის წინააღმდეგ. 2005 წლიდან მოყოლებული, სერენას ზედიზედ 12-ჯერ ჰყავს დამარცხებული რუსი, ასე რომ, მომავალ დაპირისპირებაში ფავორიტის დასახელება რთული არ უნდა იყოს. ფინალი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

**1/2 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-სარა ერანი (იტა, 5) 6:0, 6:1; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3) 6:1, 2:6, 6:4.

TV პროგრამა

**7 ივნისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ჰამბურგი.
12:00 ევროპის ლიგა. ჰაპოელი-ატლეტიკო.
14:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-აიაქსი.
16:00 ევროპის ლიგა. ინტერი-რუბინი.
18:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-უიგანი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
23:00 გერმანიის ჩემპიონატი. ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი.
01:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
02:05 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-კოლუმბია (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. I მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შტუტგარტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. სარასენი-რასინგი.
19:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ლოს ანჯელეს ლეიკერსი. 2000-01 წლები.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ფეიენოორდი.
22:00 ძიუდო. მასტერსი. ტიუმენი. რუსეთი. მიმოხილვა.
22:30 NBA ACTION.
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-სან ანტონიო. I მატჩი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. სეზონის ფინალები. ATP-ის ტური. რიშარ გასკე-ბენუა პერი. მონპელიე. საფრანგეთი.
11:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ფინალი. კლერმონი-ტულონი.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-კლიპერსი.
16:00 ჩოგბურთი. სეზონის ფინალები. ATP-ის ტური. ხუან მარტინ დელ პოტრო-ჟულიან ბენეტო. როტერდამი. ჰოლანდია.
18:15 სპორტ-NEWS.
18:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჰიუსტონი-კლიპერსი.
20:45 ჩოგბურთი. სეზონის ფინალები. ATP-ის ტური. კეი ნიშიკორი-ფელისიანო ლოპესი. მემფისი. აშშ.
22:30 ჩოგბურთი. სეზონის ფინალები. ATP-ის ტური. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ტომაშ ბერდიხი. დუბაი. საემიროები.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 16 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 15 | 21 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქობულეთი | 15 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 21 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 15 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 12 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 15 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 6 | 17 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 8 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 8 | 16 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1878 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6683 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5779 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1910 |

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ესპანეთი-რუსეთი | 1:0 |
| ჰოლანდია-გერმანია | 3:2 |
| **ევრო 2015** | |
| **UNDER 21** | |
| ლიტვა-სან მარინო | 2:1 |
| სომხეთი-ისლანდია | 1:2 |
| პოლონეთი-მალტა | 2:0 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 19** | |
| სერბეთი-სლოვაკეთი | 4:0 |
| ირლანდია-შვეიცარია | 2:2 |
| დანია-ბულგარეთი | 5:0 |
| ჩეხეთი-პორტუგალია | 1:4 |
| **ტულონის ტურნირი** | |
| **UNDER 21** | |
| ნიგერია-პორტუგალია | 1:2 |
| ბელგია-მექსიკა | 1:1 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჩინეთი-უზბეკეთი | 1:2 |
| უნგრეთი-ქუვეითი | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბრაგე-გაის | 0:4 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ოლდენბურგი-ულმი | 80:75 |
| ბამბერგი-ბაიერნი | 85:66 |
| **საბერძნეთი** | |
| პანიონიოსი-რეთიმნო | 80:74 |
| **იტალია** | |
| რომა-კანტუ | 89:70 |
| **ესპანეთი** | |
| რეალი-სარაგოსა | 71:95 |

ჰოკეი

# ნიღაბი აუცილებელი იქნება

ჰოკეის ეროვნული ლიგის მოთამაშეთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **მეტიუ შნაიდერმა** განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საშეჯიბრებო კომიტეტის წინადადებას ლიგის დირექტორმა საბჭო მოიწონებს, 2013-14 წლების სეზონიდან მოყოლებული, NHL-ის ყველა ახალბედა ვალდებული იქნება ატაროს ე. წ. "ვიზორები" (მოთამაშის ჩაფხუტზე დამაგრებული გამჭვირვალე ნიღბები, რომლებიც იცავენ თვალებსა და კისერს).



*"ჩვენ გვესმის და ვეთანხმებით მოთამაშეთა პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით,* - მოჰყავს შნაიდერის სიტყვები NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდს. - *დღეს ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, გამოვკითხეთ ჰოკეისტები და ხმების უმრავლესობა დებიუტანტებისთვის ვიზორების შემოღებას ერგო".*

■ ■ ■

ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა "ჩიკაგო ბლეკჰოქსის" მცველს **დანკან კიტს**. შეგახსენებთ, რომ "ლოს ანჯელეს კინგზთან" სერიის მესამე მატჩში კიტმა სახეში ჩაარტყა ყვანჯი "მეფეების" ფორვარდს **ჯეფ კარტერს**.

დასავლეთი კონფერენციის ფინალური სერიის მეოთხე მატჩი "ლოს ანჯელესის" მოედანზე გაიმართება.

ჩოგბურთი


მონიკა სელეში

# სელეშმა წიგნი დაწერა

"დიდი სლემის" ტურნირების ცხრაგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა **მონიკა სელეშმა** თავისი ახალი წიგნის პრეზენტაცია მოაწყო, რომლის სახელწოდებაა: The Academy: Game on. წიგნის მთავარი პერსონაჟია გოგონა, სახელად **მაია**, რომელმაც საჩოგბურთო აკადემიაში თავისი ნიჭის განვითარების საშუალება მიიღო.

*"მთავარი გმირი - მაია ძალიან მგავს მე, თუმცა, ალბათ, ის უფრო მოუხერხებელია. მე პრაქტიკულად არ ვლაპარაკობდი ინგლისურად. ამასთან, უფრო მოკლე თმა მქონდა, უფრო გამხდარი ვიყავი, ამიტომაც, სხვა ბავშვები ჩემს გარეგნობაზე იცინოდნენ",* - განაცხადა სელეშმა WTA-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

■ ■ ■

პარიზში როლან გაროსის მსვლელობისას, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 2012 წლის სეზონისთვის განკუთვნილი პრიზები დაარიგა.

მსოფლიოს ჩემპიონების ვახშამზე ჯილდოები მიიღეს სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** (საუკეთესო მამაკაცი ჩოგბურთელი), ამერიკელმა **სერენა უილიამსმა** (საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი), ამერიკელებმა **ბობ** და მაიკ **ბრაიანებმა** (საუკეთესო წყვილი კაცებში), იტალიელებმა **რობერტა ვინჩიმ** და **სარა ერანიმ** (საუკეთესო წყვილი ქალებში), აგრეთვე იუნიორთა თანრიგში ჩემპიონებმა - **ფილიპ პელივომ** (კანადა) და **ტეილორ თაუნსენდმა** (აშშ).

გარდა ამისა, სპეციალური პრიზი გადაეცა ლეგენდარულ ჰოლანდიელს ესტერ ვერგეერს, რომელიც უნარშეზღუდულთა კატეგორიაში გამოდიოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხოლოდ მოგება



„ბუდიველნიკის" მოცეკვავე გოგონების ცინცაძისადმი მონოდება

„ტაიმლაინის" წერისას განლილი შვიდდღეულის ამბებს ვიხსენებ, ზოგჯერ ერთ მნიშვნელოვანს ვარჩევ, ზოგჯერ რამდენიმე თემას ერთდროულად ვეჭიდები... ამჯერად ერთ თემას განვავრცობ. რა იყო ბოლო დღეების მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა? - საფეხბურთო ნაკრების ევროპული ვოიაჟი.

თუმცა ირლანდიასა და დანიასთან მატჩების შესახებ რუბრიკა „ტაიმლაინში" რომ დავწერო, შესაძლოა, ვინმეს ირონიად მოეჩვენოს. ამიტომ საფეხბურთო ნაკრების შეხვედრებისა და სტრატეგიის განხილვა სპეციალისტებს მივანდოთ.

კვირას, როცა საქართველოს ნაკრები ირლანდიას ეთამაშებოდა, კიევში კალათბურთელი გიორგი ცინცაძე გადამწყვეტ ფინალს ატარებდა. მისმა გუნდმა გაიმარჯვა და უკრაინის ჩემპიონი გახდა. ზეიმის ამსახველი ფოტოები ყოველთვის საინტერესოა, მით უმეტეს, როცა შენიანის სურათებსაც აწყდები, თუმცა ყურადღება „ბუდიველნიკის" მოცეკვავე გოგონათა გამოსახულებამ



„ოკლაჰომას" „ჩირლიდერი" კელსი უილიამსი

მიიპყრო. ლამაზმანებს ხელში კვადრატული ფურცლები ეჭირათ, ზედ კი ლათინური ასოებით ეწერა: Only Victory და მხოლოდ მოგება. ეს ლოზუნგი „ბუდიველნიკის" გამთამაშებლის, გიორგი ცინცაძისთვის იყო განკუთვნილი. საინტერესოა, როგორ მიიღო მოცეკვავე გოგონების წერილობითი მიმართვა გიორგიმ...

*- უკრაინის ჩემპიონატის ფინალური სერიის მეშვიდე მატჩში ოქროს მედლის ფლობელის ბედი წყდებოდა. ყველა ცდილობდა ჩვენს გამხნევებას. საინტერესო იყო ქართული წარწერის ხილვაც, რაც კიდევ ერთი დადებითი მუხტი აღმოჩნდა. გარდა ამისა, მატჩის მსვლელობისას გამოსაჩენ ადგილას საქართველოს დროშა ფრიალებდა. მეტსაც გეტყვით, ერთ-ერთი შეხვედრისას მოცეკვავე გოგონებმა ქართული ცეკვა შეასრულეს. მართალია, ქართველებს ვერ სჯობნიდნენ, მაგრამ მაინც კარგად იცეკვეს.*



2011 წელი, ლიტვა, ევრობასკეტი. საქართველო-უკრაინის მატჩისას

■ ■ ■

სხვათა შორის, ეს საკალათბურთო მატჩისას ქართული ცეკვის შესრულების პირველი მცდელობა არ იყო. 2011 წელს, ლიტვაში ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას ერთმა მოცეკვავე ვაჟმა ფაფახი ჩამოიმხო, გოგონებმა მოკლე, მაგრამ ქართულ სამოსთან მიმსგავსებული ტანსაცმელი მოირგეს, საქართველოს ნაკრების მატჩების შესვენებებისას შეასრულეს და ტრიბუნების აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

ლიტვაში პირველად ეს ცეკვა ჩვენი გუნდის მეოთხე მატჩისას შესრულდა. როგორც ჩანს, კლაიპედაში ჩასული სუხიშვილების ანსამბლის კონცერტებმა (ყოველ საღამოს დიდ სცენაზე გამოდიოდნენ) ლიტველებზე დიდი გავლენა მოახდინა, საკალათბურთო დარბაზში მოცეკვავეებმაც მოინდომეს და მთიულურის ასათვისებლად 3-4 დღე დასჭირდათ.

■ ■ ■

ამერიკაში მოცეკვავე გოგონები დიდი პოპულარულობით სარგებლობენ. ზოგს საკუთარი ბლოგიც აქვს. ყველაზე სახელმოხვეჭილია „ოკლაჰომას" „ჩირლიდერ" კელსი უილიამსის ბლოგი, რომელშიც იგი მოედანზე მომხდარ მოვლენებს ემოციურად, დეტალურად გადმოსცემს.

ბლოგზე რა უნდა მოგახსენოთ, როცა მოცეკვავე გოგონები საქართველოში დიდი ხანია არ გვინახავს. არადა, 2008-09 წლების სეზონში სუპერლიგის ცენტრალური მატჩებისას „ვერნისაჟის" გოგონები იმდენად შემოქმედებითად ეკიდებოდნენ საქმეს, რომ ევროპის წამყვანი საკალათბურთო ქვეყნების მოცეკვავეებს არ ჩამოუვარდებოდნენ.

იმედი დავიტოვოთ, რომ გაისად მაინც დაუბრუნდებიან სუპერლიგას ისინი. როგორც ერთ-ერთმა კამერუნელმა კალათბურთელმა მითხრა, მოცეკვავე გოგონების გარეშე მატჩები არც კამერუნში იმართება.

■ ■ ■

კალათბურთელებისთვის არაერთხელ უკითხავთ: თამაშებისას რომ ლამაზი გოგონები გამოდიან, მათ თუ იცნობთო? ნამდვილად არ მაქვს ყველა საკალათბურთო ქვეყნის მაგალითი, მაგრამ NBA-ში კალათბურთელებსა და მოცეკვავეებს შორის ურთიერთობაზე ზოგადი წარმოდგენა ზაზა ფაჩულიასა და ვლადიმერ სტეფანიას მონათხრობიდან შემექმნა. თურმე, „ჩირლიდერებს" NBA-ის მოთამაშეებთან ურთიერთობა ეკრძალებათ. ზაზა ფაჩულიამ გაიხსენა შემთხვევა, როცა ერთ-ერთი მოცეკვავე კალათბურთელთან სტუმრობისას დაინახეს და სამსახურიდან დაითხოვეს.

„ჩირლიდერებისა" არა, მაგრამ გულშემატკივრების გაცნობას კალათბურთელებს არავინ უშლის. ორიგინალური ხერხისთვის მიუგნიათ NBA-ის ვარსკვლავებს. თუ მათ ტრიბუნაზე ვინმე მოეწონებათ, პირსახოცის მატარებელ ბიჭებს გოგონასთან ტელეფონის ნომერს გაატანენ და მეორე დღეს დარეკვას ელიან...

*- ასეთი ხერხისთვის არ მიმიმართავს, გულშემატკივრები უფრო ვარსკვლავებს ურეკავენ, - გიხსენა ვლადიმერ სტეფანიამ, - „მაიამიში" რომ ვთამაშობდი, „დალასთან" შეხვედრისას ჩემი თანაგუნდელი შარში გაეხვია. მან ტელეფონის ნომერი გაუგზავნა პირველსავე რიგში მჯდომ ქერა ქალბატონს, რომელიც დალასელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის ცოლი აღმოჩნდა. ეს ამბავი გასკდა და დიდი გამოხმაურება მოჰყვა...*



ჟერარდ პიკე „ბარსას" საკალათბურთო „ჩირლიდერებს" შორის



მოცეკვავე გოგონები საქართველოში



კლაიპედელი მოცეკვავე

ჩინეთის, ისრაელის და ამერიკის სახალხო მედიცინის აკადემიის წევრი, პროფესორი



ბიჭიკო ასკურავა

მკურნალობს: ქირურგიული ჩარევის გარეშე, ეფექტურად და უმტკივნეულოდ არჩენს სხვადასხვა სახის მოტეხილობას, ნაღრძობს, მენისკს, ოსტეოქონდროზს, პოდაგრას და სახსრების დაავადებას.

მსოფლიოს ორთოპედია უმეტესობა დარწმუნებულია ბიჭიკო ასკურავას მეთოდის ეფექტურობაში, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება არსად!

მის.: ქ. თბილისი, ლესელიძის ქუჩა №5.
ტელ.:(+995 32)299-96-94; (+995 32)298-86-84; (+995 32)298-79-95;
მობ.:(+995 77)41-19-11

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 00:45. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608